

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია



პოლიცია და უსაფრთხოება

სამეცნიერო ჟურნალი №1

2019 წელი
თბილისი

მთავარი რედაქტორი

ნატალია მოწონელიძე

სარედაქციო კოლეგია:

მორის შალიკაშვილი
ირინა ბოხაშვილი
ანრი ოხანაშვილი
გიორგი თუმანიშვილი
თამარ გვარამაძე
მაია კოპალეიშვილი
ირმა ხარშილაძე
ირაკლი ბურდული
დიმიტრი დინუაშვილი
იამზე ვაშაკიძე

ჟურნალი აიწყო და დაკაზადონდა

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ

ISSN: 2587 - 4675

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნოდარ სააკაშვილი

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე
სამართლებრივი რეაგირების თავისებურებანი.....7

ილია ხუციშვილი

სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები ფარული
საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისას.....27

დიმიტრი დინუაშვილი

საგამოძიებო მოქმედება დათვალიერების პროცესუალური ასპექტები43

ნინო დანელია

საპოლიციო პრევენციის სისტემა და ადამიანის უფლებები65

ნინო ჭუმბურიძე

სპეციალიზებულ პოლიციელთა როლი არასრულწლოვანთა
მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში75

ირაკლი ყიყიშვილი

ღია ინფორმაციული წყაროების სადაზვერვო დამუშავება და მისი ადგილი
ეროვნულ უსაფრთხოებაში.....81

შალვა კვინიხიძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობები,
ტენდენციები და გამოწვევები (2013-2017 წწ.).....95

ჯაბა თებიძე

საპოლიციო თანამშრომლობა ევროპის კავშირში, ინსტიტუციური და
სამართლებრივი ჩარჩო.....105

ნოდარ სააკაშვილი¹

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების თავისებურებანი

შესავალი

საქართველოში ბოლო პერიოდში, სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ ძალადობის პრობლემებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევით შედეგად, შეიქმნა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს გათვითცნობიერებული აქვს ოჯახში ძალადობის არსი. აქვე უნდა ითქვას, რომ მის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული საქმიანობის შედეგები საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი მოლოდინის განცდას ტოვებს, რის გამოც საკითხი კვლავაც წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის, უფრო მეტად კი შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას. უდავოა ის გარემოება, რომ აღნიშნული საკითხი საკმაოდ რთული სოციალური და სამართლებრივი პრობლემაა, რომლის საფუძველსაც ქმნის საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპული შეხედულებები. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ პრობლემასთან დაკავშირებული სტრუქტურების უთიერთშეთანხმებული საქმიანობის საფუძველზე.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის (შემდგომში ძალადობის) წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობაში უფლებამოსილ პირთათვის გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს და მიზნად ისახავს დაეხმაროს პოლიციელებს დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულებაში.

დასაწყისშივე შევნიშნავთ: მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული შეხედულებები გამომდინარეობს ნორმატიული აქტების შინაარსიდან და შემუშავებულია მათი ანალიზის საფუძველზე, ისინი ქალთა მიმართ ძალადობის, ან/და ოჯახში ძალადობის აღმკვეთ საქმიანობაში, ძალადობის რთული თავისებურებისა და თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იქნება დირექტიული ხასიათის. კონკრეტულ შემთხვევებში პოლიციის უფლებამოსილი პირის მოქმედება საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების ურთიერთშეჯერების შედეგად გამოტანილი დასკვნის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის პირველადი რეაგირება ძალადობის ფაქტზე

მკითხველისათვის სავსებით ნათელია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური და ეფექტიანი რეაგირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალადობის ფაქტის, ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაციის საკითხებს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 2 ივლისის №491 ბრძანების² მიხედვით, განისაზღვრა იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომლებიც უფლებამოსილი არიან, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, განახორციელონ რეაგირება და გამოსცენ შემაკავებელი ორდერი. ესენი არიან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები: ოცეულის მეთაურები, ათეულის მეთაურები, უფროსი

¹ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საბაზისო მომზადების სამსახურის უფროსი; პოლიციის პოლკოვნიკი.

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383571?publication=0>

პატრულ-ინსპექტორები, პატრულ-ინსპექტორები, უმცროსი პატრულ-ინსპექტორები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლები და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები. გარდა ამისა, კანონის მიხედვით, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებისა და უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების ვალდებულებაა ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის შემდეგ უფლებამოსილ ორგანოთა აქტების (შემაკავებელი და დამცავი ორდერების) მოთხოვნების დაცვაზე კონტროლი³.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის №81 ბრძანების⁴ მიხედვით, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის პირველი სექტემბრიდან და ამავე თარიღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა მისი წინამორბედი №491 ბრძანება, შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირებად დამატებით განისაზღვრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი, მართლწესრიგის ოფიცერი, დეტექტივ-გამომძიებელი და დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი. ბუნებრივია, აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო აამაღლებს რეაგირების ეფექტიანობას ოპერატიული თვალსაზრისით.

ქალთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით კი ოჯახში ძალადობის ლატენტური ბუნებისა და ძალადობაში მონაწილე, ან მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირებისათვის (ოჯახის სხვა წევრები) მოსალოდნელი მაღალი რისკების გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალადობაზე რეაგირების უფლებამოსილმა პირებმა სრულყოფილად შეისწავლონ ოჯახში ძალადობის ფაქტები და შეაფასონ პრობლემა, შეძლებისდაგვარად შემჭიდროებულ ვადებში დაადგინონ ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე. ეს მოქმედებები თავისთავად გარანტია იქნება იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ძალადობის დროულად აღკვეთა, მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანად დაცვა და მომავალში მათი განმეორების თავიდან აცილება⁵.

უნდა გვახსოვდეს, რომ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, აგრეთვე მოძალადეთა რეაბილიტაცია სახელმწიფოს ვალდებულებაა; ამ ვალდებულების სრულფასოვნად შესრულებისთვის კი აუცილებელია მოძალადის, განსაკუთრებით კი, ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიკაციის შემდეგ სწორად განისაზღვროს გასატარებელი ღონისძიებები. ამ ღონისძიებებში იგულისხმება როგორც ძალადობის მსხვერპლის მიმართ გასატარებელი ღონისძიებები, ასევე მოძალადის მიმართ გამოყენებული შემზღუდავი ზომები.

იდენტიფიკაცია უნდა განხორციელდეს საფუძვლიანი ვარაუდის არსებობის დროს, საქმესთან დაკავშირებული და ურთიერთმეჯერებული მტკიცებულებების გათვალისწინებით.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში კანონით) განისაზღვრა ძალადობის არსი და მისი ფორმები, მასში მონაწილე სუბიექტები (ოჯახის წევრები), არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევებში – აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი პირები⁶, თუმცა ძალადობის ფორმების დადგენასა და მასში მონაწილე პირების იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინდიკატორებს საკანონმდებლო აქტი ვერ განსაზღვრავს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალადობის რთული ბუნებიდან გამომდინარე, ინდიკატორების სრულად ჩამოყალიბება შეუძლებელია.

³ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლი, 37 პუნქტი „ა“ ქვეპუნქტი.

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0>

⁵ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1-2.

⁶ იქვე, მუხლი 4.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძალადობის სხვადასხვა ფორმა განცალკევებულად თითქმის არასდროს გვხვდება და ხშირ შემთხვევაში კომპლექსური შინაარსის შემცველია. ძალადობის თითოეულ შემთხვევას თავისი ინდივიდუალური ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები ახასიათებს და სწორედ ამიტომ დაუშვებელია ძალადობის ფორმის განსაზღვრისას ხისტი მიდგომა, არამედ საჭიროა პრობლემისადმი ემპათიის გამოჩენა და ელასტიკური აზროვნების გამოყენება.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი მოიცავს ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის გასატარებელ ღონისძიებათა თანამიმდევრულ ჩამონათვალს.

ჩვენ შევეცდებით ჩამოვყალიბოთ გარკვეული სტრატეგია და რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში გათვალისწინება დაეხმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს:

- ვითარების შეფასებაში;
- შემთხვევის ადგილზე არსებული თვალსაჩინო და ლატენტური სამხილების გამოვლენასა და გაანალიზებაში;
- შემთხვევასთან დაკავშირებით სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ (შემდგომში პოლიციელი) შემაკავებელი ორდერის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი უნდა იყოს შემთხვევასთან დაკავშირებით არსებული, აგრეთვე მის მიერ აღმოჩენილ ურთიერთშეთანხმებულ მტკიცებულებებზე ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენა. დაუშვებელია, ძალადობის მსხვერპლის სურვილი ორდერის გამოცემის, ან მისი გამოცემისაგან თავის შეკავების შესახებ გახდეს სახელმძღვანელო სტანდარტი. უფრო მეტიც, შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემაფერხებელი გარემოება ვერ იქნება გამოცემის მომენტში ძალადობაში მონაწილე მხარეების დაუსწრებლობა, რაც, ძალადობის ბუნებიდან გამომდინარე, არცთუ იშვიათი შემთხვევაა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მართლმსაჯულების სისტემის ყველა რგოლის უფლებამოსილი პირისათვის სახელმძღვანელო პრინციპი: შემაკავებელი ორდერის ძირითადი მიზანია ძალადობის მსხვერპლის დაცვის გარანტიების შექმნა. სუბიექტური შეხედულებების გათვალისწინებით არ შეიძლება მსხვერპლის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები საფრთხის ქვეშ დავტოვოთ. შემაკავებელი ორდერი არ არის მოძალადისათვის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი. პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობაა.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ იმ პირთა წრე, რომლებთან კომუნიკაციაშიც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ქვემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, საჭიროა წარმოვადგინოთ ძალადობისა და მასში გამავალი პირების კანონისმიერი განმარტება. კანონის მიხედვით:

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით⁷.

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების

⁷ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

იმულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა⁸.

აღნიშნული განმარტებების ანალიზიდან ჩანს, რომ ქალთა მიმართ ძალადობას ახასიათებს ძალადობის ყველა ის ფორმა, რაც ოჯახში ძალადობას, გარდა უგულუბელყოფისა; ეს უკანასკნელი შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ არასრულწლოვანის მიმართ ოჯახის წევრის ან სხვა პასუხისმგებელი პირის მხრიდან.

კანონის მიზნებისთვის ოჯახის წევრი არის: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას⁹.

რაც შეეხება სხვა პასუხისმგებელ პირს, ის შეიძლება იყოს პირი, რომელთანაც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ფაქტობრივად იმყოფება / ცხოვრობს არასრულწლოვანი, რომელზე ზრუნვისა და რომლის კანონიერი ინტერესების დაცვის ვალდებულებაც დაეკისრა აღნიშნულ პირს იმავე სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე. ყოფით ურთიერთობაში ასეთებად გვევლინებიან: ძიძა, სახელოვნებო ან სასპორტო დარგის პედაგოგი/მწვრთნელი, როდესაც მათ ბავშვები წაყვანილი ჰყავთ გასვლით სასწავლო შეკრებებზე ან საკონკურსო ღონისძიებებზე, ბავშვების საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით და სხვა (არასრულწლოვანად, ბავშვად მიიჩნევა 18 წელს მიულწეველი პირი)¹⁰.

ამჯერად შეტყობინებაზე რეაგირების დროს, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, კონფლიქტში მონაწილე სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულება განეკუთვნება თუ არა კანონით რეგულირებულ სფეროს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ ძირითადად შედის სსიპ 112-ში, რომლის ოპერატორიც მიღებულ ინფორმაციას დაუყოვნებლივ გადააგზავნის უფლებამოსილ პირთან. ცალკეულ შემთხვევებში ინფორმაცია შედარებით ადრე მომხდარი ფაქტების შესახებ წერილობითი ან ზეპირი განცხადების სახით შედის საქალაქო ან რაიონული პოლიციის დანაყოფში. როგორც წესი, თვითონ ძალადობის მსხვერპლი ან თვითმხილველი აცხადებს ასეთი ფაქტების შესახებ.

საპატრულო პოლიციის, ასევე შსს ტერიტორიული ორგანოების მოქმედების ფარგლებში არსებულ ტერიტორიულ ერთეულებში რეაგირებას მოახდენს იმ შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის უფლებამოსილი პირი, რომელშიც შევა ინფორმაცია ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით.

თუ შემაკავებელი ორდერის გაცემისათვის საჭირო ყველა პირობა სახეზეა, მისი გაცემის მიზნით ინფორმაციის გადამისამართება ერთი უწყებიდან მეორეში, შესაძლოა, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობადაც იქნეს მიჩნეული.

ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა. ეს პირი არის ძალადობის მსხვერპლი, მისი ოჯახის წევრი ან/და, მსხვერპლის თანხმობით, პირი,

⁸ იქვე, მუხლი 3¹.

⁹ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4.

¹⁰ იქვე.

რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობასა და მზრუნველობას. გამომდინარე აქედან, უფლებამოსილი პირი ვალდებულია რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ ინფორმაციაზე, მათ შორის – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინფორმაციის წყარო ანონიმურია¹¹.

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის რეაგირების სტრატეგია ოჯახში ძალადობის ფაქტებზე

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელმა კონფლიქტში მონაწილე პირებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და ძალადობის მსხვერპლისა (მსხვერპლების) და მოძალადის (მოძალადეების) დასადგენად, შესაძლებელია, გამოიყენოს შემდეგი სტრატეგია:

1. ძალადობის აღკვეთის შემდეგ აუცილებელია, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში მოხდეს სავარაუდო მსხვერპლისა და მოძალადის დაშორიშორება. თუ შესაძლებელია, ერთი შეხედვით, გამოკვეთილი დაპირისპირებული მხარეები უნდა განთავსდნენ სხვადასხვა ოთახში, ხოლო გასაუბრება თითოეულ პირთან, ახსნა-განმარტების ჩამორთმევა და მისი წერილობითი ფორმით დაფიქსირება აუცილებლად უნდა მოხდეს ოჯახის სხვა წევრებისაგან განცალკევებულად. გამონაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვანი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქვემოთ წარმოდგენილი იქნება განმარტება;

2. პოლიციელის, რომელიც შედის კონტაქტში, უპირველესი მიზანია ძალადობის პოტენციურ მსხვერპლთან ნდობის მოპოვება. გვახსოვდეს, რომ პოლიციელის გარეგნული იერსახე, გაწონასწორებული, დამაჯერებელი ტონი, შედარებით მარტივი სამართლებრივი ტერმინებით საუბარი, არასრულწლოვანის შემთხვევაში კი, მისი განვითარების დონისა და აღქმის უნარის გათვალისწინებით გამოყენებული ლექსიკა ნდობის მოპოვებისა და საჭირო ინფორმაციის მიღების აუცილებელი წინაპირობაა;

3. აუცილებელია განისაზღვროს გასაუბრების მიზანი. თავიდანვე განემარტოს გამოსაკითხ პირს, რომ ოჯახის თითოეული წევრის უფლებები დაცულია კანონით, აუცილებელია, ოჯახში კონფლიქტური სიტუაციის არსებობისას დროულად მოხდეს რეაგირება კონფლიქტის მეტად გამწვავების თავიდან ასაცილებლად, რაც თავისთავად უფრო მკაცრ სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს;

4. გასაუბრების დროს უნდა მისცეთ საშუალება პიროვნებას, ილაპარაკოს თავისუფლად; თავისუფალი თხრობით შესაძლებელია აკონტროლოთ გასაუბრება, მაგრამ არ უნდა მოხდეს თქვენი დომინირება.

5. არ გააპროტესტოთ მონათხრობი; მაგალითად: „შეუძლებელია ასეთი რამ მომხდარიყო“; დაპირისპირებული სუბიექტი „ამას ვერ გააკეთებდა“ და სხვა;

6. გაესაუბრეთ სავარაუდო მსხვერპლს თავისი უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ. მიეცით ამომწურავი ინფორმაცია თავისი სამართლებრივი (შემაკავებელი, დამცავი ორდერი) და სოციალური (თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში არსებული სერვისები) დაცვის მექანიზმების შესახებ;

7. აუხსენით სავარაუდო მსხვერპლს, რომ საკითხის კონფიდენციალურობა გარანტირებული და დაცულია სახელმწიფოს მიერ; ოფიციალურ ორგანოებში ძალადობის შესახებ არსებული ინფორმაცია გამხელისაგან საქართველოს კანონმდებლობით არის დაცული. დაზარალებულის მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლო განხილვა დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე

¹¹ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.

შესაძლებელია ჩატარდეს დახურულ სხდომაზე;

8. შეეცადეთ ესაუბროთ მსხვერპლს წყვილად, კოლეგების დახმარებით (თუ მოცემულ სიტუაციაში ეს გარემოება გაზრდის ნდობის ხარისხს). არ არის გამორიცხული, ადამიანს პირისპირ საუბარი ზედმეტად ინტიმური მოეჩვენოს და ნაკლებად გულახდილი იყოს ფაქტებზე მსჯელობის დროს;

9. თუ სავარაუდო მსხვერპლი ქალია და არის შესაძლებელი, ერთ-ერთი პოლიციელი ქალი უნდა იყოს. გასათვალისწინებელია ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური აღმსარებლობა, კულტურული თუ ტრადიციული თავისებურება და სხვა ინდივიდუალური ფაქტორები;

10. ზუსტად განუმარტეთ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს გატარებული ღონისძიებების სამართლებრივი შედეგების შესახებ. შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში – მისი შემდგომი ადმინისტრირების შესახებ, თუ სად გადაიგზავნება ეს დოკუმენტი და რა ფორმით განხორციელდება მის შესრულებაზე ზედამხედველობა;

11. არ დაჰპირდეთ იმას, რისი შესრულებაც არ შეგიძლიათ, რათა არ დაიკარგოს ნდობა პოლიციასა და საზოგადოებას შორის.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძალადობის ფაქტის გამოკვეთას, მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაციის პროცესს ახასიათებს სირთულეები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ხშირად არ მოდიან თანამშრომლობაზე და შეგნებულად თავს იკავებენ სამართალდამცავებისათვის ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისაგან. ამ გარემოების ზოგიერთი მიზეზი შეიძლება იყოს:

- შიშის ფაქტორი – სავარაუდო მსხვერპლს მიაჩნია, რომ პოლიციის წასვლის შემდეგ მასზე განხორციელდება ანგარიშსწორება;
- სირცხვილის გრძნობა – თვლის, რომ სამეზობლოში, სანათესაოში ის თითოთ საჩვენებელ ადამიანად იქცევა, რომელმაც არ დაიცვა ოჯახის საიდუმლოება, ან, სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს და სხვა.
- სტიგმატიზაცია – სოციალური, კულტურული თუ რელიგიური შეხედულების გამო, ცნობიერებაში გამჯდარია არასწორი შეხედულება ოჯახის წევრთა Aურთიერთდამოკიდებულებისა და თანასწორი უფლებების შესახებ;
- პირადი საფრთხე – სავარაუდო მსხვერპლს მიაჩნია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, რადგან მას არა აქვს ეკონომიკური დამოუკიდებლობა;
- მსხვერპლები თვლიან, რომ ამით მათი მდგომარეობა არ გამოსწორდება; ვითარება მაინც არ შეიცვლება, ვინაიდან აღნიშნულმა ღონისძიებებმა არანაირი შედეგი არ გამოიღო მისი ნაცნობების ოჯახში განვითარებულ მსგავს შემთხვევებში.

ზემოაღნიშნული თავისებურებებისა და სირთულეების მიუხედავად, პოლიციელი ვალდებულია ყურადღებით დააკვირდეს გამოსაკითხი პირის ქცევას, აგრეთვე მის სხეულზე არსებული დაზიანებების თავისებურებებს, მათი არსებობის შემთხვევაში; გააანალიზოს გამოსაკითხი პირის მონათხრობი და თუ აღნიშნული გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევა მიიყვანს გადაწყვეტილებამდე, რომ ადგილი აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალადობის რომელიმე ფორმას, მიიღოს გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე¹².

¹² დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგების სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, 2011 წელი, 64-66.

3. პირველადი მოქმედებები და არასრულწლოვანისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საკანონმდებლო თავისებურებები

ზემოთ წარმოდგენილი სტრატეგიული მიდგომის გარდა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უფრო დეტალურად განვიხილოთ ძალადობის მახასიათებლების ცალკეული კომპონენტები, რომელთა გათვალისწინებაც, ჩვენი შეხედულებით, ხელს შეუწყობს უფლებამოსილ პირებს დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულებაში.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკონკრეტებს ძალადობის ადგილს, არც იმ გარემოებას, ოჯახის წევრები ერთ ჭერქვეშ უნდა ცხოვრობდნენ თუ არა. გამომდინარე აქედან, ამ კანონის მიზნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს ძალადობაში მონაწილე პირთა ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს და არც შემთხვევის ადგილს. ასეთ შემთხვევაში ძალადობად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც მოხდა ზემოაღნიშნულ პირთა შორის, მიუხედავად იმისა, ეს ადამიანები ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ თუ არა; ანდა ძალადობა განხორციელდა საცხოვრებელ ბინაში თუ, ვთქვათ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (მაგალითად, ყოფილი მეუღლეები, რომლებიც ერთად აღარ ცხოვრობენ, სადავო საკითხების განსახილველად შეხვდნენ დასასვენებელ პარკში, სადაც განხორციელდა ძალადობა). გამომდინარე აქედან, პოლიციელი ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება, თუკი ძალადობის ინციდენტი განხორციელდა კანონით განსაზღვრულ ოჯახის წევრთა შორის, ხოლო არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე კანონით განსაზღვრული სხვა პასუხისმგებელი პირის მხრიდან.

სრულფასოვანი ღონისძიებების გასატარებლად, ინფორმაციის მიღების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ზოგიერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შეკითხვები დაესვას ინფორმაციის მომწოდებელს. საჭიროა დაფიქსირდეს ინიციატორის საიდენტიფიკაციო მონაცემები, შემდგომში ამ პირთან კონტაქტის დამყარების მიზნით, ძალადობის ჩადენის ზუსტი მისამართი, ინფორმაცია ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის, მოძალადეებისა და მათი რაოდენობის შესახებ, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, მაგალითად: ხომ არ აქვს ძალადობას ადგილი შეტყობინების მომენტში, აგრეთვე – ინფორმაცია ოჯახის სხვა წევრთა შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეაგირების დაწყებამდე ცოდნა იმ გარემოებისა, არიან თუ არა ოჯახში არასრულწლოვნები.

თავის მხრივ კი, პოლიციელმა, თუ ამის შესაძლებლობა ექნება, ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა გადაამოწმოს მონაცემები ერთიან საინფორმაციო ბანკში ძალადობის ადგილის მისამართის მიხედვით, ხომ არ ყოფილა ადრეც გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ამავე მისამართზე. მისი არსებობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს, რა ღონისძიებები იქნა გატარებული და არის თუ არა რეაგირების მომენტში წინა ინციდენტებთან დაკავშირებით გამოცემული მოქმედი შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, თუ ვინ იყო დაფიქსირებული ძალადობის მხარეებად და ხომ არ არის მოძალადის შესახებ რაიმე დამატებითი ინფორმაცია. აქვს თუ არა მოძალადეს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისადმი მიდრეკილება. აქვს თუ არა ნასამართლობა ან დაკისრებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა რაიმე სამართალდარღვევაზე; ირიცხება თუ არა მასზე ან ოჯახის სხვა წევრზე ცეცხლსასროლი იარაღი.

ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე საპოლიციო განაწესი დაუყოვნებლივ გადის ძალადობის ადგილზე. სწრაფად გამოცხადებისათვის მიზანშეწონილია, რომ პოლიციელთა ჯგუფმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია ოპერატიული მორიგისაგან მიიღოს შემთხვევის ადგილისკენ მგზავრობის პერიოდში, რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებელი იქნება. ოპერატიულ მორიგეს აგრეთვე შეუძლია, ზემოაღნიშნული საინფორმაციო ბაზის გარდა, ინფორმაცია მოიძიოს შსს ტერიტორიული

ორგანოებიდან მსხვერპლისა და მოძალადის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და საჭირო ცნობები დროულად გადასცეს შეტყობინებაზე რეაგირების განმახორციელებელ ჯგუფს.

შემთხვევის ადგილზე გასულმა პოლიციელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტი ოჯახის თითოეული წევრისათვის მეტად მნიშვნელოვანია და თავი შეიკავონ პირველივე შემხვედრისათვის მისვლის მიზეზის გაცნობისაგან.

თუ პირველადი ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მონაწილე მაინც ქალია ან არასრულწლოვანი, სასურველია, მათთან კონტაქტის გაადვილების უზრუნველსაყოფად შემთხვევის ადგილზე გასულ ჯგუფში ჩაერთოს ქალი პოლიციელი (თუ ოჯახის წევრ ძალადობის მსხვერპლ ქალთან ახსნა-განმარტების ჩამორთმევას კაცი პოლიციელი განახორციელებს, შესაძლებელია ამ გარემოებამ მოძალადე მამაკაცში აგრესია გამოიწვიოს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უფრო ეფექტური იყოს არასრულწლოვნებთან ქალი პოლიციელის გასაუბრება).

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ინფორმაცია ოჯახის შესახებ თითოეული ამ ოჯახის წევრის პირადი საიდუმლოებაა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს კანონმდებლობიდან გამომდინარე და მის ზუსტ შესაბამისობაში. თუ ამოიწურება სხვა ყველა შესაძლებლობა და ეს აუცილებლობა ლეგიტიმური მიზნების მიღწევის ერთადერთი საშუალება იქნება, შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელი, რეაგირების ეფექტიანობის ამაღლებისა და საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, გამოკითხავს მეზობლებს, თვითმხილველებს პოლიციის შესახებ კანონით გათვალისწინებული საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში და მისი მოთხოვნების დაცვით. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ღია წყაროებიდან (თვითმხილველები, მეზობლები, კოლეგები სამსახურში და სხვ.) განხორციელდეს ცალკეული ადამიანების ოჯახური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ეს არ ჩაითვლება დარღვევად, ვინაიდან ეს ღონისძიებები მიმართულია რეალური სურათის შესაქმნელად და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

თუ პირველადი ინფორმაციით, ძალადობა უშუალოდ შეტყობინების მიღების მომენტში ხორციელდება, ბუნებრივია, შემთხვევის ადგილზე სწრაფად მისვლის აუცილებლობა კიდევ უფრო დიდი იქნება.

ადგილზე მისული პოლიციელი იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად. აუცილებლობის შემთხვევაში, არსებული წინააღმდეგობის დასაძლევად, კანონიერებისა და პროპორციულობის სრული დაცვით გამოიყენებს თავის უფლებამოსილებაში არსებულ ძალას, როგორცაა: ფიზიკური იძულება ან კონტროლის სპეციალური საშუალებების გამოყენება: ხელბორკილი, ხელკეტი, ელექტროშოკი და სხვა. პოლიციელის მიერ ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი და პირობები მოცემულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავში¹³.

არ არის გამორიცხული, შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ პოლიციელს საცხოვრებელი სახლის კარები არ გაუღონ. თუ ასეთ გარემოებას თან ერთვის სახლიდან გამოსული ხმაური და ხმამაღლა ლაპარაკი, ან ბავშვების ტირილის ხმა, რის გამოც პოლიციელს გაუჩნდება საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ბინაში რაღაც კანონსაწინააღმდეგო ხდება, ის ვალდებულია მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, ვიდრე ვითარებაში გაერკვევა. თუ საჭირო გახდება, შეზღუდოს სხვისი ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა.

ბინაში ან სხვა მფლობელობაში შესვლის დროს გაითვალისწინოს საინფორმაციო ბაზაში არსებული ინფორმაცია (სავარაუდო მოძალადის წარსულის ან იურიდიულ მისამართზე რეგისტრირებული იარაღის შესახებ და სხვა), გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე საკუთარი თავისა და სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

¹³ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 30-35.

ძალადობის აღვეთის შემდეგ პოლიციელი უზრუნველყოფს დაპირისპირებაში მონაწილე მხარეების დაშორიშორებას. განცალკევებით გამოკითხავს სავარაუდო მსხვერპლს, მოწმეს, მოძალადეს, აგრეთვე ოჯახის არასრულწლოვან წევრს, რასაც წერილობით დააფიქსირებს. წერილობითი ახსნა-განმარტებები უნდა ჩამოერთვას ძალადობის მოწმეებსა და ოჯახის სხვა წევრებს. ძალადობის ფაქტზე სრული ინფორმაციის მისაღებად, შესაძლებელია იმოქმედოს ზემოთ აღწერილი სტრატეგიის მიხედვით. სასურველია პოლიციელმა გამოსაკითხი პირისაგან თანხმობის მიღების შემდეგ განახორციელოს საუბრის ვიდეო- და აუდიოჩაწერა სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით, ჩაწერის შესახებ სიტყვიერად გააფრთხილოს ინციდენტში მონაწილე პირები. შემდგომში აღნიშნული მასალა შესაძლებელია დართულ იქნეს საქმეზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთან კომუნიკაციის დროს საჭიროა პოლიციელმა გაითვალისწინოს დამატებითი გარემოებები მისი განვითარებისა და აღქმის დონის შესაბამისად და იმოქმედოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე¹⁴.

არასრულწლოვანისაგან ახსნა-განმარტების მიღებასთან დაკავშირებით, აუცილებელია მცირე განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აკეთებს პირდაპირ მინიშნებას, მისი ანალიზი წარმოშობს ვალდებულებას, რომ არასრულწლოვანისაგან ახსნა-განმარტების მიღებას უნდა ესწრებოდეს ოჯახის სრულწლოვანი არამომალადე წევრი.

არასრულწლოვანთა გამოკითხვა-დაკითხვის წესი მოცემულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში¹⁵, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემის პროცედურები არ არის მოქცეული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოქმედების სფეროში. აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ის გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას.

ამავე კოდექსის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არის 18 წელს მიუღწეველი პირი, რომლის მიმართც:

- არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული;
- შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 100² მუხლებით, 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 153³ მუხლის მე-2 ნაწილით, 153⁶ მუხლის მე-2 ნაწილით, 155², 157-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, 174¹ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 174¹⁵ მუხლის მე-4 ნაწილით, 175², 177¹ და 178-ე მუხლებით და 181¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან ზემოთ ჩამოთვლილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილება¹⁶.

გამომდინარე აქედან, არასრულწლოვანთა მონაწილეობით ოჯახური კონფლიქტის არსებობისას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი, არასრულწლოვანის გამოკითხვის ან/და დაკითხვის პროცედურები გასათვალისწინებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანის ამა თუ იმ სტატუსით (დაზარალებული, მოწმე) მონაწილეობით მომხდარ

¹⁴ „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ - 29 ნოემბერი, 1989 წელი, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, მუხლი 12.

¹⁵ საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015, მუხლი 52.

¹⁶ საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წელი, მუხლი 2-3.

ძალადობრივ ქმედებაზე დაიწყება გამოძიება ოჯახური დანაშაულის (სსკ-ის 11¹ მუხლი) ან ოჯახში ძალადობის (სსკ-ის 126¹ მუხლი) კვალიფიკაციით. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-19 მუხლის: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი“ მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საგამოძიებო საქმე უნდა აწარმოოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა პოლიციელმა. აგრეთვე, არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოქმედებები უნდა განახორციელოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა¹⁷. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუ ძალადობრივ ქმედებაზე დაწყებული არ არის გამოძიება და საჭიროა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლებრივი მექანიზმებით გათვალისწინებული შემაკავებელი ორდერის გამოცემა, ძალადობასთან დაკავშირებით, არასრულწლოვნის გამოკითხვის წარმოებისას აუცილებელი არ არის, რომ მეკონტაქტე პოლიციელი იყოს სპეციალიზებული.

თუ ძალადობრივ ქმედებაზე ხდება არასრულწლოვნის გამოკითხვა მხოლოდ შემაკავებელი ორდერის გამოცემის უზრუნველსაყოფად, მისგან ახსნა-განმარტების ჩამორთმევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების: „პირის გამოკითხვა“ ჩატარების წესით¹⁸; ეს გულისხმობს, რომ სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პოლიციელი უფლებამოსილია გამოკითხოს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მას აქვს საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია. პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია. 14 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. პირს უნდა განემარტოს საპოლიციო ღონისძიების განხორციელების საფუძველი, თუ ეს ხელს არ შეუშლის პოლიციას, შეასრულოს ამ კანონით დაკისრებული ფუნქციები. ღონისძიების განხორციელებამდე პირს უნდა განემარტოს, რომ მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. სხვა კანონიერ წარმომადგენელში მოიაზრება, პირველ რიგში, არამოძალადე ოჯახის წევრი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოწვევის შემთხვევებში თუ შეუძლებელი იქნება 14 წელს მიღწეულ პირთან გასაუბრების პროცესზე ოჯახის სრულწლოვანი წევრის დასწრება, ეს არ ჩაითვლება პოლიციის შესახებ კანონის მოთხოვნის უგულებელყოფად.

ასეთ შემთხვევაში აგრეთვე გასათვალისწინებელია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც აკრძალულია შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით. ასევე დაუშვებელია მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების გაცნობა ან გადაცემა¹⁹.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში არ არის არამოძალადე სრულწლოვანი წევრი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობა ან დღე-ღამის პერიოდი საღამოს 18:00 საათიდან დილის 09:00 საათამდე, ანდა დასვენების ან უქმე დღე, ვატყობინებთ სოციალური მომსახურების სააგენტოს სატელეფონო ნომრის – „15-05 ცხელი ხაზის“ საშუალებით და არასრულწლოვნის გამოკითხვა და შემდგომი მოქმედებები ხორციელდება ამ უწყების უფლებამოსილი პირის თანდასწრებით²⁰.

¹⁷ იქვე, მუხლი 19.

¹⁸ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, 2013, მუხლი 19.

¹⁹ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, 2006, მუხლი 17.

²⁰ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის

4. შინაგან საქმეთ სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებისა და გასაუბრების წარმართვის თავისებურებანი, შემაკავებელი ორდერის გამოცემა

ძალადობასთან დაკავშირებულ გარემოებებში გარკვევამდე და მათ შემდეგაც პოლიციელმა უნდა იმოქმედოს განსაკუთრებული სიფრთხილით; ყურადღება მიაქციოს სავარაუდო მოძალადეს, აგრეთვე სხვა პირებს. არ დატოვოს მათი მოქმედებები კონტროლის გარეშე, რათა დროულად იქნეს აღკვეთილი მათ მიერ სხვისთვის ან საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების საშიშროება. ამასთან, სავარაუდო მოძალადისა და სხვა პირთა გამოკითხვის დროს პოლიციელს შეუძლია დამატებით გაითვალისწინოს ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები:

- კონფლიქტის მონაწილე მხარეები გამოკითხეთ ცალ-ცალკე, მინიმუმადე შეამცირეთ სავარაუდო მოძალადის ჩარევის შესაძლებლობა მსხვერპლის გამოკითხვის პროცესში;
- ყურადღებით მოისმინეთ სავარაუდო მოძალადის ვერსია მომხდარის თაობაზე;
- ყურადღება გაამახვილეთ ყველა იმ გარემოებაზე, რომლებზეც სავარაუდო მოძალადე უთითებს;
- აკონტროლეთ სიტუაცია, არ მისცეთ საშუალება სავარაუდო მოძალადეს, სხვა მიმართულებით წაიყვანოს საუბარი (მათ შორის, გაიხსენოს წარსული, ისაუბროს კონფლიქტის წინა ისტორიებზე და ა.შ.);
- თავი აარიდეთ ბრალდებებს სავარაუდო მოძალადის მისამართით, რამაც იგი შეიძლება გააღიზიანოს და შეეცადოს თავი დაიცვას;
- თუ სავარაუდო მოძალადე აღელვებულია, დასვით და დააწყნარეთ იგი;
- გააცნობიერეთ და გაითვალისწინეთ სავარაუდო მოძალადის მდგომარეობა, მისი წუხილი, სიბრაზე, გაღიზიანება;
- დააფიქსირეთ და სათანადო დოკუმენტში (ახსნა-განმარტება, რეაგირების ოქმი) ასახეთ სავარაუდო მოძალადის უნებური აღიარებები, „ცოტა დავარტყი კიდევ“

„ვაიძულე ჩემთვის მოესმინა“

„ვაიძულე ანგარიში გაეწია ჩემთვის“

და ა.შ.;

- სავარაუდო მოძალადეს ნუ ეტყვი, რომ თავად მსხვერპლმა გამოიძახა პოლიცია, მიუთითეთ, რომ თქვენ არ გაქვთ ამის თქმის უფლება, რომ თქვენ მხოლოდ გადმოგცეს გამოძახების თაობაზე ინფორმაცია და ა.შ.;
- პირდაპირი და მარტივი შეკითხვების დასმით გამოიკვლიეთ:
 - ✓ კონფლიქტის დაწყებისა და მისი განვითარების ქრონოლოგია;
 - ✓ პირები, რომლებიც შეესწრნენ კონფლიქტს;
 - ✓ მიყენებული დაზიანებები, სამედიცინო დახმარების საჭიროება;
 - ✓ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.

(რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 7.

მომხდარი ინციდენტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიციელის პროფესიონალიზმთან. მისი გარეგნული მოწესრიგებულობა, თავაზიანობა და კეთილგანწყობა, დამაჯერებელი საუბარი კანონის, მაგრამ რიგითი მოქალაქეებისათვის გასაგებ ენაზე წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ქვემოთ წარმოდგენილი რჩევები უთუოდ დაეხმარება პოლიციელს აღნიშნულ ვითარებაში გარკვევასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

- დამტვრეული ავეჯი ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, სავარაუდოდ მსვერპლის სხეულის ხილულ ადგილებზე არსებული ჩალურჯებები ან სხვა დაზიანებები, ნამტირალევი თვალები, ფერმკრთალობა, საერთო სისუსტე ან სხეულის გამოფიტვა, როდესაც ოჯახის საერთო მდგომარეობა, ერთი შეხედვით, ეკონომიკურ გაჭირვებაზე არ მიანიშნებს, საკმარისია იმის სავარაუდოდ, რომ შესაძლოა ოჯახში ადგილი ჰქონდეს ძალადობას. ასეთ დროს პოლიციელი მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს დაზარალებულს, გააცნოს მას თავისი უფლებები, განუმარტოს ძალადობის არსი და მისი განმეორებადი ბუნება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ძალადობა ერთხელ მოხდა და ის რეაგირების გარეშე დარჩა, დიდია ალბათობა იმისა, რომ ის კიდევ განმეორდება და სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მოქმედება; აუხსნას სავარაუდოდ მსხვერპლს შემაკავებელი ორდერის არსი და ამ ორდერით გათვალისწინებული მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების დანიშნულების შესახებ. შეეცადოს განუმარტოს მას, რომ უმჯობესია ძალადობის აღკვეთა ადრეულ ეტაპზე მოხდეს, ვიდრე უფრო მძიმე, აგრესიულ ფორმაში გადაიზარდოს და აუცილებელი გახდეს მოძალადის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფრო მკაცრი ღონისძიებების განხორციელება;
- საჭიროების შემთხვევაში, პოლიციელი უზრუნველყოფს ძალადობის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის გამოძახებას ან შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თუ ეს უფრო ეფექტური იქნება, მსხვერპლის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში. სამედიცინო პერსონალის გამოძახება უნდა მოხდეს ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სახეზეა დაზიანებები, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიციურ დახმარებას. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ჯანმრთელობის დაზიანება ოჯახში ძალადობას უკავშირდება თუ გამოწვეულია სხვა მიზეზით. სამედიცინო პერსონალის გამოძახება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ თვითონ დაზარალებული დაზიანებების წარმოშობას საყოფაცხოვრებო ტრავმით ხსნის (ხელი დაეწვა, გაეჭრა სამზარეულოში საქმიანობის დროს, ან მის სხეულზე არსებული ჩალურჯებები სააბაზანოში ფეხის დაცურების შედეგად მიიღო) და არ ითხოვს გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში;
- სამედიცინო პერსონალის გამოძახების შემთხვევაში, არსებული დაზიანების ბუნებასთან დაკავშირებით მოხდეს გასაუბრება ექიმთან; საჭიროების შემთხვევაში, გამოთხოვილ იქნეს ცნობა, არსებული დაზიანებების დახასიათებისა და გაწეული დახმარების შინაარსის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შესაძლებელია დაერთოს საქმის მასალებსაც;
- თუ ამის აუცილებლობა იქნება, პოლიციელი მსხვერპლის თხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში განახორციელებს მისი ან/და არასრულწლოვანი მსხვერპლის გადაყვანას თავშესაფარში; მსხვერპლის სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წამოღებას. საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში, პირველ რიგში, მოიაზრება მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სურათიანი და ბეჭდით დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის დადგენა, არასრულწლოვნის შემთხვევაში – დაბადების მოწმობა²¹.

²¹ დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგების სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, 2011, გვერდი 70-73.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 14 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პოლიციელს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება.

ამ გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება გახდეს ისეთი გარემოებები, როდესაც მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანით შესაძლებელია მისი უფლებები უფრო მეტად იზღუდებოდეს. საცხოვრებელი გარემოდან დაშორების გამო, პრობლემები შეექმნება სამსახურთან დაკავშირებით, მასზე დამოკიდებული არასრულწლოვნები დაშორდებიან სწავლის ადგილს და შეექმნებათ გარკვეული პრობლემა განათლების მიღებასთან დაკავშირებით. მსგავს შემთხვევებში, კანონის მე-18² მუხლის შესაბამისად, თუ მსხვერპლი არ სარგებლობს თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით და მას სურს დარჩეს საცხოვრებელ ადგილზე, დამცავი ან შემაკავებელი ორდერით განისაზღვრება მისი საცხოვრებელი ადგილიდან მოძალადის დროებით გარიდების საკითხი. პოლიცია უფლებამოსილია, დამცავი ან შემაკავებელი ორდერის შესაბამისად, მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ადგილი მოძალადის საკუთრებაა²².

ამ კანონისმიერი უფლებამოსილების განხორციელება, ბუნებრივია, არ ჩაითვლება მოძალადის მიმართ საკუთრების უფლების ხელყოფად.

მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, ნებისმიერ შემთხვევაში პოლიციელი ვალდებულია უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც აცნობა ძალადობის ფაქტის თაობაზე. პირველ რიგში, მოწმეს უნდა გადასცენ პოლიციის საკონტაქტო ინფორმაცია და განუმარტონ, რომ მის მიმართ მოძალადის მხრიდან მუქარის ან ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს პოლიციას. გარდა ამისა, თუ მოძალადე პირდაპირ მიანიშნებს, რომ შეეცდება სამაგიერო გადაუხადოს ძალადობის მოწმეს, გააფრთხილონ იმის თაობაზე, რომ მის მიმართ განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მუქარა სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების შესახებ მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნება გამოხატული, როდესაც მუქარის ადრესატს, ანუ იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდება მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში, შესაძლებელია დაიწყოს გამოძიება.

შეტყობინებაზე რეაგირების შემდეგ, თუ მტკიცებულებათა (ახსნა-განმარტებები, ნივთიერი მტკიცებულებები) სრული და ობიექტური გამოკვლევით დადასტურდება ოჯახში ძალადობის ფაქტი, პოლიციელი კანონით დადგენილი წესით გამოსცემს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 2 ივლისის №491 ბრძანებით დამტკიცებულ შემაკავებელ ორდერს, ერთ თვემდე ვადით. ამ საკითხთან დაკავშირებით, 2018 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამავე წლის 13 ივლისის №81 ბრძანება, რომლის თავისებურებაზეც მომდევნო გამოცემებში გავაკეთებთ განმარტებას.

შემაკავებელი ორდერი იწერება სამართალწარმოების ენაზე, ცხადად და გასაგებად. იგი შეიძლება დაიწეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შემაკავებელი ორდერი არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი; არც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს 669-ე ბრძანებით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხაში არ არის შემაკავებელი ორდერი მოხსენიებული, თუმცა პრაქტიკაში ის ასეთად გვევლინება. მაგრამ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების პროცედურების გადადება წარმოშობს გონივრულ მოლოდინს, რომ მსხვერპლის მდგომარეობა მნიშვნელოვნად

²² „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 18².

გაუარესდება და პრაქტიკაში დამკვიდრებული ოქმის ფორმა ვერ მოვიპოვეთ, კანონის ჩანაწერის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აღნიშნული დოკუმენტი გამოიცეს კანონში მითითებული ერთ-ერთი ფორმით, ანუ დაიწეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

შემაკავებელი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე. იგი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ ჰბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს, ხოლო შემაკავებელი ორდერის ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ ორგანოში. აუცილებელია გამახვილდეს ყურადღება იმ ნორმაზე, რომ ორდერი ძალაში შედის პოლიციელის მიერ დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ; ის გარემოება, რომ თუ არ არსებობს ცნობა ძალადობაში მონაწილე მხარეების მიერ ორდერის მიღებაზე, არ აჩერებს შემაკავებელი ორდერის მოქმედებას, გამომდინარე აქედან, მისი მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოშობს შემდგომი სამართლებრივი რეაგირების განხორციელების ვალდებულებას პოლიციელთა მხრიდან.

შემაკავებელი ორდერის ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგ ერთეულებს:

- ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით;
- საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, შესაბამისი ინფორმაციის სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის, სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისა და სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, თუ შემაკავებელი ორდერი იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება.

შემაკავებელი ორდერი აგრეთვე ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება.

მსხვერპლმა ან მოძალადემ შემაკავებელი ორდერი შეიძლება გაასაჩივროს მისთვის ამ ორდერის გადაცემიდან/ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სასამართლოს მიერ შემაკავებელი ორდერის გაუქმების შემთხვევაში დაუშვებელია პოლიციის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ეჭვის შეტანა: პოლიციელმა იმოქმედა ძალადობის შემთხვევაზე ოპერატიული რეაგირების დროს, არსებული გარემოებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენის საფუძველზე. თუ მოსამართლეს მასალების განხილვის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ვერ შეექმნა მსგავსი დამოკიდებულება, ეს გამოწვეული შეიძლება იყოს მრავალი გარემოებით; სახელდობრ: მეორე დღეს ძალადობაში მონაწილე მხარეები შერიგებული მიდიან სასამართლოში, ოჯახში მოძალადე ინანიებს თავის ქმედებას და სხვა. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია დოკუმენტებში იმ ემოციებისა და განწყობის დაფიქსირება, რომლის აღქმაც მხოლოდ შემთხვევის ადგილზე მორეაგირე პირს შეიძლება გაუჩნდეს ოჯახის წევრების საქციელზე დაკვირვებიდან გამომდინარე.

თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხის განხილვისას იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხის განხილვის პარალელურად საქმის მასალები ქვემდებარეობის მიხედვით ეგზავნება შესაბამის ორგანოს სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადასაწყვეტად.

ოჯახში ძალადობის ფაქტებზე აგრეთვე ივსება შს მინისტრის ამავე ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმი, რომელშიც არის ძალადობის ფაქტის დეტალური აღწერილობა. აღნიშნული დოკუმენტის ადმინისტრაციული წესით დამოწმებული ასლი იგზავნება ზედამხედველ პროკურორთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიციელთა ფუნქციაა, ასევე იზრუნოს ძალადობის აღკვეთის ღონისძიების შემდგომ პერიოდზეც. პოლიციელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მისი წასვლის შემდეგ საკითხი ოჯახის წევრთა განსჯის სფერო იქნება და არ უნდა დატოვოს ოჯახში ისეთი ვითარება, რომელიც მისი წასვლის შემდეგ მდგომარეობის კიდევ უფრო გაართულებას გამოიწვევს²³.

5. ოჯახში ძალადობის ფორმების იდენტიფიცირება

ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალადობის ფორმის იდენტიფიკაციისა და მისი ხარისხის განსაზღვრის საკითხები. როგორც ზემოთ აღინიშნა, “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

საქართველოს კანონით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის შემდეგი ფორმები: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და იძულება, არასრულწლოვანთან მიმართებაში აგრეთვე მისი კანონიერი ინტერესების უგულვებელყოფა. ძალადობის თითოეული ფორმის აღწერა-დახასიათებას, მათ გამოიწვევასა და სრულყოფილი იდენტიფიკაციის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალადობის ფაქტზე სწორი რეაგირების უზრუნველყოფისათვის.

კანონის მიხედვით, ფიზიკური ძალადობა არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

კანონის მიხედვით, ფიზიკური ძალადობის ყველაზე მსუბუქი გამოვლინებაა ცემა, ანუ სისტემატური დარტყმები, ან ერთჯერადი ფიზიკური ძალადობა, რომელიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს. დარტყმა, რომელსაც ფიზიკური ტკივილი ან დაზიანება არ მოჰყოლია, ცემად ვერ ჩაითვლება. ძალადობის ყველაზე მძიმე გამოხატულება კი შეიძლება იყოს ისეთი აგრესიული მოქმედებები, როგორსაც შედეგად სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება. ამ ვითარების გათვალისწინებით, ფიზიკური ძალადობის გარეგნული ნიშნები შეიძლება იყოს:

- შეშუპებები და დასიებული სახე, რაც შესაძლებელია წარმოშობილიყო ფიზიკური ზემოქმედებით;
- ძვლოვანი მოტეხილობები;
- სხვადასხვა წარმოშობის ჭრილობები;
- სხვადასხვა წარმოშობის დამწვრობები (გავარვარებული საგნით, ადუღებული სითხით და სხვა);
- სხვა იმგვარი ნიშანი, რაც ფიზიკური ძალადობის აშკარა კვალზე მიუთითებს (ამოგლეჯილი თმა, ახეული ყური და სხვა);
- ცუდად ნამკურნალები ფიზიკური დაზიანებები.

სექსუალური ძალადობა არის სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება, ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

²³ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10.

სექსუალური ძალადობა ხელყოფს ადამიანის სქესობრივ თავისუფლებას, პირის უფლებას, თვითონ აირჩიოს სქესობრივი პარტნიორი. მოძალადე სქესობრივ კავშირს ამყარებს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. სექსუალური ძალადობა აგრეთვე ხელყოფს სქესობრივ ხელშეუხებლობას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ კანონით დადგენილ შემთხვევაში პირთან სქესობრივი კავშირი დაუშვებელია მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი. სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ სრულწლოვანი წინასწარი შეცნობით ახორციელებდეს სექსუალური ხასიათის ძალადობას 16წელს მიუღწევლთან. რაც შეეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედ ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, მნიშვნელობა არა აქვს მოძალადის ასაკს; ძალადობის ფაქტი საჭიროებს კანონით გათვალისწინებულ რეაგირებას მსხვერპლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენის მიზნით. სექსუალური ძალადობის მსხვერპლები აგრეთვე შეიძლება გახდნენ პირები, რომლებიც ფსიქიკური ან სხვა მდგომარეობის გამო იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში. სქესობრივ ძალადობად ითვლება აგრეთვე გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ. აღნიშნული ქმედებები, ისევე როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი რეაგირების საფუძველს და მათი ზუსტი კვალიფიკაციისათვის სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური კრიტერიუმები იქნება გასათვალისწინებელი. ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოძალადე და დაზარალებული ამავე კანონით გათვალისწინებული პირები არიან, რაც პოლიციელის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემაკავებელი ორდერის გამოცემის აუცილებლობას წარმოშობს, მიუხედავად იმისა, დაიწყება თუ არა გამოძიება. ძალადობის ამ ფორმის გამოვლენის ძირითადი ინდიკატორები უმეტესად ემთხვევა ფიზიკური ძალადობის ინდიკატორებს, ვინაიდან აქაც ზოგ შემთხვევაში ფიგურირებს ძალადობა, თუმცა შეიძლება დამატებითი ინდიკატორების გამოყოფაც:

- მსხვერპლი თავს არიდებს მომხდარის თაობაზე საუბარს, ან პირიქით;
- სქესობრივი კავშირის თემაზე საუბრობს საკმაოდ გახსნილად და ასაკთან შედარებით უჩვეულოდ გათვითცნობიერებულად გამოიყურება;
- სავარაუდო მსხვერპლს უჭირს სიარული, ფეხის ტერფების ან სხეულის სხვა ნაწილში არსებული მწვავე ტკივილების გამო;
- კიდურებზე შეიმჩნევა სისხლჩაქცევები ან სხვა სახის დაზიანებები, რომლებიც წააგავს ძალადობის, ვთქვათ ხელების გადაგრეხის შედეგს;
- ყელის ან კისრის არეში შეიმჩნევა მოჭერის შედეგად წარმოშობილი დაზიანებები.

ფსიქოლოგიური ძალადობა არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

ძალადობის ამ ფორმის განსაკუთრებული ბუნება იმაში გამოიხატება, რომ გარდა დამოუკიდებლად არსებობისა, ის ძალიან ხშირად (არ არის გამორიცხული, ყოველთვის) ახლავს ძალადობის სხვა ფორმებსაც. ეს ბუნებრივიც არის, თუ ადამიანზე ერთხელ მაინც განხორციელდა ძალადობა რაიმე ფორმით, მას ასეთი ფაქტების განმეორების შიში დიდი ალბათობით ექნება. შესაძლებელია ძალადობა უშუალოდ მსხვერპლზე არ ხორციელდებოდეს, მაგრამ ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული ძალადობრივი ურთიერთობები ამ პიროვნებაზეც, მისი ხანდაზმულობის, მცირეწლოვნობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო დამრთავუნველად მოქმედებდეს. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული ყურადღება და პროფესიული ალღოა საჭირო, რომ არ დაგვრჩეს ოჯახის რომელიმე წევრი გამოსაკითხი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შესაძლოა ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე მეტად გავრცელებული ძალადობის ფორმაა, თუმცა, ერთი შეხედვით, თვალში საცემ სამხილებს ნაკლებად ტოვებს ძალადობის მსხვერპლზე, რაც თავისთვად ართულებს მის იდენტიფიკაციას.

ფსიქოლოგიური ძალადობის ინდიკატორებად შეიძლება გამოდგეს შემდეგი გარემოებები:

- პოსტტრავმული სტრესი;
- ფსიქოლოგიური გაუმართაობა (არაადეკვატური რეაქცია, შეკითხვებზე არაადეკვატური პასუხები);
- დამაბული სიტუაციის დროს შიშის გამოვლენა;
- დასმულ შეკითხვებზე წინასწარ მზა პასუხების არსებობა;

ეკონომიკური ძალადობა არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

აქ მცირე კომენტარს საჭიროებს გარემოებები: საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის შეზღუდვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით ემყარება მეუღლეთა თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის მიხედვით, „მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს“, ხოლო კოდექსის 1183-ე მუხლის მიხედვით, „შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან“. აღსანიშნავია მშობელთა მოვალეობები შვილების მიმართ. სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მიხედვით, „მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება“. ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მიხედვით, „შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი, შრომისუუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ“, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1223-ე მუხლი ითვალისწინებს და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობას, რომლის მიხედვით, „დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან/და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.“

ეს არის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები. არასრულწლოვანთა მიმართ მოვალეობების შეუსრულებლობა აგრეთვე გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლით მშობლების ან მათი შემცვლელი პირების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, „ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობის ბოროტად შეუსრულებლობისათვის“. გამომდინარე აქედან, არასრულწლოვნის მიმართ ეკონომიკური ძალადობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს მოძალადის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხიც, ზემოთ მითითებული ნორმის შესაბამისად.

ეკონომიკური ძალადობის ინდიკატორად შეიძლება დასახელდეს შემდეგი გარემოებები:

- სამედიცინო დახმარების არაღმოჩენის ნიშნები;
- გამოფიტვა;
- გაუწყობა;
- ცუდი პირადი ჰიგიენა.

ძალადობის კიდევ ერთი ფორმა იძულება, ე.ი. ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება²⁴;

იძულება ნიშნავს პიროვნების თავისუფალი ქმედების შეზღუდვას ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. სწორედ ამიტომ ძალადობის ამ ფორმის არსებობისას შესაძლოა სახეზე გვქონდეს გარეგანი გამოხატულების ის ნებისმიერი ინდიკატორი, რომელიც ძალადობის სხვა ფორმებს ახასიათებს. ამ თავისებურების გათვალისწინებით, იძულების გამოსაკვეთად აუცილებელია გამოკითხვით მიღებული ინფორმაციების ურთიერთშეჯერება. იძულების ყველაზე მეტად გავრცელებული და გამოკვეთილი ფორმებია მათხოვრობის იძულება, ანდა ხანდაზმულისათვის ანდერძის შედგენის იძულება და სხვა. იძულებად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, როდესაც პიროვნებას ოჯახის წევრები შეასრულებინებენ იმ მოქმედებას, რომელიც მისი ვალდებულებაა. მაგალითად, არასრულწლოვანს აღვიძებენ დილით ადრე, რათა არ დაავიანოს სასწავლებელში, ბავშვს მოსთხოვენ გაკვეთილის სწავლას, ან უკრძალავენ რაიმე ანტისაზოგადოებრივი ქმედების განხორციელებას, ავადმყოფს მოუწოდებენ (რა თქმა უნდა ცივილური მეთოდებით და არა რაიმე სამედიცინო ექსპერიმენტის განხორციელების მიზნით) წამლის დალევას და სხვა.

იძულება, სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს და თუ რეაგირების დროს მოძალადის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ეს გარემოება არ გამორიცხავს მოძალადის მიმართ შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერის გამოცემის აუცილებლობას.

მეტად საინტერესოა ძალადობის „მე-6“ ფორმა, რომელიც ოჯახში ძალადობის განმარტების დასაწყისშივეა მოხსენიებული, თუმცა ის მხოლოდ 2014 წლის 17 ოქტომბრიდან გაჩნდა კანონში.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მიხედვით, უგულებელყოფა, ანუ არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა ნიშნავს მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას, საფრთხისაგან დაუცველობას, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვას, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობას, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერი წარმომადგენელს ან/და პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

როგორც განმარტებიდან ჩანს, ძალადობის ეს ფორმა მხოლოდ ბავშვის წინააღმდეგ შეიძლება ხორციელდებოდეს. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება მოგვეჩვენოს ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის, ცალკეულ შემთხვევებში აგრეთვე ფიზიკური ძალადობის ერთობლიობად, მაგრამ კანონისმიერი განმარტების განხილვის შემდეგ იკვეთება ზოგიერთი თავისებურება, რომლებზე ყურადღების გამახვილებაც საჭიროდ მივიჩნით. მშობლის მხრიდან შვილის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე ვისაუბრეთ ეკონომიკური ძალადობის განხილვის დროს, რაც უგულებელყოფის შემთხვევებშიც გასათვალისწინებელია. რაც შეეხება მოძალადეს, ბავშვთან მიმართებაში აქვს ფართო შინაარსი და კანონით განსაზღვრული ოჯახის წევრის გარდა, ასეთად შეიძლება მოგვევლინოს სხვა კანონიერი წარმომადგენელი ან/და პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამავე კანონის მიხედვით, შეიძლება დაკავშირებული იყოს არასრულწლოვანთან. ამ პირების შესახებ ასევე გაკეთდა განმარტება თავის დასაწყისში და აქ აღარ გავიმეორებთ.

²⁴ დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგების სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, თბილისი, 2011, 74-78.

უფლებელყოფის განმარტებაში მოცემულია ვრცელი ჩამონათვალი მშობლის ან სხვა პირის მიერ ბავშვთან დაკავშირებით განსახორციელებელი ვალდებულებებისა, თუმცა ის, რომ ბავშვზე ამ პირების მხრიდან გათვითცნობიერებული ძალადობის ფაქტი დაფიქსირდეს, აუცილებელია სამი გარემოების ერთობლივი არსებობა. ეს გარემოებებია, როდესაც მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ):

- სათანადო ინფორმაცია;
- შესაძლებლობა;
- და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

სათანადო ინფორმაციაში, მაგალითად, იგულისხმება, რომ პირმა იცის, ბავშვს სჭირდება დაბადების მოწმობა, მაგრამ არ უღებს. ესაჭიროება სკოლაში სიარული, მაგრამ არ ატარებს და სხვა.

შესაძლებლობაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ეკონომიკური შესაძლებლობა აქვს, მაგრამ გარკვეული მოსაზრებების, შეხედულებისა და ბავშვისადმი დამოკიდებულების გამო არ ასრულებს.

ხელმისაწვდომობაში იგულისხმება ის, რომ ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო. მაგალითად, შესაძლებელია მშობელს გათვითცნობიერებული აქვს ბავშვისათვის განათლების მიღების აუცილებლობა, სათანადო სასკოლო ინვენტარი და სხვა საჭიროებებიც შეიძინა, თუმცა ბავშვი მაინც ვერ იღებს სრულფასოვან განათლებას იმ მიზეზით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ძალიან მოშორებულია საცხოვრებელი ადგილიდან, ან რთულ კლიმატურ პირობებში შეუძლებელი ხდება სკოლაში გადაადგილება.

ზემოაღნიშნული პირველი ორი გარემოების დროს, ბუნებრივია, დადგება მშობლის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც შეეხება მესამეს, ეს შეიძლება ყოველთვის მშობლის ან მისი შემცველი პირის ნებელობაზე არ იყოს დამოკიდებული. თუ ეს ვალდებულებები ვერ სრულდება ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბუნებრივია, პასუხისმგებლობის საკითხის დასმა გამორიცხულია, თუმცა ბავშვი ძალადობის მსხვერპლია და მისი სოციალური დაცვის გარანტიების შექმნის უზრუნველსაყოფად ამ კანონით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება სავალდებულოდ რჩება.

რაც შეეხება ძალადობის ინდიკატორებს, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ძალადობის ინდიკატორები; მაგრამ ბავშვებთან ამ ინდიკატორების აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით: „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე არსებული სამართლებრივი აქტები და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეგვემუშავებინა რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირებისათვის, რათა მათი საქმიანობა უფრო ეფექტიანი და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული გახდეს. ბუნებრივია, გამოთქმული მოსაზრებები, მიუხედავად იმისა, რომ ეყრდნობა აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებულ საქართველოს სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს, ძირითადად მაინც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის რჩევებს, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებზე, როგორც არის პირველადი რეაგირება, ძალადობაში მონაწილე მხარეებისა და ძალადობის ფორმების იდენტიფიკაცია.

სწორედ ამიტომ, ის ვერ იქნება დირექტიული ხასიათის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიციელი უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევასთან დაკავშირებული მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებით, მაგრამ ცალსახად – საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

ილია ხუციშვილი¹

სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები ფარული საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისას

შესავალი

სამართალდამცავი ორგანოები (შსს, პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური და სხვ.) ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან შეხებაში მყოფი სტრუქტურებია, რადგან სწორედ მათი კომპეტენციის ფარგლებში შედის საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება დანაშაულის გასახსნელად, ანდა კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად; ამიტომ, მათი საქმიანობის სათანადოდ რეგულირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის უფლებების დაცვას მათში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ჩარევისაგან.

იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული პირთა ინტერესის გაუმართლებელი შეზღუდვა საჯარო ინტერესის სახელით, მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო უფლებამოსილება და პრაქტიკა ისე იქნას განვითარებული, რომ კანონმდებლობის საფუძველზე დაცული იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები და მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები ქვეყანაში არსებული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის რეალური ღონის მაჩვენებელია.

სამართლებრივი სახელმწიფო ისეთი სახის სამართალდამცავი მექანიზმის შექმნას გულისხმობს, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს კანონის უზენაესობასა და კონსტიტუციის დაცვას. საქართველოში, ისევე როგორც განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას სახელმწიფო სტრუქტურები უზრუნველყოფენ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სამართალდამცავ ორგანოებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარული საგამომიებო მოქმედებების დამატებამ გამოიწვია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა დაყოფა და საპროცესო კოდექსმა, ფარული საგამომიებო მოქმედებების სახით, განსაზღვრა ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა ჩასატარებლად აუცილებელია სასამართლოს განჩინება. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია მათი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, ამიტომ მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ერთი მხრივ, ოპერატიული საქმიანობა, რომელსაც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი არეგულირებს და წინ უსწრებს გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას და მეორე მხრივ, საგამომიებო საქმიანობა, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს.

¹ საპოლიციო რეგულირების სამართლის მაგისტრი; ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (New Vision University) - სამართლის დოქტორანტი.

1. ფარული საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სამართლებრივი საფუძველი

ნებისმიერ ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის გამოძიებასთან, დანაშაულის გახსნასთან, სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოებასა თუ სამართალდარღვევის პრევენციასთან, გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც ხდება კონკრეტული ქმედებებისა თუ ღონისძიებების განხორციელება და ლეგიტიმაცია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI¹ თავით განსაზღვრული ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსსკ-ის 143³ პრიმა მუხლი. ეს მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველებს და ადგენს მისი განხორციელების პროცედურებს, ხოლო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარება.

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების საფუძველია, პროკურორის მიერ ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის დავალება მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ. შესაბამისად, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძველებს ადგენს როგორც გამოძიების მიმდინარეობისას („ა“ ქვეპუნქტი), ასევე იმ პერიოდშიც, როდესაც გამოძიება დაწყებული არ არის („ბ“ ქვეპუნქტი).

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოს მიერ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ სამართლებრივ დასაყრდენს, რომელშიც მოცემულია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების როგორც ფორმალური, ისე მატერიალური საფუძველები.

გამომიების დაწყების ეტაპზე შესაძლებელია არ იყოს გამოკვეთილი კონკრეტული პირი, რომლის მიმართაც იარსებებს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. დანაშაულებრივი ქმედების კონკრეტული პირის მიერ ჩადენის გარკვევა უკავშირდება მის მიმართ განხორციელებულ ოპერატიულ-სამძებრო და ფარულ საგამომიებო მოქმედებებს; ამ დროს დგინდება, თუ რამდენად იკვეთება ჩადენილ დანაშაულში ამა თუ იმ პირის ბრალეულობა, აღნიშნული საკითხი აქტუალური შეიძლება იყოს როგორც გამოძიების დაწყებამდე, ასევე მისი მიმდინარეობისას.

ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია, რა დროს არის დანაშაულთან მიმართებით განცხადება ან შეტყობინება გამოძიების დაწყებისთვის არასაკმარისი საფუძველი, მაგრამ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დაწყებისათვის საკმარისი შინაარსის. სწორედ აქ ვლინდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსი: ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ნებისმიერი ინფორმაციის გადამოწმებისაკენ არის მიმართული. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, ზოგადად, ორი სახისაა:

1) ღონისძიება, რომელიც ტარდება მოსამართლის ნებართვით;² 2) ღონისძიება, რომელსაც არ სჭირდება მოსამართლის თანხმობა.³ ორივე სახის ღონისძიებისთვის ვადის გაგრძელების მექანიზმი და კონტროლის ფორმები ერთნაირია.

² სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს რომელიმე ორგანიზაციის ან სტრუქტურის ოფიციალურ პოზიციას; საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მე-8 მუხლი, პირველი პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, №1933, 30/04/1999.

³ გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, ფარული საგამომიებო მოქმედებები თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა? სტუ, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, თბილისი, 2012 წელი, 84–85.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ღონისძიებების ჩატარებისათვის განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხერხდა პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მოპოვება, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დღის წესრიგში დგება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადის გაგრძელების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადის გაგრძელებისათვის აუცილებელი პირობები არსებობს მაშინაც, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ტარდება მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე – მაშინ, როდესაც გამოძიება დაწყებულია და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზეც, როდესაც გამოძიება ჯერ არ დაწყებულა და არსებობს პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ დამატებითი მონაცემების მოპოვების საჭიროება.

რაც შეეხება ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელების სამართლებრივ საფუძველებს, აღნიშნული მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. 2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ცალკე თავად განისაზღვრა ფარული საგამომიებო მოქმედების სახეები, ჩატარების წესები და მისი ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირები. განისაზღვრა დანაშაულთა ის კატეგორია და პირთა წრე, რომელთა მიმართ შესაძლებელია ფარული თვალთვალი ან მიყურადება.⁴ აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, დასაშვებია ზოგიერთ ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, რომელიც საპროცესო კოდექსით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

ფარული საგამომიებო მოქმედება ტარდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის მოტოვირებული დადგენილებით, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. გამოდის, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელების სამართლებრივ საფუძველებს ქმნის როგორც საპროცესო კანონმდებლობა, ისე სპეციალური კანონები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ღონისძიება მტკიცებულებების მოპოვებისა და საქმეზე დამაგრებისათვის.

1.1 ოპერატიული სამსახურის როლი დანაშაულის გამოვლენასა და აღკვეთაში

დანაშაულის გამოვლენა და აღკვეთა/პრევენცია სახელმწიფოში უსაფრთხო გარემოს შექმნის უმთავრესი წინაპირობაა, რაც, პირველ რიგში, სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესის საგანს წარმოადგენს. ნებისმიერი სახელმწიფოს საზრუნავი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვაა. ყოველივე ამას კი სახელმწიფო უზრუნველყოფს ისეთი სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით,⁵ როგორცაა პოლიცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და სხვა სპეციალური სამსახურები, რომელთა ფუნქციაც არის სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა/პრევენცია, გახსნა, სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა.

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მომწესრიგებელი საქართველოს კანონების გვერდით, მათი საქმიანობის სამართლებრივ საფუძველებს ქმნის სპეციალური კანონები. ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143¹-ე მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, №1772, 09/10/2009.

⁵ საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მე-12 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, №1933, 30/04/1999.

საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ განსაზღვრავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსს.⁶ ოპერატიული საქმიანობა – ეს არის ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებულ სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის ამოცანაა დანაშაულის თავიდან აცილება/პრევენცია, მომხდარი დანაშაულის დროულად გახსნის ხელშეწყობა და საგამომიებო ორგანოების სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფა, დამნაშავე პირთა დადგენა/დაკავება, ასევე დაკარგული პირების ან ნივთების მოძიება.⁷

ოპერატიული სამსახურების მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთ მიზანს ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს. ამ მიზნით, ღიად ან ფარულად შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების გამოყენება,⁸ როგორცაა: პირის გამოკითხვა, ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი, საკონტროლო შესყიდვა, კონტროლირებადი მიწოდება, საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა, პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება), ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება და კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.⁹

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სამართალდაცვითი, ისე არასამართალდაცვითი მიზნებისათვის. არასამართალდაცვითი ოპერატიული ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება კონტრაზვერვითი ფუნქციის

მატარებელი სპეცსამსახურების მიერ სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,¹⁰ ხოლო სამართალდაცვითი მიზნებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების სახეები განსაზღვრულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება კონკრეტული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან სამართლდამრღვევი პირის იდენტიფიკაციის – დადგენის მიზნით დანაშაულის პრევენციისა და კონკრეტულ სამართალდარღვევაზე რეაგირების დროს.

შეიძლება ითქვას, რომ ოპერატიული საქმიანობის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროულობით, სანდოობითა და ობიექტურობით გამორჩეული ინფორმაციული უზრუნველყოფა. ოპერატიული სამსახურის საქმიანობა რიგ შემთხვევაში წინ უსწრებს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

გამომიების სტადიაზე ნებისმიერი საგამომიებო მოქმედების თუ სხვა პროცესუალური მოქმედებების ჩამტარებელი და ხელმძღვანელი გამომძიებელია, თუმცა საგამომიებო სამსახურს გაუძნელდება მხოლოდ საკუთარი ძალებით მონაცემების მოპოვება, მტკიცებულებათა აღმოჩენა, დამაგრება და ფიქსაცია. ამისათვის მას სჭირდება ოპერატიული სამსახურის შესაბამისი დახმარება, რაც გამოიხატება გამოსაძიებელი საქმის ირგვლივ მისთვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდებასა და ინფორმაციულ უზრუნველყოფაში.

ოპერატიული სამსახურების მიერ ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე დამოკიდებული საგამომიებო ორგანოს მიერ კონკრეტული დანაშაულის ირგვლივ მტკიცებულებების შეკრება და მათი სისხლის სამართლის საქმისთვის დართვა. ამიტომაც გამოძიება გარკვეულწილად დამოკიდებულია ოპერატიულ სამსახურზე, კერძოდ: ოპერატიული სამსახურის მიერ საგამომიებო ორგანოს ინფორმაციული უზრუნველყოფა ქმნის გარანტიას, რომ გამოძიება წარიმართება

⁶ იქვე, 1-ლი მუხლი, პირველი პუნქტი.

⁷ იქვე, მე-7 მუხლი.

⁸ საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, მე-3 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, №475-III, 22/03/2017.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის №11/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ევანგელისტები ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ქ. ბათუმი, 2007 წლის 26 დეკემბერი.

¹⁰ საქართველოს კანონი „კონტრაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, მე-2 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, №2097, 11/11/2005.

სრულყოფილად, ობიექტურად, ყოველმხრივ და საქმის შესახებ დადგინდება ჭეშმარიტება.

ოპერატიული სამსახურის მიერ სათანადო ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ხდება ინფორმაციის დამუშავება, რომლის დროსაც მიმდინარეობს კონკრეტული საქმისათვის საჭირო ინფორმაციის გამოკვეთა. ინფორმაციის დამუშავების შემდგომი ეტაპია ინფორმაციის ანალიზი და შემდეგ – რეალიზაცია, ამ დროს ხდება კონკრეტული ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად თუ სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის ასარიდებლად. ყოველივე ზემოაღნიშნული დანაშაულის ოპერატიულად გამოძიების ერთადერთი ეფექტური შესაძლებლობაა და, შესაბამისად, ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

1.2 საგამომიებო ორგანოს კომპეტენცია გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში

სამართალდამცავი ორგანოების ძლიერება განისაზღვრება მათთვის მინიჭებული საგამომიებო უფლებამოსილებითა და ფუნქციებით. პროკურატურა, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, უფლებამოსილია თავად აწარმოოს გამოძიება სრულად, მაგრამ სისხლის სამართლის საქმის სირთულისა და ჩასატარებელ საგამომიებო მოქმედებათა დიდი მოცულობის გამო პროკურატურა დახმარების გარეშე სრულად ვერ განახორციელებს გამოძიებას ყოველი დანაშაულის საქმეზე. ამიტომ, იგი გამოძიებას აწარმოებს გამოძიებლების მეშვეობითა და საგამომიებო ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. პროკურატურა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო, ზედამხედველობს სამართალდამცავი ორგანოების საგამომიებო ქმედებების კანონიერებასა და განსაზღვრავს მათ მიმართულელებს.¹¹

გამომიება დამოკიდებულია არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საგამომიებო მოქმედებებზე, არამედ იგი საჭიროებს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რომელიც ოპერატიული ინფორმაციის სახით მიიღება; მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი, მტკიცებულების სახეს აძლევს გამოძიებელი საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით,¹² განსაზღვრულია გამოძიების წარმოების კომპეტენციის მქონე შესაბამისი ორგანოები.

საგამომიებო საქმიანობასახორციელებენ, აგრეთვე, პროკურატურის გამოძიებლები. ზემოაღნიშნულ უწყებებში არსებული საგამომიებო დანაყოფები წარმოადგენენ საგამომიებო ორგანოებს, რომელთა ფუნქციაა ცალკეულ სფეროებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ საქმეთა გამოძიება.¹³ ცალკეულ საგამომიებო ორგანოებს შორის არ არის იერარქიული დაქვემდებარება, რადგან ისინი შედიან სხვადასხვა სამინისტროს შემადგენლობაში. თითოეული გამოძიებელი მოქმედებს იმ სახელმწიფო უწყების სახელით, რომლის შემადგენლობაშიც შედის შესაბამისი გამოძიების ორგანო.

უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ყველა გამოძიებელს გააჩნია თანაბარი პროცესუალური მდგომარეობა, მათ ენიჭებათ თანაბარი უფლება-მოვალეობები და მათ მიერ ჩატარებული საგამომიებო მოქმედებები თანაბარი იურიდიული ძალისაა.¹⁴

¹¹ საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, მე-14 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, №382, 21/10/2008.

¹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლი, პირველი ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, №1772, 09/10/2009.

¹³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №34 ბრძანება, „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“, საკანონმდებლო მაცნე, 07/07/2013.

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, №1772, 09/10/2009.

სწორედ საგამომიებო ორგანოს კომპეტენციაა ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რომლებიც განსაზღვრავს საგამომიებო ორგანოს როლს დანაშაულთან ბრძოლაში. სწორედ საგამომიებო ორგანოების კომპეტენციაში შედის ფარული საგამომიებო მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება თუ მოპოვებული მასალების შემდგომი დართვა სისხლის სამართლის საქმეში.

გამომიება იწყება საგამომიებო ორგანოს მიერ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ. შესაბამისად, გამომიების წარმოებისთვის საჭიროა არსებობდეს დანაშაულის ფაქტი ან/და ინფორმაცია ასეთი ფაქტის შესახებ, ხოლო გამომიება გულისხმობს ამ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცებულებების შეგროვებას.

გამომიების მიზანს წარმოადგენს სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირება, კონკრეტული პირის მიმართ სათანადო (დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი) მტკიცებულებების შეგროვება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის. გამომიებისას და სისხლისსამართლებრივი დევნისას, სხვადასხვა საგამომიებო ან/და საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას შეიძლება გამოიკვეთონ პირები, რომელთა მიმართაც შესაძლოა არსებობდეს ეჭვი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე (თუმცა არა დასაბუთებული ვარაუდი). შესაძლოა, ასევე არსებობდეს აღნიშნული ეჭვის გამამყარებელი გარკვეული მტკიცებულებები და საგამომიებო ორგანომ აღნიშნულის დასაბუთებლად თუ კიდევ უფრო გასამყარებლად განხორციელოს ფარული საგამომიებო ღონისძიებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელების არეალში შესაძლებელია, ბრალდებულის გარდა, მოექცნენ სხვა პირებიც, რომელთა მიმართაც ხორციელდება გარკვეული საგამომიებო მოქმედება დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობის გამო. ამიტომ, შესაძლებელია გამომიების პირობებში ფარული საგამომიებო მოქმედებები გავრცელდეს არა მხოლოდ დანაშაულის ჩამდენ სავარაუდო პირებზე, არამედ სხვა პირებზეც, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს დანაშაულის ჩადენის გარკვეული ეჭვი.¹⁵

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება წარმოუდგენელი იქნებოდა ჯეროვანი გამომიების გარეშე. საგამომიებო ორგანოებს არ უნდა შეექმნათ გაუმართლებელი დაბრკოლებები მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში, რადგან როგორც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „ეჭვგარეშეა, რომ დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. სისხლის სამართლის საქმეთა გამომიების შეუფერხებელი განხორციელება, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა უმნიშვნელოვანესი საჯარო ინტერესებია.“¹⁶

1.3 ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებების ურთიერთგამიჯვნა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებები გადავიდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეგულირების სფეროში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები. დღის წესრიგში დადგა ფარული

საგამომიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფუნქციონალური გამიჯვნის აუცილებლობა.

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის №2/1/572 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015 წლის 31 ივლისი.

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 23 მაისი, II.26.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები მიმართულია კონკრეტული დანაშაულის ირგვლივ მტკიცებულებების მოპოვებისა და შეკრებისაკენ, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მიზანი შეიძლება იყოს როგორც კონკრეტული დანაშაულის ირგვლივ მტკიცებულებების მოპოვება, ასევე მომზადების ეტაპზე დანაშაულებრივი ქმედების გამოკვეთა, როდესაც გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა ჯერ არაა დაწყებული; აქედან გამომდინარე, მისი მიზანია მოსალოდნელი დანაშაულის/სამართალდარღვევის თავიდან აცილება/პრევენცია.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა უფრო ფართოა თავისი განხორციელების ფორმითა და არსით, ვიდრე ფარული საგამოძიებო მოქმედებები. ორივე შემთხვევაში, ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში ცალკეული ღონისძიებების განსახორციელებლად აუცილებელია სასამართლოს ნებართვა, ვინაიდან მათი განხორციელება დაკავშირებულია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან, შესაბამისად, ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და თანაზომიერი.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა წინ უსწრებდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასაც, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას წინ უსწრებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და მის საფუძველზე მიღებული ინფორმაციით გადაწყდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაწყება.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მიმდინარეობს უწყვეტად, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციული უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია მათზე დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად შესრულებისა და სათანადო მოქმედებების განხორციელებისათვის, ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედებები მხოლოდ გამოძიების დაწყების შემდეგ ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში, როგორც ერთ-ერთი საგამოძიებო მოქმედება.

მართებულია დ. ლეკიაშვილის მოსაზრება¹⁷, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა წარმოადგენს არაპროცესუალურ საქმიანობათა ერთობლობას თუმცა ის მოქცეულია სისხლისსამართალწარმოების ფარგლებში; ამ დროს საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფა არის გარანტი, რომ სისხლისსამართალწარმოების დროს გამოძიება წარიმართება სრულყოფილად, ობიექტურად და დადგინდება საქმეზე ჭეშმარიტება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედებების დამატება სრულ გარანტიას იძლევა, რომ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მტკიცებულებად ჩაითვალოს და საჭირო არ გახდეს გამოძიებულების მიერ ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმება საგამოძიებო მოქმედებით; ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად მიღებული ინფორმაცია დასაშვებ მტკიცებულებად გადაიქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის საპროცესო

კანონმდებლობის გზით იქნება დამაგრებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მიმდინარეობს უწყვეტად როგორც გამოძიების დაწყებამდე, ისე მის შემდეგ, ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედებები – მხოლოდ გამოძიების ეტაპზე.

2. პოლიციის პრევენციული და ოპერატიულ-სამძებრო უფლებამოსილება

სამართალდამცავი ორგანოებისათვის საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ინფორმაციული უზრუნველყოფა, რომელიც ოპერატიული ინფორმაციის სახით მიეწოდება შესაბამის ორგანოს და გამოძიების დაწყებამდე ე.წ. წინასაგამოძიებო ეტაპს მოიცავს.

¹⁷ ლეკიაშვილი დ., ზოგადი მოსაზრებები საპროცესო და არასაპროცესო მოქმედებების თაობაზე, სტუ-ს I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია–„სამართლის აქტუალური პრობლემები“, თბილისი, 2011, 148-150.

აღნიშნული რიგ შემთხვევებში ხდება იმის საფუძველი, რომ საგამომიებო ორგანომ დაიწყო გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს წინასწარი გამოძიების ეტაპს,¹⁸ არამედ – გამოძიებას, როგორც ეს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იყო გათვალისწინებული და გარკვეულწილად ჰქონდა პრევენციული ფუნქცია.

მოქმედი კანონმდებლობით, დანაშაულის პრევენციის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით გათვალისწინებულ მექანიზმებს მიეკუთვნება პოლიციის პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის IV თავშია მოცემული.¹⁹ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, პოლიციის პრევენციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, ოპერატიულ საქმიანობასაც ითვალისწინებს და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონზე მიუთითებს.²⁰ თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ბუნდოვანია, როდის ხორციელდება პრევენციული საქმიანობა და რა დროს მიმდინარეობს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პოლიციის მიერ საფრთხის პროგნოზისა და ინფორმაციის მოპოვებაზე ორიენტირებული პრევენციული საქმიანობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედებებისგან.

საქართველოს კანონმდებლობით,²¹ პრევენციული ღონისძიებების უფლებამოსილება ერთდროულად შინაგან საქმეთა სამინისტროში შემავალ რამდენიმე სამსახურს აქვს და აქედან გამომდინარე, არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რომელი უწყებაა ქვეყანაში დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი. ასევე, პრევენციული ფუნქციების მქონე სტრუქტურები აწარმოებენ გამოძიებასაც და ხშირ შემთხვევაში ეს ორი საქმიანობა კანონმდებლობით გამიჯნული არ არის.

პოლიციის პრევენციულ უფლებამოსილებად მიიჩნევა ასევე უზნის ინსპექტორების საქმიანობა, რომლებიც დანაშაულის პრევენციის მიზნით ინფორმაციის მოპოვებაზე არიან ორიენტირებულნი.²² უზნის ინსპექტორების ინსტიტუტის შემოღება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში 2005 წლიდან მიმართული იყო საზოგადოებაზე ორიენტირებული, ნდობაზე დამყარებული მიდგომის შემოტანისკენ. მოგვიანებით კი უზნის ინსპექტორს დაემატა ოპერატიული და საგამომიებო საქმიანობის უფლებამოსილება, რამაც მოქალაქეებთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ნაცვლად, უზნის ინსპექტორის საქმიანობა ერთდროულად დანაშაულის პრევენციის, გამოძიებისა და ოპერატიული ფუნქციებით აღიჭურვა. ამით შესუსტდა ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც ხელს უშლის საწყის ეტაპზევე საჭირო ინფორმაციის მოპოვებას დანაშაულის პრევენციის მიზნით.

ამიტომ დღესდღეობით შსს-ში დღის წესრიგში დგას ოპერატიული და საგამომიებო ფუნქციების გამიჯვნის აუცილებლობა. ამ მიზნით გარკვეული ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაში.²³ შეიქმნა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ დანაშაულის პრევენციაზე იქნება ორიენტირებული.²⁴

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 24-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1251, საკანონმდებლო მაცნე, ძალის დაკარგვის თარიღი 01/10/2010.

¹⁹ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, IV თავი, საკანონმდებლო მაცნე, №1444-III, 04/10/2013.

²⁰ იქვე, 29-ე მუხლი.

²¹ იმნაძე გ., კვეციანი გ., უხილაძე ძალაუფლების პოლიტიკა (საქართველოს სამართალდამცავი სისტემის ანალიზი), ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2015 წელი, 10-23.

²² საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №153 ბრძანება, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლებისა და უზნის ინსპექტორების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 01.03.2013.

²³ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანება, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“, საკანონმდებლო მაცნე, 30/09/2015.

²⁴ საქართველოს მთავრობის №337 დადგენილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების

3. ფარული საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საკანონმდებლო და პროცესუალური რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში

3.1 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ფარული საგამომიებო მოქმედების ძირითადი პრინციპები და პროცედურები, საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, დარეგულირებულია საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალურ კანონებსა თუ კოდექსებში.

გერმანიაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და ფარული საგამომიებო მოქმედებები დარეგულირებულია გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით,²⁵ რომლის მიხედვით, განსაზღვრულია გამოძიებისა და სისხლის სამართლის წარმოების ეტაპებზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებების პროცედურები, ვადები და კონტროლის ფორმები.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 110a, 110b და 110c პარაგრაფებით რეგულირდება საგამომიებო მოქმედებები, რომლებიც განსაზღვრავენ

ელექტრონულ კომუნიკაციებსა და ინტერნეტურთიერთობაზე ფარული დაკვირვების საფუძვლებს. აგრეთვე იმ დანაშაულებს, რომლებიც ეხება უნებართვო ნარკოტიკული

საშუალებებით ან იარაღით ვაჭრობას, ფულის ნიშნების გაყალბებას, სახელმწიფო უსაფრთხოების ხელყოფასა და ორგანიზებულ დანაშაულს.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს დანაშაულის გასახსნელად ფარული გამოძიებლების ჩანერგვას დანაშაულებრივ ჯგუფში. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობითაც,²⁶ თუმცა გერმანიისაგან განსხვავებით, მისი რეგულირება ხდება არა საპროცესო კანონმდებლობით, არამედ სპეციალური კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და შესაბამისი ბრძანებებით.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია სატელეკომუნიკაციო ზედამხედველობა და ფარული დაკვირვება ინტერნეტურთიერთობებზე, რომლებიც, მიმდინარეობს რა გამოძიების წარმოებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში,²⁷ სასამართლოს კონტროლისა და ნებართვის გარეშე არ ხორციელდება.²⁸

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციის თითოეულ მიწას გააჩნია საკუთარი კანონი პოლიციის შესახებ, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, დარეგულირებულია ფარული და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება. მაგალითად, ბრანდენბურგის პოლიციის შესახებ კანონში²⁹ განსაზღვრულია ის საკითხები და პროცედურები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სამართალდამცავ ორგანოს პერსონალური მონაცემების დამუშავება და მოცემულია ის გარემოებები, რომელთა დროსაც არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, ესენია:³⁰ 1) დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია), განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის

შესახებ“, მე-5 მუხლი, მე-2 პუნქტი, „ფ.მ“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, 13/12/2013.

²⁵ Criminal Procedure Code (StPO) of Germany, Eighth section, investigative measures, § 110a Undercover agent Section, 110b Procedure when using a Covert Investigator, § 110c Powers of the Undercover Investigator, 12.09.1950, <<https://www.gesetze-im-internet.de/stpo/BJNR006290950.html#BJNR006290950BJNG000202311>>; [წვდომის თარიღი: 07.03.2018].

²⁶ საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, პირველი მუხლი, მე-2 პუნქტი, „კ“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, №1933, 30/04/1999.

²⁷ Criminal Procedure Code (StPO) of Germany, Eighth section, investigative measures, telecommunications surveillance, § 100a, 12.09.1950.

²⁸ იქვე, § 100e.

²⁹ Gesetz über die Aufgaben, Befugnisse, Organisation und Zuständigkeit der Polizei im Land Brandenburg (Brandenburgisches Polizeigesetz - BbgPolG) (Law on the Duties, Powers, Organization and Responsibility of the Police in the State of Brandenburg (Brandenburg Police Law - BbgPolG)), <http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#33>; [წვდომის თარიღი: 14.10.2018].

³⁰ Gesetz über die Aufgaben, Befugnisse, Organisation und Zuständigkeit der Polizei im Land Brandenburg (Brandenburgisches

დანაშაულისა; 2) პირის უფლებების დაცვა; 3) კანონის აღსრულების უზრუნველყოფა და 4) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულება. კანონით აგრეთვე განსაზღვრულია ელექტრონული კომუნიკაციის მოწყობილობებიდან მონაცემების მოპოვების ღონისძიებები და საფუძვლები.³¹

ბრანდენბურგის პოლიციის შესახებ კანონში აგრეთვე განსაზღვრულია ფარული მეთვალყურეობის საფუძვლები, ვადები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც პიროვნებაზე შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ოცდაოთხსაათიანი, ისე

გრძელვადიანი ფარული მეთვალყურეობა – მონიტორინგი;³² მისი მაქსიმალური ვადაა ერთი თვე, რომლის გაგრძელებაზე ნებართვა გაიცემა სასამართლოს მიერ და აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს სასამართლო კონტროლის საგანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ისე მისი თითოეული მიწის პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი კანონი ითვალისწინებს ფარულ საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს; ისინი წესრიგდება როგორც საპროცესო კანონმდებლობით, ისე შესაბამისი მხარის პოლიციის შესახებ კანონებით, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია – ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებები გათვალისწინებულია როგორც საპროცესო, ასევე ცალკე საკანონმდებლო აქტით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად რეგულირდება, ისინი თავიანთი დანიშნულებითა და შინაარსით ემსახურებიან ერთ მიზანს: დანაშაულის გახსნას, მტკიცებულებების შეკრებას, დანაშაულის პრევენციასა და სისხლის სამართლებივი დევნის პროცესში საგამომიებო ორგანოების ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

3.2 ლიეტუვას რესპუბლიკა

ფარული საგამომიებო მოქმედების ძირითადი პრინციპები, პროცედურული საკითხები, ფარული საგამომიებო ღონისძიებები და მათი საკანონმდებლო საფუძვლები დარეგულირებულია 2012 წლის 2 ოქტომბრის ლიეტუვას რესპუბლიკის კანონით „ფარული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“³³ რომელმაც საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირა ფარული საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების განხორციელება, ხოლო მეორე საკანონმდებლო აქტი – ლიეტუვას რესპუბლიკის კანონი „სპეციალური საგამომიებო ორგანოს შესახებ“³⁴ განსაზღვრავს საგამომიებო მოქმედებების განხორციელების საფუძვლებს სამოხელეო დანაშაულების მიმართ.

ფარული საგამომიებო მოქმედებების ნებართვა გაიცემა რეგიონალური სასამართლოებისა და მოსამართლეების მიერ პროკურორის მიმართვის/განცხადების საფუძველზე. მიმართვა/განცხადება მზადდება იმ უწყებების დირექტორებთან შეთანხმებით, რომლებიც ახორციელებენ ფარულ საგამომიებო მოქმედებებს. აღნიშნულ მიმართვაში განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიების ცალკეული მეთოდის გამოყენების აუცილებლობა.

Polizeigesetz - BbgPolG), Section 2, Data Processing, Subsection 1, Data collection, §30 Data collection, part 1-st, <http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#29>, [წვდომის თარიღი: 14.10.2018];

³¹ იქვე. § 33-Data collection through the covert use of technical means for interception and recording of the spoken word and for the production of image recordings and image recordings, <http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#29>, [წვდომის თარიღი: 14.10.2018].

³² იქვე. § 32-Data collection by observation, part 2, <http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#29>, [წვდომის თარიღი: 14.10.2018].

³³ The Republic Of Lithuania Criminal Intelligence Law, d No. Vilnius, 02.10.2012, < <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAP/TAIS.427828> >; [წვდომის თარიღი: 07.03.2018].

³⁴ Republic Of Lithuania Law On The Special Investigation Service, Article 8. Functions of the Special Investigation Service, May 2, 2000, No.VIII-1649, Vilnius, <http://www.stt.lt/documents/laws/stt_law.pdf>; [წვდომის თარიღი: 07.03.2018].

გადაუდებელი აუცილებლობის დროს, როდესაც არსებობს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის დიდი საშიშროება, პროკურორმა მიღებული მიმართვა/განცხადება 24 საათის განმავლობაში უნდა წარუდგინოს მოსამართლეს. იმ შემთხვევაში, თუ ფარულ საგამომიებო მოქმედებაზე ნებართვა არ გაიცემა, აღნიშნული მიმართვა/განცხადება უნდა განადგურდეს დაუყოვნებლად.³⁵

ფარული საგამომიებო მოქმედების წარმოების მაქსიმალური ვადაა 6 თვე, თუმცა საჭიროებისა და ადეკვატური დასაბუთების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 6 თვით. გადავადებების მაქსიმალური რაოდენობა დადგენილი არ არის. პროკურორს შეუძლია, დასაბუთებული წერილობითი ფორმით, უარი განაცხადოს ღონისძიების გაგრძელებაზე. მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია იმ ფარული საგამომიებო მოქმედების განმახორციელებელ უწყებებში, რომლებიც ზედამხედველობენ პროკურორებს.

რაც შეეხება ფარული საგამომიებო მოქმედებების დროს მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას, სასამართლოში ფარული გამოძიებისას მოპოვებული ინფორმაციის/მტკიცებულებების გამოყენება მთავარი პროკურორის შუამდგომლობით ხდება. ინფორმაცია ფარული თანამშრომლების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონკრეტულ გამოძიებაში და დეტალები ამ გამოძიების მეთოდებისა და სპეციალური საშუალებების შესახებ რჩება გასაიდუმლოებული.

ლიეტუვას რესპუბლიკის მიერ დანაშაულის პრევენციასა და გამოძიებასთან დაკავშირებული ქმედებების სამართლებრივი რეგულირება, საქართველოსა და გერმანიის მსგავსად, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით ხორციელდება.

4. სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობა ოპერატიულ-სამძებრო და ფარულ საგამომიებო ღონისძიებებზე

4.1 სასამართლო ზედამხედველობა

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის გამოძიებასთან, სამართალდარღვევის აღკვეთასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან და ეხება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების სფეროში ჩარევას, საჭიროებს არა მარტო სამართლებრივ ლეგიტიმაციას, არამედ ამ საქმიანობათა განხორციელების დროს მათი კანონიერების კონტროლსა და ზედამხედველობას. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია გამორიცხოს ძალაუფლების უზურპაციის საფრთხე და უზრუნველყოს აღნიშნული რისკების დაბალანსება კონტროლის საკმარისი მექანიზმებით, რომლებიც ხორციელდება პროკურატურისა და სასამართლოს მეშვეობით.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებაზე სასამართლო კონტროლი რეგულირდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნულ აქტებში გაწერილია პროცედურები და ის ვადები, რომელთა განმავლობაშიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელმა ორგანომ უნდა მიმართოს სასამართლოს.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ შუამდგომლობაში უფლებამოსილი პირი მიუთითებს კონკრეტულ ვადას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ჩასატარებლად. მოსამართლე კი მისი შინაგანი რწმენის შესაბამისად მსჯელობს როგორც საქმიანობის ჩატარების, ისე ვადის მიზანშეწონილობაზე.³⁶

³⁵ The Republic Of Lithuania Criminal Intelligence Law, Article 12 . Tasks of law enforcement authorities, d No. Vilnius, 02.10.2012, < <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAP/TAIS.427828> >; [წვდომის თარიღი: 07.03.2018].

³⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი,

ფარული საგამომიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს, გამოძიების ადგილის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე,³⁷ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ უნდა ჩატარდეს ფარული საგამომიებო მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ფარული საგამომიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელება დაუშვებელია სავალდებულო სასამართლო კონტროლის გარეშე, რომელიც არსებობს ორ შემთხვევაში: სასამართლოს წინასწარი ნებართვის ან გადაუდებელი აუცილებლობისას სასამართლოს შემდგომი კონტროლის სახით.³⁸

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტებულია:

„გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.“³⁹

აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების შეზღუდვასა და კონკრეტულ უფლებაში ჩარევას, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს წინასწარ ან შემდგომ ეტაპებზე. ამგვარი რეგულაციის მიზანია დაიცვას ნებისმიერი პირი, სახელმწიფოს მხრიდან ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში თვითნებური და შეუზღუდავი ჩარევისგან.

ადამიანის უფლებათა სფეროში ჩარევისთვის კანონით გათვალისწინებული მოსამართლის ბრძანების სავალდებულო პირობა ემსახურება კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების წინასწარი კონტროლის უზრუნველყოფას დამოუკიდებელი და ნეიტრალური სასამართლოს მიერ. რაც მიმართულია ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისაკენ.⁴⁰

საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2016 წლის 14 აპრილი;

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143³-ე მუხლი, ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების წესი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

³⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ქ. ბათუმი, 2012 წლის 29 თებერვალი;

³⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ევკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ქ. ბათუმი, 2007 წლის 26 დეკემბერი;

⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/625, 640, საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2016 წლის 14 აპრილი.

სასამართლო კონტროლის ერთ-ერთ ფორმად მიჩნევა აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც ადგენს ფარული საგამომიებო მოქმედებების რეესტრს,⁴¹ რომელშიც აისახება ფარულ საგამომიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, ინფორმაცია ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით, სასამართლოებში შესული შუამდგომლობებისა და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებულ განჩინებათა შესახებ; ასევე – ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ.⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია.

4.2 საპროკურორო ზედამხედველობა

საპროკურორო ზედამხედველობის ფარგლები განსაზღვრავს ქვეყანაში კანონის უზენაესობასა და დემოკრატიის ხარისხს. პროკურატურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურა მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოებში ძირითადად ორი სახითაა გავრცელებული. ერთი სახის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის მიხედვით, პროკურატურა წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ უწყებას, რომელიც არ შედის არც ერთი სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო მეორე სახის პროკურატურა უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ახორციელებს სამინისტროს მიერ მისთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებებს (მაგ., გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).⁴³

საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.⁴⁴ რაც შეეხება საპროკურორო ზედამხედველობას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე, საპროკურორო კონტროლის ფორმები დადგენილია როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ასევე „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონითა⁴⁵ და იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებითაც,⁴⁶ რომლითაც განსაზღვრულია სამართალდამცავ ორგანოებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების წესები და ფორმები.

როგორც კონსტიტუციის, ისე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია იმ სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უფლებებს ან შეიძლება შეზღუდონ. ასეთი ღონისძიებები ხორციელდება პროკურორის დადგენილებით გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, რომლებიც ისევე სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობის საგანს წარმოადგენს.⁴⁷

4.3 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სტანდარტები სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისას

⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143¹⁰-ე მუხლი, ფარული საგამომიებო მოქმედებების რეესტრი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009.

⁴² იქვე, 143⁸-ე მუხლი, პირველი ნაწილი.

⁴³ Federal Ministry of Justice and Consumer Protection Structure and Organisation, <https://www.bmjv.de/EN/Ministry/StructureOrganisation/StructureOrganisation_node.html>, [წვდომის თარიღი: 12.10.2018].

⁴⁴ საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, პირველი მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, №382, 21/10/2008.

⁴⁵ იქვე, მე-3 მუხლი.

⁴⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №36 ბრძანება, „საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 10/07/2013.

⁴⁷ საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, VI თავი, საკანონმდებლო მაცნე, №1933,30/04/1999.

თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობა თავისთავად მოითხოვს ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას, მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირებას.⁴⁸

ადამიანის უფლებების დაცვა და მათი განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.⁴⁹ ადამიანის უფლების

შეზღუდვის მიზანს ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს სხვა კონსტიტუციური სიკეთეების დაცვა.⁵⁰ უფლების შეზღუდვა, როგორც წესი, მაშინ ხდება საჭირო, როდესაც კონკრეტული პირის ქმედება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებთან ან სხვა პირთა უფლებებთან მოდის წინააღმდეგობაში.⁵¹

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და ფარული საგამომიებო ღონისძიებების ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებები სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად შეიძლება თავის თავში მოიაზრებდეს ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას,⁵² თუმცა აღნიშნული მიზნით განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო საქმიანობა ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას უნდა ისახავდეს მიზნად, რაც კონსტიტუციურ ლეგიტიმურ მიზნებს განეკუთვნება.⁵³

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს, მაგრამ საქმიანობის დემოკრატიული მიზნების მიუხედავად, აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებების საკანონმდებლო კონტროლი. სამართალდამცავი ორგანოების მიერ ღია და ფარული მეთოდებით ღონისძიებების ჩატარებისას ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებები შეუმჩნეველი რჩება საზოგადოებისთვის, რაც თითქმის გამორიცხავს მასზე საზოგადოების კონტროლის შესაძლებლობას.⁵⁴ ამიტომ, რომ არ მოხდეს ძალუფლების ბოროტად გამოყენება, აუცილებელია აღნიშნული საქმიანობის გაკონტროლება გარე უწყებების მიერ.⁵⁵

სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალ დონეზე უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის მექანიზმი,⁵⁶ რომლის უფლებამონაცვლევ 2019 წლიდან იქნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური;⁵⁷ ის განახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს

⁴⁸ უბლაშვილი ვ., ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2008 წელი, 156-167.

⁴⁹ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 177-193.

⁵⁰ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2013 წელი, 188-220.

⁵¹ ზოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი, 2017 წელი, 5-22.

⁵² საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მე-2 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, №1933, 30/04/1999.

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/407 გადაწყვეტილება, საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ქ. ბათუმი, 2007 წლის 26 დეკემბერი.

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/2/519 გადაწყვეტილება, საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ქ. ბათუმი, 2012 წლის 24 ოქტომბერი.

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2012 წლის 28 თებერვალი, II.3.3.

⁵⁶ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2014 წლის 1 მარტი.

⁵⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, თავი VI. გარდამავალი და დასკვნითი

და ფარული საგამომიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს,⁵⁸ აგრეთვე კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას.⁵⁹

დღესდღეობით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი სატელეფონო მოსმენებზე ახორციელებს კონტროლს, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში ე.წ. „მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის“ მეშვეობით ხორციელდება,⁶⁰ ის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონულ თანხმობაზეა დამოკიდებული („ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა“),⁶¹ და მიიჩნევა სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებების კონტროლის გარე მექანიზმად.

ინსპექტორი უფლებამოსილია, გაეცნოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ ნებისმიერ მასალას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, მიუხედავად მათი შინაარსისა და შენახვის ფორმისა. ყოველივე ზემოაღნიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს საშუალებას აძლევს, განახორციელოს ეფექტიანი და ქმედითი კონტროლი.⁶²

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალ სტანდარტსა და პრიორიტეტზე მიანიშნებს საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს მიღებული დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-7 პუნქტიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.⁶³

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია.⁶⁴ სტრატეგიის უმთავრესი მიზანია სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში შესრულებას, პირველ რიგში, სამართალდამცავი ორგანოების მიერ. სხვა ორგანოებთან შედარებით, ისინი უფრო ხშირად იჭრებიან ადამიანის ძირითად უფლებებში, დანაშაულთან ბრძოლისა და გამოძიების, ან ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.⁶⁵

დებულებანი, 27-ემუხლი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლეობა, საკანონმდებლო მაცნე, №3273-რს, 21/07/2018.

⁵⁸ იქვე. თავი I. ზოგადი დებულებანი, მე-2 მუხლი.

⁵⁹ იქვე. თავი V. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებები სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების სფეროში, მე-20 მუხლი.

⁶⁰ საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, მე-8 მუხლი, მე-4 პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, №1514, 02/06/2005.

⁶¹ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 35¹-ე მუხლი, ფარული საგამომიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი, საკანონმდებლო მაცნე, №5669-რს, 28/12/2011.

⁶² საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, №1514, 02/06/2005.

⁶³ საქართველოს მთავრობის №338 დადგენილება, „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2016.

⁶⁴ საქართველოს პარლამენტის №2315-III დადგენილება, „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, 16/05/2014.

⁶⁵ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2005, 49-51.

დასკვნა

ნაშრომში წამოჭრილი საკითხების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ძლიერებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავს ის, თუ რა საკანონმდებლო მექანიზმებით რეგულირდება სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ-საგამომიებო საქმიანობა და არის თუ არა იგი სახელმწიფოში არსებული ოპერატიული ვითარების თანხვედრი.

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით, რომლითაც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში მნიშვნელოვანი ცვლილები განხორციელდა, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც ფარული საგამომიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სფეროში განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს; თუმცა ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი საჭიროებს, საზოგადოების განვითარებიდან გამომდინარე, დახვეწასა და სახელმწიფოში არსებულ ოპერატიულ ვითარებასთან შესაბამისობას, ამიტომ ყველა ქვეყანაში კანონმდებლობა მორგებულია ქვეყანაში არსებულ ოპერატიულ ვითარებაზე.

ნაშრომში განხილული ევროპის ქვეყნების ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობა შეესაბამება მათ ქვეყნებში არსებულ ოპერატიულ ვითარებას. ამის მაგალითია სტაბილური დემოკრატიის ქვეყნები – გერმანია და ლიეტუვა, რომლებსაც შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაც აქვთ, საქართველოსაგან განსხვავებით. აღნიშნულ ქვეყნებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მათ ქვეყნებში არსებულ რეალურ ვითარებაზეა მორგებული. ეს კი შეცდომის დაშვების ალბათობას ამცირებს და ოპერატიულ მუშაკს ეძლევა საშუალება, გარკვეულ დროში გააანალიზოს სამართალდარღვევის ფაქტი და შესაბამისად მოახდინოს რეაგირება.

საქართველოში, როდესაც ქვეყნის ორი რეგიონი ოკუპირებულია და არსებული ოპერატიული ვითარება მძიმეა, აუცილებელია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადები და განხორციელების მექანიზმები იყოს უფრო ეფექტური, რეალურ ოპერატიულ ვითარებას მორგებული, რათა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სექტორების მიერ დროულად იქნეს აცილებული მოსალოდნელი საფრთხე როგორც თითოეული ადამიანისთვის, ისე სახელმწიფოსათვის.

დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის მომეტებული რისკის მქონე ორგანოების მიმართ იყოს შესაბამისი კონტროლი; ყოველივე ეს კი წარმოშობს აუცილებლობას, რომ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, მათზე განხორციელდეს ქმედითი კონტროლი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სათანადოდ დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დამატებითი საკანონმდებლო დაბრკოლებების შექმნა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელებაზე, კრიმინოგენური ვითარების კონტროლის მხრივ, საკმაოდ ბევრ პრობლემას შექმნის სახელმწიფოში და შეუძლებელი გახდება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის დროულად მოპოვება, დანაშაულის დროული აღკვეთა და მოსალოდნელი სამართალდარღვევის პრევენცია. ყოველივე ეს კი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს, ასევე, სამართალდამცავი ორგანო დაკარგავს იმ რეალურ ფუნქციას, რომლისთვისაც შეიქმნა. შესაბამისად აუცილებელია არსებობდეს ბალანსი სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული სპეციალური ღონისძიებების ფარგლებსა და ადამიანის უფლებათა დაცვას შორის.

საგამომიებო მოქმედება დათვალეირების პროცესუალური ასპექტები

შესავალი

პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გულისხმობს ინდივიდის შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართოს თავისი კერძო ცხოვრება და იყოს დაცული თავის კერძო სფეროში სახელმწიფოსა და სხვა პირების ჩარევისაგან, თავისუფლად/დამოუკიდებლად გადაწყვიტოს როდის, რა მოცულობით და ვისთან გაასაჯაროვოს ფაქტები თავისი პირადი ცხოვრების შესახებ.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, აგრეთვე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით; თუმცა აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიცხვს და კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უმთავრესი ასპექტია პირის ინტერესი, არ დაუშვას თავისი კერძო საკითხების გასაჯაროება. მოცემული უფლების რეალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალწარმოებაში, რომელშიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირადი ხასიათის ინფორმაციის დაცვა, ასევე საცხოვრებლის ხელშეუხებლობისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვის რეგლამენტი.

როგორც აღვნიშნეთ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება.

ბინის ხელშეუხებლობა არის ის ძირითადი უფლება, რომელიც ცალკეული ადამიანისათვის, მისი ადამიანური ღირსებიდან და თავისუფალი პიროვნული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს „ელემენტარულ საცხოვრებელ სივრცეს“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ამ უფლების შეზღუდვის წესს არეგულირებს და ადგენს, რომ “საგამომიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, საცხოვრებელ ბინასთან ერთად, დაცულია ასევე სხვა მფლობელობა.

“საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა არის ნებისმიერი უძრავი ან საცხოვრებლად განკუთვნილი მოძრავი ნივთი, ქონება, რომელიც საკუთრებაში ან მუდმივ თუ დროებით მფლობელობაში ან სარგებლობაში აქვს გადაცემული ინდივიდს. ამგვარ ქონებას განეკუთვნება ბინა ან სახლი (მათ შორის, დაქირავებული), აგარაკი, გადასაადგილებელი საცხოვრებელი ფურგონი, კარავი, სასტუმროში დროებით დაქირავებული ნომერი და სხვა“.

¹ სამართლის მაგისტრი; სსიპ საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საბაზისო მომზადების სამსახურის უფროსი ინსტრუქტორი.

გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია ნებისმიერი მფლობელობა, რომელიც, მართალია, არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად, მაგრამ უშუალოდ არის დაკავშირებული საცხოვრებელ მფლობელობასთან (ეზო, ბაღი, მარანი, შინაური ცხოველისა და ფრინველის სადგომი და სხვა)².

ანალოგიური შინაარსის ჩანაწერს ვხვდებით, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმადაც: „გამომიების პროცესში მხარეს არ აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით“.

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სხვა მფლობელობის მნიშვნელობას, თუმცა ცალსახაა, რომ აღნიშნული მოიცავს როგორც საცხოვრებელს, ასევე ფართს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული საცხოვრებელთან, მაგალითად: დამხმარე სათავსო, ავტოფარეხი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამომიებო მოქმედება დათვალიერების პროცესუალურ ასპექტებს, ასევე, გავაკეთებთ შედარებით ანალიზს დათვალიერების მსგავსი შინაარსისა და მიზნის მქონე საგამომიებო მოქმედებებთან, ჩხრეკასა და ამოღების პროცესუალურ ასპექტებთან; განვიხილავთ დათვალიერებით სხვადასხვა საგნისა და ნივთიერი მტკიცებულების ამოღების პროცესუალურ საკითხებს და აღნიშნულთან დაკავშირებით, საგამომიებო ორგანოებში დამკვიდრებულ პრაქტიკას; ვრცლად შევხებით სხვადასხვა ობიექტის, მათ შორის, კომპიუტერული მონაცემების დათვალიერების პროცესუალურ საკითხებს.

თავი I

დათვალიერების ზოგადი წესები და მიზნები

სსსკ-ის 111-ე მუხლი განსაზღვრავს საგამომიებო მოქმედების ჩატარების ზოგად წესებს. მუხლის პირველივე ნაწილში განსაზღვრულია, რომ მხარეები საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით.

სსსკ-ის 125-ე მუხლით, გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედება დათვალიერება, წარმოადგენს მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და გამოკვლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებას. დანაშაულის სწრაფად გახსნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საგამომიებო მოქმედებათა სწორად დაგეგმვასა და ჩატარებას. ამიტომ, გამომიების დაწყების ეტაპზე დათვალიერება არის ერთ-ერთი პირველადი და გადაუდებელი საგამომიებო მოქმედება. იგი ტარდება იმ შემთხვევებში, როდესაც შემთხვევის ადგილზე შეიძლებოდა დარჩენილიყო კვალი ან სხვა რაიმე მტკიცებულება.

დათვალიერების ჩატარების მარეგულირებელი ნორმები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე-128-ე მუხლებში, რომელთა თანახმადაც, „დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით, მხარეს უფლება აქვს, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი“.

როგორც მოცემული მუხლის შინაარსიდან ჩანს, დათვალიერება არის ზოგადი ცნება და იგი მოიცავს როგორც შემთხვევის ადგილის, ასევე სხვადასხვა საგნისა თუ ობიექტის დათვალიერებას, მათ შორის, შემთხვევის ვითარების გარკვევას.

² ბურდული ი., გაცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, 186.

დანაშაული, როგორც ფაქტი, მოიცავს და აერთიანებს მისი ჩადენის დროს, ადგილს, ხერხს; ამიტომ, მომხდარ დანაშაულზე მატერიალური წყაროებიდან ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური საშუალებაა შემთხვევის ადგილის დათვალეირება და შემთხვევის ვითარების გარკვევა.

სსსკ-ის 127-ე მუხლის თანახმად, „შემთხვევის ადგილის დათვალეირება ტარდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი“. შემთხვევის ადგილის დათვალეირება იძლევა ფართო ინფორმაციებს ვერსიების აგებისათვის და განსაზღვრავს გამოძიების შემდგომ მიმართულებას; ამიტომ, იგი ითვლება ერთ-ერთ გადაუდებელ და აუცილებელ საგამომიებო მოქმედებად, რომლის დროსაც პირი უშუალოდ აღიქვამს, აფიქსირებს და იკვლევს იქ არსებულ დანაშაულის კვალს, მტკიცებულებებს და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს, ეცნობა არსებულ ვითარებას, საგნებს, მათ ურთიერთგანლაგებასა და ურთიერთკავშირს, გამომძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალეირებისას აღიქვამს და მხედველობაში იღებს რეალურ სურათს მომხდარი ფაქტის შესახებ; შესაბამისად, რაც უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს იგი, მით უფრო სრული იქნება მისი წარმოდგენა სინამდვილეზე, აღნიშნული დიდად დაეხმარება, რომ დაადგინოს დანაშაულის ჩადენის ნიშნები, მისი ჩამდენი პირი, დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, შემუშავდეს სწორი ვერსიები, ასევე დადგინდეს დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, ყოველივე აღნიშნული კი ხელს შეუწყობს გამოძიების ეფექტიანად წარმართვას.

მართალია, სსსკ დათვალეირების სახეებს სახელდებით არ ჩამოთვლის, თუმცა 125-ე-128-ე მუხლების საერთო ანალიზიდან დგინდება, რომ შესაძლებელია გამოიყოს დათვალეირების შემდეგი სახეები: 1. შემთხვევის ადგილის დათვალეირება; 2. საცავის, სადგომის, სათავსოს დათვალეირება; 3. გვამის დათვალეირება, საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალეირება.

დათვალეირებას გამომძიებელი ატარებს კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. აღნიშნული წესი განსხვავებულია დასათვალეირებელი ადგილის, საგნის, დოკუმენტისა და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტების მიხედვით.

თუ დათვალეირება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. კერძო საკუთრებაში, სასამართლოს განჩინების გარეშე, დათვალეირების ჩატარება დასაშვებია, თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა ან მესაკუთრე/მფლობელი წერილობით გამოხატავს თანხმობას დათვალეირების ჩატარებაზე³.

მაგალითად, ბინაში მოხდა მკვლელობა. დანაშაულის კვალის (სისხლის ლაქების, ფეხის კვალის) და ნივთიერი მტკიცებულების (ცეცხლსასროლი იარაღის) აღმოჩენის მიზნით, გამომძიებელმა გადაწყვიტა დაათვალეიროს შემთხვევის ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ ბინა კერძო საკუთრებას წარმოადგენს, დათვალეირების დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს ბინის მესაკუთრის პოზიცია დათვალეირების ჩატარებაზე, განუმარტოს მესაკუთრეს, რომ დათვალეირების პროცესში შესაძლებელია ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ობიექტი და სთხოვოს მას თანხმობა დათვალეირების ჩატარებაზე; თანხმობის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), ჩაატაროს დათვალეირება და შეადგინოს შესაბამისი ოქმი, ხოლო უარის შემთხვევაში, მიიღოს დათვალეირების სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების გადაწყვეტილება.

დათვალეირება, რომელიც არ ზღუდავს კერძო საკუთრებას/მფლობელობას, ტარდება მოსამართლის განჩინების გარეშე. ამგვარი დათვალეირება არ მიიჩნევა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულად და შესაბამისად, არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან კანონიერების შემოწმებას. გამომძიებელი ადგენს მხოლოდ დათვალეირების ოქმს და მის შედეგებს ასახავს ამავე ოქმში, თუნდაც დათვალეირების შედეგად ამოღებულ იქნეს რაიმე სახის ნივთიერი მტკიცებულებები.

გამომძიებელმა უნდა ამოიღოს დათვალეირების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი,

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 125.

ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში ცალკე ამოღების ოქმის შედგენა, საერთო წესით ამოღების დაკანონება ან/და შესაძლო ამოღების ჩატარების თაობაზე სასამართლოსგან წინასწარი ნებართვის გამოთხოვა აუცილებელი არ არის. თუ ამოღება დათვალეიერების დროს ხდება, გამომძიებელი ადგენს მხოლოდ დათვალეიერების ოქმს, რომელშიც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ნივთების ამოღების, მათი რაოდენობის, სახეობის, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების შესახებ⁴.

ნორმის ამგვარი განმარტება გამოწვეულია იმით, რომ საგამომიებო მოქმედება ამოღებისგან განსხვავებით, დათვალეიერების მიზანი იმთავითვე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება არ არის. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის მიზანი თავის თავში მათ ამოღებასაც ნიშნავს. გარდა ამისა, ამგვარი განმარტების შესაძლებლობას იძლევა თავად სსსკ-ის 126-ე მუხლი, რომელიც, ფაქტობრივად, დათვალეიერების დროს აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების წესს განსაზღვრავს.

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების თვალსაჩინოებისთვის, მიზანშეწონილია განვიხილოთ საგამომიებო პრაქტიკაში არსებული შემთხვევები, რა დროსაც ჩვენ მიერ განხილულ და გაანალიზებულ ნორმებს პროცესის მონაწილეთა მხრიდან (მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, ადვოკატი) განსხვავებული შეფასებები და განმარტებები მიეცა.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ: ქურთუკის დათვალეიერების ოქმი და ამავე დათვალეიერების ოქმით ამოღებული ქურთუკი⁵.

აღნიშნულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას მოსამართლემ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მტკიცებულებების მოპოვების დროს საგამომიებო ორგანოს მხრიდან არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე-128-ე მუხლები; ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ამავე კოდექსის 72-ე მუხლის დარღვევა.

მოსამართლის აღნიშნული გადაწყვეტილება (განჩინება) პროკურორის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში შემდეგი არგუმენტაციით:

„საგამომიებო მოქმედება დათვალეიერების მიზნები მოიცავს იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღებასაც, რომელსაც დანაშაულის კვალი აღნიშნება ან/და შესაძლებელია მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის. კანონმდებელი საგამომიებო ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ დათვალეიერებისას ამოიღოს საგნები და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტები, რომელთაც კონკრეტულ საქმესთან შემხებლობა ექნებათ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორმა მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სსსკ-ის 125-ე მუხლის მოთხოვნათა არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სადავოდ გამხდარი მტკიცებულებები (ქურთუკის დათვალეიერების ოქმი და ეს ქურთუკი) დასაშვებ მტკიცებულებად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით, საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ განმარტა შემდეგი:

“სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის/მტკიცებულების (საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის) მოპოვება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესისა და პროცედურების ზუსტი დაცვით. დათვალეიერება არ არის ის საგამომიებო მოქმედება, რომელმაც საგნის, დოკუმენტის,

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, 401.

⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, N1გ/407. 22.03 2017.

ნივთიერების ან სხვა ობიექტის მოსაპოვებლად შეიძლება შეცვალოს ამოღება. საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალეირება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის კანონით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით უკვე მოპოვებული აქვს მხარეს და მის ხელთ იმყოფება. ამასთან, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის ამოღება დათვალეირებით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი აღმოჩენილია დათვალეირების მიმდინარეობის პროცესში, მაგალითად: შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის დათვალეირებისას და არა თვით ამ საგნის, დოკუმენტის ან სხვა ობიექტის დათვალეირებისას. უფრო დეტალურად თუ განვმარტავთ, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალეირება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის მოპოვებულია ჩხრეკით, ამოღებით, საგამომიებო ექსპერიმენტით, ექსპუნიციით, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვით, ნიმუშის აღებით, შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის დათვალეირებით ან ფარული საგამომიებო მოქმედებებით“⁶.

საჩივრის განხილვისას მოსამართლის მიერ აგრეთვე საინტერესო შეფასება იქნა გაკეთებული 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით, როგორც იყო ე.წ. „წარმოდგენა“; ამ უკანასკნელს, მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, აქტიურად იყენებდნენ საგამომიებო ორგანოები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს ისეთ საგამომიებო მოქმედებას, როგორც წლების წინ იყო, ნებაყოფლობით წარმოდგენა. ამიტომ, ნივთის (საგნის) წარმოდგენა, რასაც თან ახლავს მისი დათვალეირება და შემდეგ ამოღება წარმოდგენის თანხმობით, არ არის ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერი გზა/ხერხი⁷.

მოცემულ შემთხვევაში კი, გამომძიებელმა დაათვალეირა პირის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი ქურთუკი, რომელიც შემდეგ ამოიღო და დაურთო საქმეს.

საგამომიებო ორგანოების საქმიანობაში, მსგავსი შემთხვევების სიხშირიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დათვალეირების ოქმის შედგენით ნივთმტკიცების ამოღებას გამომძიებლები იმის გამო ახდენენ, რათა ამგვარად თავიდან აიცილონ ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერებაზე სასამართლოს კონტროლი. ეს რიგ შემთხვევებში, გარკვეული დროის, რესურსის (სასამართლოს განჩინების წინასწარ ან საგამომიებო მოქმედების ჩატარების შემდგომ მიღებასთან) ხარჯვასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ნებაყოფლობით წარმოდგენის, როგორც საპროცესო მოქმედების, გაუქმების მიზანი სწორედ ის იყო, რომ სისხლის სამართლის საქმეში სასამართლოს კონტროლის გარეშე არ მოხვედრილიყო ნივთიერი მტკიცებულება.

კანონმდებელმა დაუშვა ნივთმტკიცების მოპოვების შესაძლებლობა მხოლოდ იმ საგამომიებო მოქმედებების ჩატარების დროს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

თავი II

დათვალეირების პროცედურა და მისი შედეგების კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ

2012 წლიდან საქართველოს საგამომიებო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ დაინერგა პრაქტიკა, კერძოდ: მესაკუთრის ან თანამფლობელის თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს კონტროლი აღარ ხორციელდებოდა ისეთი საგამომიებო მოქმედებების ჩატარებაზე, რომლებიც

⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, N18/407. 22.03 2017.

⁷ იქვე.

ზღუდავს კერძო საკუთრებას.

ეს წესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების დროს, როდესაც საგამომიებო ორგანოები, მესაკუთრის თანხმობის შემთხვევაში, ჩხრეკის შედეგების კანონიერების შესამოწმებლად სასამართლოს აღარ მიმართვადნენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაშიც კი, სასამართლოები მას არც კი იხილავდნენ, საჭიროების არარსებობის მოტივით.

მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება უმეტესწილად განაპირობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველ ნაწილში 2011 წელს შეტანილმა ცვლილებამ, რომლის შესაბამისადაც „თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია, სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარდეს საკუთრების ან მფლობელობის შემზღუდველი ისეთი საგამომიებო მოქმედებები, როგორც არის, მათ შორის ჩხრეკა ან ამოღება“.

საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკა გარკვეული პერიოდი ვითარდებოდა ზემოაღნიშნული წესით, რა დროსაც საგამომიებო ორგანოები ისეთ საგამომიებო მოქმედებას, როგორც არის ჩხრეკა, ატარებდნენ მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით და შემდეგ აღარ უქვემდებარებდნენ სასამართლოს კონტროლს; უფრო მეტიც, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად მესაკუთრის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა, პროკურორის მიერ კანონიერების შესამოწმებლად შეტანილი შუამდგომლობა მოსამართლეს არ განუხილავს შემდეგი დასაბუთებით, „რადგან მოცემული საგამომიებო მოქმედება ჩატარდა მესაკუთრის ან მფლობელის თანხმობით, იგი აღარ საჭიროებდა სასამართლოს მხრიდან კონტროლს“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილ განაჩენში⁸, განსახილველი საქმის გარემოებების შეფასებისას, ასევე იმსჯელა მოცემულ საქმეზე, გამოძიების ეტაპზე დაშვებული ხარვეზების შესახებ, რა დროსაც ასევე განიხილა საგამომიებო ორგანოებსა და სასამართლოებში დამკვიდრებული ზემოაღნიშნული პრაქტიკა და საკუთრების, მფლობელობისა და პირადი ცხოვრების შემზღუდველი საგამომიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი:

„დაცული უნდა იქნეს საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვანი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე (აღნიშნულ საპროცესო მოთხოვნებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი და ამავე კოდექსის 120-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილები)“.

საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარების შემდეგ, რა დროსაც ჩხრეკის ადგილიდან ამოღებულ იქნა ნივთმტკიცებები ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის სახით, პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ამ ჩხრეკის კანონიერების შემოწმების თაობაზე, მაგრამ მოსამართლემ განჩინებით პროკურორს უარი უთხრა შუამდგომლობის განხილვაზე, რაც იმით დაასაბუთა, რომ რადგან არსებობდა ბინის მესაკუთრის თანხმობა ჩხრეკის ჩატარებაზე, ამიტომ საჭირო აღარ იყო ჩხრეკის კანონიერების სასამართლო წესით შემოწმება.

საბოლოო ჯამში, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, განსახილველ საქმეზე, გამოძიების ეტაპზე დაშვებული ხარვეზებისა და ისეთი არსებითი დარღვევის, როგორც არის საკუთრების შემზღუდველი საგამომიებო მოქმედების ჩატარების შემდგომ, დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ ჩხრეკის კანონიერების არშემოწმება, ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი ცნო დაუშვებელ მტკიცებულებად და გამორიცხა მოცემული იარაღის გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისათვის გამოყენება, რის შედეგადაც მსჯავრდებული,

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი N609აპ-15. 19.05. 2016.

წარდგენილ ბრალდებაში სრულად გაამართლა⁹.

უზენაესი სასამართლოს მითითებული განაჩენი სრულად გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომლის თანახმადაც:

„არავის არ აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“. როგორც მოცემული ნორმის შინაარსიდან ირკვევა, პირველი წინადადება ზოგადად კრძალავს ბინაში ან სხვა მფლობელობაში შესვლას, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო მე-2 წინადადებაში იმპერატიულად/კატეგორიულად მითითებულია ჩხრეკის ჩატარების აკრძალვაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება ან სახეზე გვაქვს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

როგორც ვხედავთ, პირველ წინადადებაში საუბრია საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ შესვლის აკრძალვაზე, შესაბამისად, ამ ჩანაწერის თანახმად, შესაძლებელია მესაკუთრის თანხმობით, საგამომიებო ორგანოს წარმომადგენელი (გამომძიებელი) შევიდეს საცხოვრებელ ბინაში, ასევე სხვა მფლობელობაში და ასეთ შემთხვევაში ჩაატაროს ნებისმიერი საგამომიებო მოქმედება, გარდა ჩხრეკისა (მაგალთად: დათვალეირება, საგამომიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება) და მოიპოვოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ნივთმტკიცება, რომლის მოპოვების კანონიერების შემოწმებისათვის აღარ იქნება აუცილებელი სასამართლოს კონტროლი.

რაც შეეხება საგამომიებო მოქმედების ჩხრეკის ჩატარებას, კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩხრეკასთან დაკავშირებით აწესებს შედარებით მაღალ სტანდარტს და მის ჩატარებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ორ შემთხვევაში:

1. სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში;
2. კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

კონსტიტუციის მე-20 მუხლით აღიარებული უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმტკიცება საქართველოში პირველად 1921 წლის კონსტიტუციით განხორციელდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია ამ უფლებების დაცვას შემდეგი ფორმულირებით უზრუნველყოფდა: „ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია, მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.¹⁰

როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებიდან იკვეთება, კონსტიტუცია დასაშვებად არ მიჩნევს მესაკუთრის თანხმობით ჩხრეკის ჩატარებას.

ზემოთ მოყვანილი შეფასებებისა და განმარტებების პარალელურად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება¹¹, რომლითაც კოლეგიის მოსამართლემ გააუქმა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის განჩინება და სადავო საკითხზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რაც, ვფიქრობ, არ არის სწორი და კანონიერი.

ვინაიდან, როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა: ერთ-ერთ საქმეზე გამომძიებელმა, საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის წერილობითი თანხმობით, დაათვალეირა შემთხვევის ადგილი (სახლის ეზო) და დათვალეირების შედეგად ამოიღო სისხლისმაგვარი, მოწითალო ფერის

⁹ იქვე;

¹⁰ ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, 178.

¹¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1.გ/1237. 25.07.2016.

„ლაქები“. აღნიშნულის შემდეგ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელმა პროკურორმა ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერების შემოწმების მიზნით მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს, მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა სახლის, ეზოს დათვალიერებისა და მისი შედეგების კანონიერად ცნობის თაობაზე დატოვა განუხილველად შემდეგი საფუძველით:

„დათვალიერება, რომელიც ეხება კერძო საკუთრებას, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინებით, გადაუდებელი აუცილებლობით ან მესაკუთრის წერილობითი თანხმობით, სასამართლოს განჩინების გარეშე. ვინაიდან სსსკ-ის 127-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ შემდგომ სასამართლოს კონტროლს გადის იმ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რომელიც ჩატარებულია მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

ვინაიდან საქმის მასალებში წარდგენილი იყო ბინის მესაკუთრის წერილობითი თანხმობა მისი კუთვნილი სახლის (ეზოს) დათვალიერებაზე, სასამართლოს განმარტებით, მსგავსი წესით შემთხვევის ადგილის დათვალიერება ნებადართულია სსსკ-ის 125-ე_127-ე მუხლებით და აღარ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან ჩატარების კანონიერების შემოწმებას“.

პირველი ინსტანციის მოსამართლემ დამატებით განმარტა, რომ ამ შემთხვევაზე არ ვრცელდებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის N609აპ-15 გადაწყვეტილება (განაჩენი), რადგან იგი ეხებოდა კონკრეტულად ჩხრეკას, ხოლო შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მსგავსი შინაარსით სასამართლოსათვის მიმართვას სსსკ არ ითვალისწინებს“.

მიმაჩნია, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ზემოაღნიშნული განჩინება იყო კანონიერი და თავისი დასაბუთებით სრულად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლს, სსსკ-ის 125-ე მუხლს და ასევე სრულ შესაბამისობაში იყო ზემოაღნიშნულ, უზენაესი სასამართლოს განაჩენთან¹².

მიუხედავად აღნიშნულისა, მოცემული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა პროკურორმა, მოითხოვა სადავო განჩინების გაუქმება და მესაკუთრის თანხმობით ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და მისი შედეგების კანონიერად ცნობა.

წარდგენილი საჩივრის დასაბუთებაში პროკურორი უთითებდა, რომ თითქოს მოსამართლის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ დათვალიერების შედეგად ამოღებული სისხლისმაგვარი ლაქები წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას, ვინაიდან ამოღებული მტკიცებულება პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან და მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

საჩივრის ავტორი აქვე აღნიშნავდა, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გამოძიებელმა ჩაატარა შემთხვევის ადგილის დათვალიერება და განახორციელა საგამომიებო მოქმედება ამოღება და მიუხედავად იმისა, რომ სახლის დათვალიერება ჩატარდა მესაკუთრის თანხმობით, აღნიშნული საგამომიებო მოქმედების კანონიერება მაინც საჭიროებს სასამართლოს მხრიდან შემოწმებას.

პროკურორი საჩივარში დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ „სსსკ-ის 125-ე მუხლში არაფერია ნათქვამი დათვალიერების ოქმში განხორციელებული საგამომიებო მოქმედება - ამოღება საჭიროებს თუ არა სასამართლოს მხრიდან კანონიერების შემოწმების საკითხს“.

საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ წარდგენილი საჩივარი სრულად დააკმაყოფილა, განჩინებაში¹³ კოლეგიის მოსამართლემ აღნიშნა შემდეგი: „საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს სასამართლოს კონტროლს ისეთ ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებებზე, რომლებიც

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, საქმე N609აპ-15. 19.05.2016

¹³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1გ/1237. 25.07.2016.

ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამ ნაწილში არ არის ცალსახად ჩამოთვლილი კონკრეტული საგამომიებო მოქმედებები, თუმცა საგამომიებო მოქმედების შინაარსიდან, მისი შემხებლობიდან, მისი ჩატარების ფორმიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, ეს საგამომიებო მოქმედება ზღუდავს თუ არა კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

საჩივრის განხილვისას, კოლეგიის მოსამართლემ ერთობ თავისებურად განმარტა და შეაფასა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის განაჩენი. აღნიშნულზე დაყრდნობით მოსამართლემ განმარტა:

„უზენაესმა სასამართლომ განიხილა გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩხრეკის ჩატარებისას კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის გამოხატვასთან დაკავშირებით სასამართლოს კონტროლის განხორციელების საკითხი და რომ დასახელებულ შემთხვევაში, გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბინასა თუ სხვა მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, ანუ მიუხედავად კომუნიკაციის ერთი მხარის, მფლობელის, მესაკუთრის თანხმობისა საჭიროა საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვა, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილში და 120-ე მუხლში“.

სასამართლომ საკმაოდ განსხვავებულად განმარტა შემდეგი ეპიზოდი, როდესაც განაცხადა: „ამ შემთხვევაში საკითხი ეხება თუ არა ჩხრეკას, არ აქვს მნიშვნელობა, საკითხი ეხება ფუნდამენტურ პრინციპს, კერძო საკუთრების/მფლობელობის შეზღუდვის ფარგლებში ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებას გადაუდებელი აუცილებლობისას და ეს საგამომიებო მოქმედება შეიძლება იყოს როგორც ჩხრეკა, ისე ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალეირებაც, რაც სსსკ-ის 112-ე მუხლით მოიაზრება საგამომიებო მოქმედებაში და ზღუდავენ კერძო საკუთრებას“.

აღნიშნული არგუმენტაციის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენის (N609აპ-15 19.05.2016) მოტივი უნდა გავრცელდეს საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაზე¹⁴.

განსახილველ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებლის მიერ საცხოვრებელი სახლის ეზოში, სახლის მესაკუთრის თანდასწრებით, რომელსაც გამომძიებლისთვის წერილობითი თანხმობაც ჰქონდა მიცემული მის საკუთრებაში საგამომიებო მოქმედება დათვალეირების ჩატარებაზე, სასამართლომ ერთობ უჩვეულოდ განმარტა, რომ მოცემული დათვალეირება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, რადგანაც აღნიშნული საგამომიებო მოქმედების დაყოვნებას შეეძლო გამოეწვია გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, რის გამოც არსებობდა მოსამართლის განჩინების გარეშე, შემთხვევის ადგილის დათვალეირების, საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა¹⁵.

მოცემული არგუმენტაციის გასამყარებლად, მოსამართლე ციტირებს შემდეგს:

„საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს საგამომიებო მოქმედება თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.

საჩივრის განმხილველი მოსამართლის მიერ წარმოდგენილ ციტირებასთან, მართლაც რომ

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

შესაბამისობაშია მის მიერ ზემოთ აღწერილი დასაბუთება. მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ნიუანსს, კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში საუბარია არა ზოგადად საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე, როგორც ამას მოსამართლე უთითებს, არამედ დაკონკრეტებული საგამომიებო მოქმედება ჩხრევის ჩატარება. კერძოდ, ხსენებული მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „არავის არ აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრევა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.

მოცემული ნორმიდან ცალსახად და ნათლად ჩანს, რომ კანონმდებლის მიერ, საგამომიებო მოქმედება ჩხრევის ჩასატარებლად დადგენილია მხოლოდ ორი საფუძველი, სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) და კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

კანონმდებლის ნება და მიზანიც ზუსტად ის არის, რომ საგამომიებო მოქმედება ჩხრევა, რომელიც მაღალი ინტენსივობით იჭრება ადამიანის პირად სივრცეში და ზღუდავს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, აუცილებელია ჩატარდეს ზემოთ აღნიშნული, მხოლოდ ორი საფუძველიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში და არა მესაკუთრის თანხმობით.

მიმაჩნია, რომ მოცემული კონსტიტუციური ნორმების თანახმად, ბინის ან სხვა მფლობელობის მესაკუთრეთა ან მფლობელთა თანხმობით, შესაძლებელია მხოლოდ ის საგამომიებო მოქმედებები ჩატარდეს, რომლებიც მესაკუთრეთა თანხმობის საფუძველზე, სსსკ-ით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

სსსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასეთი საგამომიებო მოქმედება არის დათვალიერება, ვინაიდან, „თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას“.

ზემოაღნიშნული მოსაზრების სისწორის დამადასტურებელ დამატებით გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ არც ზოგადად, საგამომიებო მოქმედება დათვალიერების და არც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩასატარებლად კანონი საგამომიებო ორგანოებს არ სთხოვს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, განსხვავებით ჩხრევისა და ამოღებისაგან, რომელთა ჩატარებისათვისაც აუცილებელია, საგამომიებო მოქმედების ჩატარების ინიციატორს გააჩნდეს მტკიცებულებითი სტანდარტი – დასაბუთებული ვარაუდი¹⁶; რაც გულისხმობს გარკვეული სახის ფაქტების ან/და ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს მისცემდა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კონკრეტულ ადგილას შესაძლოა აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერი მტკიცებულება.

შესაბამისად, არც სასამართლოს ევალება დათვალიერებაზე ნებართვის გაცემისას იხელმძღვანელოს აღნიშნული სტანდარტით და ამ შემთხვევაში საკმარისია შედარებით უფრო დაბალი სტანდარტის არსებობაც, ვინაიდან, ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს მტკიცებულებით სტანდარტს ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისათვის.

ამავე კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი: „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრევა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილი და ამოღებული იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი“.

როგორც ვხედავთ, სსსკ-ით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედება, რომელიც

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 119-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სავალდებულო წესით მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას შეიძლება ჩატარდეს, არის ჩხრეკა და ამოღება.

როგორც მოცემული ნორმის შინაარსიდან ირკვევა, ჩხრეკის პირდაპირ მიზანს წარმოადგენს გარკვეული საგნების მოძებნა/აღმოჩენა და ამოღება, რაც ჩემ მიერ ზემოთ ხსენებული საგამომიებო მოქმედებებისგან (დათვალეობა, საგამომიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება) განსხვავებით, ბევრად ღრმად იჭრება ადამიანის პირად ცხოვრებაში და მაღალი ინტენსივობით ზღუდავს ადამიანის უფლებებს; ამის გამოც, დათვალეობისგან განსხვავებით, ჩხრეკაზე კანონმდებლის მიერ დაწესებულია შედარებით მაღალი სტანდარტის ბარიერი.

სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებაში დაკონკრეტებულია შემდეგი: „არავის არ აქვს უფლება საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.

აქვე მინდა აღვნიშნო იმის შესახებ, რომ რიგ შემთხვევებში მოსამართლეები ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების კანონიერების შემოწმებისას, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებულად მოიხსენიებენ საგამომიებო მოქმედებებს, რომლებიც თუნდაც ჩატარებული იყოს საჯარო სივრცეში, ღია ადგილას.

აღნიშნული არ მიმაჩნია სწორად, ვინაიდან სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა თავისი შინაარსით, არის მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგამომიებო ორგანოების წინაშე საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად, კერძო საკუთრების ან მფლობელობის სახით, არსებობს გარკვეული „ბარიერი“ და დაყოვნება კი გამოიწვევს გამოძიებისთვის ხელის შეშლას; ამის გამო კონკრეტული საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად აუცილებელია საკუთრების სახით არსებული „ბარიერის“ გადალახვა, ეს ფასდება როგორც გადაუდებელი აუცილებლობა; ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი საგამომიებო მოქმედებას ატარებს მის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე, რომლის კანონიერებასაც შემდგომ სასამართლო ამოწმებს სსსკ-ით დადგენილი წესით.

როდესაც გამომძიებლის მიერ საგამომიებო მოქმედება ჩასატარებელია საჯარო სივრცეში, სადაც არავის საკუთრების უფლება არ იზღუდება, მიმაჩნია, რომ არ იქნება გადაუდებელი აუცილებლობა; ასეთ ადგილას გამომძიებელს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ბარიერისა და დაბრკოლების გარეშე, აქვს უფლება ჩაატაროს მისთვის სასურველი საგამომიებო მოქმედება, რაც არ ჩაითვლება გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებულად და არც სასამართლოს მიერ მისი შედეგების კანონიერების შემოწმების საჭიროება იქნება.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრება დასტურდება საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებით.

პირველი ნაწილის თანახმად: „საგამომიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით“, მე-5 ნაწილში კი მითითებულია, რომ: „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე.“

როგორც მოცემული ნორმების შინაარსიდან ირკვევა, საგამომიებო მოქმედების ჩატარების მიზნებისათვის გადაუდებელი აუცილებლობა წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) ერთგვარ ალტერნატივას, როდესაც საკითხი ეხება კერძო საკუთრებაში ან მფლობელობაში საგამომიებო მოქმედების ჩატარებას. ასეთ შემთხვევებში, საკუთრების უფლების ან მფლობელობის სახით არსებული „ბარიერის“ გადალახვა ხდება ან სასამართლოს გადაწყვეტილებით

(განჩინებით) ან მის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას შესაბამისი დადგენილებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობა არის მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგამომიებო მოქმედებით ხდება ვინმეს საკუთრების უფლების ან მფლობელობის შეზღუდვა და ამის თაობაზე არ არსებობს სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილება; შესაბამისად, თუ არ არის სასამართლოს განჩინების აუცილებლობა, ვერც გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება იქნება.

თავი III

კომპიუტერული მონაცემებისა და კომპიუტერული მონაცემების შემცველი ობიექტების დათვალეირება

შუამდგომლობების განხილვისას სასამართლოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნების სიზუსტეს, განსაკუთრებით – ნებართვის მოთხოვნას ისეთი საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისათვის, როგორცაა ამოღება და დათვალეირება¹⁷.

რამდენადაც დათვალეირება შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა სახით, იქნება ეს შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის, საგნის, დოკუმენტის, კომპიუტერული მონაცემებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტების დათვალეირება, აუცილებელია წარდგენილ იქნეს კონკრეტული მოთხოვნა – ინფორმაციის შემცველი რა ობიექტის დათვალეირებას ითხოვს მხარე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც თავად სასამართლო აკორექტირებს შუამდგომლობის მოთხოვნას და ნაწილობრივ აკმაყოფილებს მას¹⁸. მაგალითად, თელავის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და უფლება მისცა დაეთვალეირებინა სათვალთვალ კამერის არა სრული ჩანაწერი (როგორც ითხოვდა დაცვის მხარე), არამედ მხოლოდ კონკრეტული პირის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად მოთხოვნის არაზუსტი ხასიათისა, სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია შუამდგომლობის ნაწილობრივი დაკმაყოფილება დაცვის მხარისაგან დამატებითი დაზუსტების მოთხოვნის გარეშე.

სასამართლოები განჩინების დასაბუთებისას ხშირად აღნიშნავენ, რომ შუამდგომლობაში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, ინფორმაცია რა სახით არსებობს – დოკუმენტურად თუ კომპიუტერულ სისტემაში.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, კომპიუტერული მონაცემების დათვალეირების შესახებ საყურადღებო შეფასებებია გაკეთებული სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინებაში¹⁹, რომელსაც არ ვეთანხმები: მიმაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება, რომლითაც დაცვის მხარის გარკვეული მტკიცებულებები ცნობილ იქნა დაუშვებლად, იყო კანონიერი და დასაბუთებულიც, მაგრამ საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ გასაჩივრებული განჩინება გააუქმა და დასაშვებად ცნო ადვოკატის მიერ დათვალეირების ოქმით ამოღებული კომპიუტერული მონაცემების ფოტოსურათები.

ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საფუძვლად დაუდო შემდეგი:

¹⁷ საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია (სიფა), კვლევები და რეკომენდაციები, 2016, 15.

¹⁸ იქვე;

¹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1/გ133-18. 02.02. 2018.

„კომპიუტერის დათვალეირების დროს, სსსკ-ის ნორმები არ არის დარღვეული, თუმცა, ამ დათვალეირების ოქმზე დართული ფოტოების მოპოვება, ახალი (სხვა) საგამომიებო მოქმედებაა და ამით დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის მოთხოვნები“.

აღნიშნული გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ გასაჩივრდა საგამომიებო კოლეგიაში და ადვოკატმა მოითხოვა დათვალეირების ოქმზე დართული ფოტოცხრილის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: „კომპიუტერის დათვალეირება მოხდა მისი მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობით და ფოტოგადაღებაც განხორციელდა დათვალეირების ფარგლებში, ოქმში დეტალურადაა მითითებული, რომ მოხდა ფოტოგადაღება, თავად ფოტოცხრილი წარედგინა საგამომიებო მოქმედების მონაწილეებს, გაკეთდა ხელმოწერები და დაერთო ოქმს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარის მიერ არ დარღვეულა სსსკ-ის მოთხოვნები“.

საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ წარდგენილი საჩივარი სრულად დააკმაყოფილა და განმარტა შემდეგი: „დათვალეირება არის საგამომიებო მოქმედება, რომელიც ამ შემთხვევაში, დაცვის მხარემ ჩაატარა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გარკვევის მიზნით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მე-3 ნაწილი შესაძლებლობას იძლევა დათვალეირება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, თუ ეს არ გამოიწვევს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ან მასზე არსებული კვალის განადგურებას ან დაზიანებას²⁰.“

დათვალეირება, როგორც საგამომიებო მოქმედება, ტარდება მტკიცებულების, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვების მიზნით, როგორც შეიძლება იყოს დოკუმენტი: „დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-კინო-ვიდეო-ბეგრისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“²¹.

ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმებიდან ცხადია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ტექნიკური საშუალებების გამოყენებას საგამომიებო მოქმედების ჩატარების დროს მიიჩნევს ამ საგამომიებო მოქმედებისას მტკიცებულებების მოსაპოვებლად განხორციელებული ქმედებების შემადგენელ ნაწილად, ფაქტებისა და მოვლენების უკეთესი ფიქსაციის საშუალებად. როგორც აღინიშნა, ასეთი შეიძლება იყოს ფოტოგადაღებაც, რომელიც დათვალეირების პროცესის შემადგენელი და მისი მიმდინარეობის თვალსაჩინოდ ამსახველი ნაწილია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველი, დათვალეირების ჩატარებისას განხორციელებული ფოტოგადაღება განსხვავდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დარეგულირებული დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურისგან როგორც თავისი არსით, ისე პროცესუალური ფორმით. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა არის უშუალოდ იმ ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვება სისხლის სამართლის საქმის მიზნებისთვის, რომელიც დაცულია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში. ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვისგან განსხვავებით, ბრალდებულის პერსონალურ კომპიუტერში არსებული ფაილების დათვალეირებას და ამ დროს განხორციელებულ ფოტოგადაღებას აქვს მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა, რომ ამა თუ იმ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში (ბრალდებულის კომპიუტერში), დაცულია ეს ინფორმაცია. თუმცა, გამოთხოვისგან განსხვავებით, დათვალეირებისას ამ დაცული ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოპოვება და საქმეზე დართვა არ ხდება.

შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიამ არ მიიჩნია, რომ ხსენებული დათვალეირება და ამ დროს განხორციელებული ფოტოგადაღება შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

²⁰ იქვე.

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009, მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი.

კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების–დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის ნიშნებს.

ზემოთ აღნიშნული დასაბუთებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ მიიჩნია, რომ ადვოკატის საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო, რის შედეგადაც დაცვის მხარის მტკიცებულებები (კომპიუტერის დათვალიერების ოქმი და ამ ოქმზე დართული, კომპიუტერში არსებული საქალაქდებებისა და ფაილების ამსახველი ფოტოცხრილი) ცნო დასაშვებ მტკიცებულებად²².

მიმაჩნია, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით, ერთობ არასასურველი პრაქტიკა არის დანერგილი საქართველოს სასამართლოებში, კერძოდ: რიგ შემთხვევებში პირველი ინსტანციის სასამართლოების წინასასამართლო სხდომის მოსამართლეები განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებენ იდენტურ საკითხებზე – მხარეთა მიერ წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე. აღნიშნული შესაძლოა არ იყოს დიდად დასაფიქრებელი, რადგან სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად: „წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად 5 დღის ვადაში შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში, სადაც საჩივარი მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე განიხილება 5 დღის ვადაში“, აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება კი აღარ გასაჩივრდება და არის საბოლოო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსამართლის განჩინება მტკიცებულების დასაშვებლად ცნობის შესახებ საერთოდ არ საჩივრდება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ხდება საბოლოო²³.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში შექმნილია ისეთი რეალობა, რომ გამოძიების მიმდინარეობისას მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი წყდება პირველი ინსტანციის სასამართლოებში, ხოლო დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში; აქ საჩივარს ერთპიროვნულად განიხილავს მოსამართლე, რომლის გადაწყვეტილებაც აღარ საჩივრდება და, ფაქტობრივად, იქმნება პრაქტიკა, თუ რა წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულება იქნება დასაშვები და რა – დაუშვებელი. აღნიშნული, ვფიქრობ, ერთგვარად სახელმძღვანელო პრაქტიკას უნდა წარმოადგენდეს პირველი ინსტანციის მოსამართლეებისათვის, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში უწევთ მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება.

სწორედ აქ მინდა აღვნიშნო ჩემ მიერ ზემოთ ხსენებული ის არასასურველი ვითარებისა და პრაქტიკის შესახებ, რომელიც დღევანდელ რეალობაშია შექმნილი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლეთა შორის, ნივთიერ მტკიცებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით, არ არსებობს ერთიანი ხედვა და ხშირია მათ მიერ საპროცესო ნორმათა განსხვავებული განმარტებები; ამას შედეგად მოჰყვება ზოგიერთი ისეთი მტკიცებულების დაუშვებლობა, რომელმაც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს მოსამართლის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების (განაჩენის) გამოტანისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა მივიღოთ ისეთი რეალობა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების სახით, იქნება ეს გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი, ბრალდებულს დაეკისრება სასჯელი და იქნება ნასამართლობის მქონე. თუ იგი გამართლდება და სსსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების უფლებასაც მოიპოვებს, შესაძლოა დამოკიდებული იყოს მხოლოდ იმაზე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის რომელი მოსამართლე განიხილავს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილებაზე საჩივარს მისი

²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1/გ133-18. 02.02. 2018.

²³ სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებს მხოლოდ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ, სასამართლოს განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას. მტკიცებულების დასაშვებლად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესი და პროცედურა, სსსკ-ით გათვალისწინებული არ არის (დ. დინუაშვილი)

საქმის მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ. საგამომიებო კოლეგიის მოსამართლეებს, მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში განსხვავებული შეფასებები და ხედვები აქვთ, რის გამოც, გარკვეული მეთოდებითა და გზებით მოპოვებული კონკრეტული მტკიცებულება, შესაძლოა, ერთმა მოსამართლემ ჩათვალოს კანონიერად და ცნოს დასაშვებად, ხოლო სხვა მოსამართლემ – უკანონოდ და დაუშვებლად; აღნიშნულის გამო საქმეზე საბოლოოდ მივიღებთ საპირისპირო შედეგს.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების დასადასტურებლად და მეტი თვალსაჩინოებისათვის, განვიხილოთ ანალოგიურ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, რომელიც დიამეტრულად განსხვავდება როგორც დასაბუთებით, ასევე საბოლოო შედეგით ჩვენ მიერ ზემოთ განხილული განჩინებისგან (1გ/133-18); ამ განჩინებით დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა და დასაშვებად იქნა ცნობილი დათვალეირების ოქმზე დართული „კომპიუტერული მონაცემების ამსახველი ფოტოცხრილი“.

სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლემ განიხილა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ნაწილობრივ. კერძოდ, დაუშვებლად ცნო ერთ-ერთი სოციალური ქსელის გვერდისა და ელფოსტის დათვალეირების ოქმზე დართული კომპიუტერული მონაცემების ამსახველი ფოტომასალა.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ კომპიუტერული სისტემებისა და მონაცემების დათვალეირებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „სსსკ-ის 136-ე მუხლის საფუძველზე, დათვალეირებისას, როგორც კი მხარე აღმოაჩენს, რომ კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში შენახულია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, იგი ვალდებულია მიმართოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე და სასამართლოს განჩინების საფუძველზე გამოითხოვოს ეს ინფორმაცია, და არა ისე, რომ ფოტოგადაღების გზით, დანართის სახით მოიპოვოს დათვალეირების შემდგომ“²⁴.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლზე და განმარტა: „მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე აქვს მხარეს ასეთი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობა და, ის არგუმენტი, რომ ხელწერილით მესაკუთრეები თანხმობას აცხადებენ, მათ შესახებ ინფორმაცია იქნეს ამოღებული, დაფიქსირებული და დაერთოს საქმის მასალებს, არასწორია“.

სასამართლოს მითითებით, ბრალდების მხარისთვის აღნიშნული მტკიცებულების მოპოვების ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენდა მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა; ამის გამო მიიჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული მტკიცებულება წარმოადგენდა დაუშვებელ მტკიცებულებას.

ზემოაღნიშნულ გარემოებაზე მითითებით, სასამართლომ სოციალური ქსელის გვერდისა და ელფოსტის დათვალეირების ოქმებზე დართული ფოტოცხრილები ცნო დაუშვებელ მტკიცებულებად.

აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურორის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში შემდეგი მოტივით: „...რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მონაცემთა სუბიექტების თანხმობა, რომელთა ნებითაც ხდებოდა საკუთარი პერსონალური ინფორმაციის დამუშავება. მონაცემთა სუბიექტს კი უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის გამომძიებელს გადასცეს საკუთარი პერსონალური ინფორმაცია. გამომძიებლს უფლება ჰქონდა, გამოთხოვის ნაცვლად, უფრო მარტივად, დროულად და ეფექტურად – დათვალეირების გზით მიეღო საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია“.

²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1გ/449-17. 30.03. 2017.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარეს მიაჩნდა, რომ ადგილი არ ჰქონდა მტკიცებულებათა მოპოვების წესის დარღვევას; შესაბამისად, ითხოვდა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გაუქმებას და დაუშვებლად ცნობილი ყველა მტკიცებულების დასაშვებლად ცნობას.

წარდგენილი საჩივარი საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ იქნა განხილული და არ დაკმაყოფილდა²⁵ შემდეგი დასაბუთებით:

საგამომიებო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია იყო უსაფუძვლო, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის თაობაზე და მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული იყო არსებითად სწორი გადაწყვეტილება.

პროკურორის საჩივრის მოტივზე, რომ გამოთხოვის ნაცვლად დათვალიერებით უფრო მარტივად და დროულად იქნებოდა შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება, საჩივრის განმხილველმა – საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ განმარტა, რომ „მტკიცებულების მოპოვების დროს საგამომიებო მოქმედება დათვალიერება ვერ ჩაანაცვლებს საგამომიებო მოქმედება გამოთხოვას“.

მოცემულ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია, გამოიძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვისათვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით, ხოლო რაც შეეხება თავად კომპიუტერულ სისტემასა და მონაცემს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილის მიხედვით, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი), რომელიც პროგრამის მეშვეობით ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, უდავოა, რომ საქმეში წარმოდგენილი სოციალური ქსელისა და ელფოსტის გვერდებზე არსებული მოკლე ტექსტური შეტყობინებები თუ ინფორმაციები წარმოადგენს კომპიუტერულ სისტემაში არსებულ მონაცემებს, რომელთა გამოთხოვის/მოპოვების წესი სპეციალურად გათვალისწინებულია სსსკ-ის 136-ე და 143²-143¹⁰-ე მუხლების დებულებებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ მოცემული მუხლით გათვალისწინებულ საგამომიებო მოქმედებაზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰-ე მუხლების დებულებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ფარული საგამომიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით.

მოცემულ შემთხვევაში, სოციალური ქსელისა და ელფოსტაში აღბეჭდილი შეტყობინებები, უდავოა, რომ წარმოადგენდა კომპიუტერულ სისტემაში დაცულ მონაცემს, ხოლო იმის გამო, რომ აღნიშნული მოკლე ტექსტური შეტყობინებები დათვალიერებისას დასურათდა (გაუკეთდა ე.წ. „სქრინშორტები“) და დაერთო ოქმს, საგამომიებო კოლეგიამ (ავტ: დ. დინუაშვილი), სრულიად სამართლიანად მიიჩნია, რომ აღნიშნულით არ იქნა დაცული შესაბამისი სტანდარტი, კერძოდ, ის, რომ დაუშვებელია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე და სსსკ-ის 143²-143¹⁰ მუხლების დებულებების გარდა, საგამომიებო თუ სხვა მოქმედებით კომპიუტერულ სისტემაში დაცული მონაცემების/ინფორმაციის ამოღება/მოპოვება.

²⁵ იქვე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი უშვებს კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვას თანამესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით, რაც განსახილველ შემთხვევაში არ შეესაბამება ჩატარებული მოქმედების არსს – ეს დათქმა არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ბრალდების მხარე მოქმედებს, სსსკ-ის 136-ე მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული არ ესადაგება მისი ჩატარების შესახებ კანონში არსებულ დათქმას და დადგენილ მაღალ სტანდარტს²⁶.

დათვალიერების ოქმის შედგენით იქმნება მტკიცებულება მასში მონაწილე პირების მეშვეობით და დგინდება შემთხვევის ვითარება; გაირკვევა, დანაშაულის ფაქტს ჰქონდა თუ არა ადგილი, ან მასზე არსებული/აღბეჭდილი ინფორმაცია არის თუ არა კავშირში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებთან.

განსახილველ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ საგამომიებო მოქმედება დათვალიერების შემდეგ გამომძიებელმა დაასურათა კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია (სოციალური ქსელის გვერდზე არსებული ჩანაწერები / მოკლე ტექსტური შეტყობინებები) და საქმეს დაურთო, ანუ განახორციელა დამატებით ამოღება, როგორც სსსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი. ზემოთ ხსენებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ განსახილველ შემთხვევაში გამომძიებელს უფლება არ ჰქონდა, კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია მოეპოვებინა ფარული საგამომიებო მოქმედებისათვის დადგენილი წესის უგულვებლყოფით, მოსამართლის განჩინების გარეშე.

მხარის უფლებაა, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გარკვევის მიზნით, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებული ინფორმაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რასაც არ სჭირდება ფარული საგამომიებო მოქმედებისათვის დადგენილი წესით მოსამართლის განჩინება – კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის/ ჩანაწერების მხოლოდ დათვალიერებას არ სჭირდება მოსამართლის განჩინება და ის შეიძლება ჩატარდეს სსს კოდექსით დათვალიერებისათვის დადგენილი წესით; მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მხარეს უფლება აქვს მხოლოდ დაათვალიეროს მობილური ტელეფონის, ელფოსტის და სოციალური ქსელების გვერდზე არსებული ჩანაწერები თანამესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით.

განსახილველ შემთხვევაში, როდესაც მოწმედ დაკითხული პირი თანხმობას გამოთქვამდა თავისი კუთვნილი ელფოსტისა და სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერებაზე, გამომძიებლისთვის საინტერესო ინფორმაციის დასურათებასა და მათ საქმისთვის დართვაზე, მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა მიერ გამოთქმული თანხმობა გამომძიებელს სამართლებრივად არ აძლევდა უფლებას, ჩანაწერი ამოეღო დასურათების სახით.

გამომძიებელს დათვალიერება უნდა დაესრულებინა მხოლოდ დათვალიერების მიმდინარეობის აღწერის შემდეგ და თუ დათვალიერებით აღმოჩნდებოდა გამომძიებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ამის შემდგომ უნდა განეხორციელებინა არა ამოღება, არამედ პროკურორს მიემართა შუამდგომლობით სასამართლოსათვის, ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების წესის მიხედვით, ინფორმაციის გამოთხოვის ნებართვის გაცემის თაობაზე.

საგამომიებო მოქმედება დათვალიერების მიზანია დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გარკვევა, ანუ ხდება საქმისათვის სისხლისსამართლებრივი

²⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N18/449-17. 30.03. 2017.

მნიშვნელობის ფაქტებისა და გარემოებების ფიქსაცია. დათვალიერების შემდგომ რაიმე ნივთის ან საგნის ამოღება ზოგ შემთხვევაში არ არის სავალდებულო და შესაძლებელია ნივთის ამოღება/ გამოთხოვა განხორციელდეს სხვა საგამომიებო მოქმედებით, ანუ დაუშვებელია დათვალიერებით ინფორმაციის მოპოვებამ ჩაანაცვლოს სსსკ-ის 136-ე და 143²-143¹⁰-ე მუხლებით ინფორმაციის მოპოვება, რაც თავისთავად უკარგავს ამ ნორმებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას და გამოთხოვა, როგორც საგამომიებო მოქმედება, ხდება უფუნქციო, უშინაარსო.

ამიტომ, როდესაც მხარეს სურს მოიპოვოს კომპიუტერული მონაცემის შემცველი ინფორმაცია, აუცილებლად უნდა დაიცვას მისი გამოთხოვის სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილი სპეციალური წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება კანონის არსებითი დარღვევით მტკიცებულების მოპოვებას.

ნივთმტკიცების, მათ შორის, კომპიუტერული დისკის, როგორც ნივთისა და არა როგორც კომპიუტერული მონაცემის შემცველი ობიექტის, ამოღება დათვალიერების დროს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ხდება შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობისა და ა.შ. დათვალიერება და როდესაც გამომიებელი ამ დათვალიერების დროს აღმოაჩენს ასეთ ნივთს, როგორც საქმისათვის მნიშვნელობის მქონეს.

რაც შეეხება უშუალოდ ნივთის დათვალიერებას, თუ ის შემდგომში უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, ეს შესაძლებელია მხოლოდ მისი კანონიერად მოპოვების (ამოღების) შემდეგ; ე.ი. ჯერ უნდა იქნეს ამოღებული, კომპიუტერული მონაცემის შემთხვევაში – გამოთხოვილი, ხოლო შემდეგ – დათვალიერებული²⁷.

ასევე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს კომპიუტერული მონაცემების დათვალიერება და დათვალიერების ოქმით ასეთი მონაცემის ამოღება, რაც კანონის დარღვევაა – ეს საკითხი დარეგულირებულია სპეციალური მუხლით და სავალდებულოა მისი დაცვა.

აღნიშნული საკითხი ვრცლად არის განხილული სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის ერთ-ერთ განჩინებაში²⁸, რომლის მიხედვითაც:

„საქმის გამომიების ფარგლებში, სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა და ითხოვა განჩინების გაცემა კომპიუტერის პროცესორის დასათვალიერებასა და დათვალიერების შემდგომ მიღებული (მათ შორის აღდგენილი) დოკუმენტის თუ ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ობიექტის ამოღებაზე.

მოსამართლის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

გამომიებას ნება დაერთო კომპიუტერის პროცესორის დათვალიერებისა. რაც შეეხება კომპიუტერის პროცესორიდან ინფორმაციის ამოღებას, მოსამართლემ აღნიშნულ ნაწილში პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა შემდეგი მოტივით: აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს ინფორმაციის გამოთხოვას – გამოთხოვილი ინფორმაცია არის კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული ინფორმაცია, რომლის მოპოვების წესი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე და 143² 143¹⁰ მუხლების დებულებებით.

მოსამართლემ აქვე აღნიშნა, რომ კომპიუტერში არსებული ინფორმაცია არ წარმოადგენს სსსკ-ის 119-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანს, დოკუმენტს, ნივთიერებას ან ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტს და ის წარმოადგენს მხოლოდ სსსკ-ის 136-ე და 143²-ე-143¹⁰-ე მუხლების საფუძველზე მოსაპოვებელ კომპიუტერულ მონაცემს²⁹.

²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1გ/601. 28.04.2017.

²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1გ/1497. 20.09.2016.

²⁹ იქვე.

მოსამართლის გადაწყვეტილება პროკურორის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში პირვანდელი მოთხოვნით, რომ სასამართლოს ნება დაერთო დათვალეირების დროს აღმოჩენილი, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღებისა.

საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ საჩივარი არ დააკმაყოფილა და აღნიშნულთან დაკავშირებით, განმარტა შემდეგი:

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ინფორმაციის გამოთხოვას საგამომიებო მოქმედება ამოღებისაგან განასხვავებს ობიექტის თავისებურებანი და მისი ჩატარების განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია.

კერძოდ, ინფორმაციის გამოთხოვის დროს ხდება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის (ელექტრონული სახით არსებული ინფორმაციის, ამ შემთხვევაში, ობიექტის) მოპოვება, ხოლო ამოღების მიზანია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის (ისეთი ობიექტის, რომელიც არ არის ელექტრონული სახის და არ წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემს) ამოღება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

ამოღება ტარდება ჩვეულებრივი საგამომიებო მოქმედებისთვის დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლითა და სხვა სპეციალური მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციებით, ხოლო ინფორმაციის გამოთხოვა ტარდება ფარული საგამომიებო მოქმედებისთვის დადგენილი რეჟიმის მიხედვით, საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰ მუხლების შესაბამისად³⁰.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის შეტანისას საგამომიებო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მოსაპოვებელი ინფორმაციის სახეს და მისი მოპოვების პროცესუალურ წესს, რაც დეტალურად არის გაწერილი ერთი მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე და 143²-143¹⁰-ე მუხლებში, ხოლო მეორე მხრივ, 111-ე - 112-ე, 119-ე - 123-ე მუხლებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებული დათვალეირების დროს, ამ საგამომიებო მოქმედების ჩამტარებელ პირს ნამდვილად აქვს უფლება ამოიღოს დათვალეირების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. თუმცა, ამავე კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ შემთხვევაში, საპროცესო კოდექსში არსებული დათქმა ეხება შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავის, გვამის, საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალეირებას და არა კომპიუტერული სისტემის ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალების დათვალეირებას, რომელშიც არსებული ინფორმაცია მოცემულია ელექტრონული სახით, კომპიუტერული მონაცემის ფორმით და მასთან დაკავშირებით მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია.

კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან კომპიუტერული მონაცემების მოპოვების მიზნით, კანონმდებელმა სსსკ-ის მოქმედ რედაქციაში ცალკე საგამომიებო მოქმედების სახით შემოიტანა დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა, რომლის საპროცესო რეგლამენტაციას მანამდე (2010 წლამდე) მოქმედი სსსკ არ იცნობდა; აღნიშნულის საჭიროება გაჩნდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის გამო³¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ განმარტა:

³⁰ იქვე.

³¹ . თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1გ/1497. 20.09.2016.

„საპროცესო კოდექსის 136-ემუხლიარის სპეციალური მუხლი, რომელიც აწესრიგებს კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან მონაცემის მოპოვებას, ელექტრონული ფორმით დაცული ინფორმაციის გამოთხოვას. შესაბამისად, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნებისთვის, აღნიშნულ სპეციალურ ნორმას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა დათვალიერების ჩატარების ზოგად წესთან და ამ საგამომიებო მოქმედების მომწესრიგებელ ზოგად ნორმებთან – სსსკ-ის 125-ე – 127-ე მუხლებთან შედარებით“³².

აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების, მიმოწერის, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრისა და ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. შესაბამისად, ამ უფლებათა დოგმატიკა საჭიროებს მუდმივ განვითარებასა და დახვეწას ტექნოლოგიების განვითარების მდგომარეობის გათვალისწინებით.³³

რაც შეეხება ჩვენ მიერ ნაშრომის დასაწყისში გაკეთებულ განმარტებას, რომ დათვალიერების ჩატარების მარეგულირებელი ნორმების ანალიზის საფუძველზე, დათვალიერების ჩამტარებელ სუბიექტს უფლება აქვს ამავე დროს ამოიღოს საქმისათვის მნიშვნელოვანი საგნები თუ სხვა ნივთები, ანალოგიური განმარტება გააკეთა საჩივრის განმხილველმა მოსამართლემ, რა დროსაც აღნიშნა:

„როდესაც მოსამართლე გასცემს დათვალიერების ნებართვას, ავტომატურად ეს ნებართვა ვრცელდება დათვალიერების ჩატარების დროს განხორციელებულ ამოღებაზეც, მაგრამ იგივე ნებართვა ვერ გავრცელდება კომპიუტერული მონაცემის სახით არსებული ინფორმაციის მოხსნაზე, ვინაიდან კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, ამოღებისაგან განსხვავებით, რეგულირდება ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისთვის დადგენილი წესებით და არა საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად დადგენილი საერთო წესის მიხედვით.

იმ შემთხვევაში კი, თუ დაგეგმილ დათვალიერებას პერსპექტივაში, შესაძლებელია, თან სდევდეს კომპიუტერული მონაცემის მოპოვების აუცილებლობაც, მხარეებმა სასამართლოს წინაშე უნდა იშუამდგომლონ როგორც დათვალიერების, ისე ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზეც, რადგან ამ ორი საგამომიებო მოქმედების ჩატარების და გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების მოპოვების წესი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, განსხვავებულია“³⁴.

ზემოთ მოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ მიიჩნია, რომ ვინაიდან გამოძიებისთვის წინასწარვე იყო ცნობილი დასათვალიერებელი ობიექტიდან (კომპიუტერული სისტემიდან) კომპიუტერული მონაცემის მოხსნის (ინფორმაციის გამოთხოვის) აუცილებლობის შესახებ, პროკურორს უნდა ეშუამდგომლა როგორც დათვალიერების, ისე ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სასამართლოდან ნებართვის მისაღებად და ეხელმძღვანელა შესაბამისი მუხლებით, რომლებითაც რეგულირდება ეს საგამომიებო მოქმედებები.

კომპიუტერული მონაცემების შემცველი ობიექტის დათვალიერებასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესო მსჯელობას ვხვდებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის ერთ-ერთ განჩინებაში³⁵, რომლითაც არ დაკმაყოფილდა პროკურორის საჩივარი დათვალიერების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმძებელი – პროკურორი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლისგან ითხოვდა განჩინებას, მოწმის მიერ წარდგენილი და სისხლის სამართლის საქმეზე დართული DVD-დისკის და მასზე არსებული ვიდეოჩანაწერის დათვალიერების მიზნით.

³² იქვე;

³³ ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, 179.

³⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1გ/1497. 20.09.2016.

³⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N1გ/109. 25.01. 2017.

მოსამართლის განჩინებით, შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და პროკურორს უარი ეთქვა წარდგენილი დისკისა და მასში არსებული ჩანაწერის დათვალიერებაზე.

შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლემ აღნიშნა, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ინფორმაციის მოპოვება და საქმისთვის დართვა, რომელიც მიიღება კომპიუტერულ სისტემაში მონაცემთა დამუშავების შედეგად და არის კომპიუტერული მონაცემი, უნდა მოხდეს ინფორმაციის გამოთხოვის გზით სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინფორმაცია, რომლის დათვალიერებასაც ითხოვს ბრალდების მხარე, არ იყო მოპოვებული საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით, გამომიებამ ეს ინფორმაცია მოიპოვა პირის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენის გზით და საქმეზე დაამატა თვით ამ დისკის დათვალიერების ოქმით; გამომიებელმა შეადგინა დათვალიერების ოქმი, რომელშიც დააფიქსირა პირის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დისკის ნებაყოფლობით წარდგენა.

საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერება კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის უკვე გამომიებლის ხელთაა, თუ მასზე გამომიებელს ხელი მიუწვდება დასათვალიერებლად. ასეთი საგანი, დოკუმენტი ან სხვა ობიექტი მხოლოდ მაშინ არის გამომიებლისთვის კანონიერად ხელმისაწვდომი, თუ ის სხვა რომელიმე საგამომიებო მოქმედებით არის მოპოვებული.

მაშასადამე, სსსკ იცნობს დათვალიერებით რაიმეს აღმოჩენას და მოპოვებას, როდესაც ის ჯერ არ არის აღმოჩენილი, ჯერ არ არის გამომიების ხელში და ასევე იცნობს ისეთი საგნების დათვალიერებას, რომლებიც გამომიებამ კანონიერი გზებით უკვე მოიპოვა და მის ხელთაა.

განსახილველ შემთხვევაში კი შეუძლებელია, გამომიებელს დაეთვალიერებინა საგანი – დისკი, თუ ის უკვე არ იყო კანონიერად ხელმისაწვდომი გამომიებლისათვის, რაც კონკრეტული საგამომიებო მოქმედების ოქმით უნდა გაეფორმებინა.

დისკის დათვალიერება, თუ ის უკვე არ არის აღმოჩენილი, ამოღებული და არ იმყოფება გამომიებლის ხელთ, არის შეუძლებელი³⁶.

აღნიშნულ საკითხზე საჩივრის განხილვისას კოლეგიამ საინტერესო განმარტება გააკეთა:

„თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთის ამოღების შემთხვევაში, მტკიცებულებითი ძალა შეიძლება შეიძინოს არა თვით ნივთმა, მასზე არსებული კვალის სახით, არამედ მასში დაცულმა ინფორმაციამ (მაგალითად დისკში არსებულმა ჩანაწერმა) და ეს გამომიებისათვის წინასწარ არის ცნობილი, ანუ გამომიებელს გააზრებული აქვს, რა სახის მტკიცებულების მოპოვება სურს, უნდა გაარკვიოს, ეს ინფორმაცია არის თუ არა კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა საშუალებაში დაცული ინფორმაცია. დადებით შემთხვევაში უნდა გამოითხოვოს ის სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილი წესით“³⁷.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „გამომიებელმა არსებითად დაარღვია ნივთიერი მტკიცებულების – დისკის მოპოვების პროცესუალური წესი, რომელში არსებული შესაძლო ინფორმაციის დათვალიერებისთვისაც კანონი ითხოვს სასამართლოს ნებართვას, ბუნებრივია, ვინაიდან აღნიშნული ნივთმტკიცება მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით, ის არის დაუშვებელი მტკიცებულება და ამ ფონზე მასში არსებული ინფორმაციის დასათვალიერებლად სასამართლოს ნებართვის გაცემა იმაზე დიდი უკანონობა იქნებოდა, ვიდრე მისი მოპოვება იყო“.

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან, შესაბამის ნორმათა შინაარსის ანალიზისა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ ანალოგიური შემთხვევა და იმავე მოთხოვნების დაცვა ევალებათ საგამომიებო ორგანოებს, რომლებიც

³⁶ იქვე;

³⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება N18/109. 25.01. 2017.

საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღმოჩენის მიზნით ახდენენ მობილური ტელეფონის შიგთავსის დათვალეირებას – სსსკ-ის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილის თანახმად, მობილური ტელეფონი ასევე წარმოადგენს კომპიუტერულ სისტემას და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ადამიანების უმეტესობისათვის მობილური ტელეფონები მათი ყველაზე პირადული სფეროა, რომელთა ჩხრეკა სხვა ნივთების ან ხელბარგის ჩხრეკასთან შედარებით, უკავშირდება მაღალი ინტენსივობით პირად ცხოვრებაში ჩარევას. ამიტომ დათვალეირების გზით, მობილური ტელეფონის შიგთავსის გახსნა და იქიდან ინფორმაციის მოძიება, მათ შორის, ფოტოსურათების გადაღება არაკანონიერია.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილეთ ისეთი პრობლემური საკითხები, როგორც არის საგამომიებო მოქმედება დათვალეირების წესი, საფუძვლები და, რაც შემთხვევებში, სასამართლოს მიერ დათვალეირებისა და მისი შედეგების კანონიერების შემოწმების პროცესუალური ასპექტები.

- სტატიაში განვითარებული მოსაზრებებისა და განხილული არგუმენტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართალია, კანონმდებელი საგამომიებო ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას დათვალეირებისას, ამოიღონ საგნები და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტები, რომელთაც კონკრეტულ საქმესთან შემხებლობა ექნებათ, რომ საგამომიებო მოქმედება დათვალეირების მიზნები მოიცავს იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღებასაც, რომელსაც დანაშაულის კვალი აღენიშნება ან/და შესაძლებელია მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის, მაგრამ საგამომიებო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის /მტკიცებულების მოპოვება მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესისა და პროცედურების დაცვით.
- დათვალეირება არ არის ის საგამომიებო მოქმედება, რომელმაც საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის მოსაპოვებლად შეიძლება შეცვალოს ამოღება.

საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალეირება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის კანონით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით უკვე მოპოვებული აქვს მხარეს და მის ხელთაა; სხვა შემთხვევაში სახეზე გვექნება კანონის დარღვევით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება.

- სტატიაში ასევე განვიხილეთ კომპიუტერული მონაცემების დათვალეირებასთან და დათვალეირების ოქმით მათ მოპოვებასთან დაკავშირებით, სასამართლოებში დამკვიდრებული საკითხები; გამოიკვეთა, რომ ზოგ შემთხვევაში იდენტური გარემოებების არსებობისას მოსამართლეებს აქვთ რადიკალურად განსხვავებული შეფასებები და იღებენ აბსოლუტურად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით.
- სტატიაში ასევე გაანალიზებულ და ახსნილ იქნა ის მიზეზები, რომელთა გამოც დღის წესრიგში დადგა კომპიუტერული მონაცემების მოპოვების სპეციალური წესის საჭიროება; ეს უკანასკნელი დღევანდელი მოცემულობით საგამომიებო მოქმედება ამოღების ანალოგიურია, მაგრამ – მატერიალური ფორმით, მტკიცებულების მოპოვების წესისაგან განსხვავდება სპეციალური ნორმატიული რეგულირებით. ამიტომ, როდესაც მხარეს სურს მოიპოვოს კომპიუტერული მონაცემის შემცველი ინფორმაცია, აუცილებლად უნდა დაიცვას მისი გამოთხოვის სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილი სპეციალური წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება კანონის არსებითი დარღვევით მტკიცებულების მოპოვებას.

საპოლიციო პრევენციის სისტემა და ადამიანის უფლებები

შესავალი

საპოლიციო სამართლის ცენტრალურ სამართლებრივ ცნებებად საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი გვევლინება, რომელთა დაცვა საპოლიციო ღონისძიებით/ღონისძიებებით ხორციელდება. საფრთხის ცნება საპოლიციო სამართალს აკავშირებს პრევენციის ზოგად კონცეფციასთან. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ საფრთხეები აღიკვეთოს მათი წარმოშობისთანავე ან/და შემცირდეს საფრთხის რეალიზების ალბათობა.

ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართლითა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობითაა დადგენილი. ადამიანის უფლებათა სამართლებრივი დაცვა უშუალო შეხებაშია პოლიციის საქმიანობასთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პოლიციას თავისი მოვალეობების შესრულებისას მოეთხოვება არა მხოლოდ პატივი სცეს, არამედ ქმედითად დაიცვას ადამიანის უფლებები. ამასთანავე, კანონის უზენაესობაზე დამყარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა სწორედ ადამიანის უფლებების დაცვისა და ამ უფლებებით სარგებლობის ხარისხზეა დამოკიდებული.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად, პოლიცია საკუთარ საქმიანობას კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით ახორციელებს: საპოლიციო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს კანონის საფუძველზე, რომელიც ადგენს პოლიციის ქმედების უფლებამოსილებას. პოლიციას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისთვის საფრთხის არიდების მიზნით ენიჭება მის მიერ შესასრულებელი ფუნქციის ადეკვატური უფლებამოსილებები. პოლიციის საქმიანობა შეიძლება გამოიხატოს როგორც პრევენციული, ისე რეაგირების ღონისძიებების განხორციელებით. პირველი მიზნად ისახავს საფრთხის არიდებას (მათ შორის დანაშაულის ჩადენის საფრთხის აღკვეთას); მეორე კი – უკვე დამდგარი შედეგის (საფრთხის რეალიზებით წარმოშობილი ზიანის), მათ შორის, ჩადენილი დანაშაულის გამოვლენა-გამოძიებას.²

პრევენციას სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი პრაგმატული დატვირთვა აქვს; კერძოდ, პრევენციის შემთხვევაში, სახელმწიფო გაცილებით უფრო ნაკლებ ადამიანურ და მატერიალურ რესურსს ხარჯავს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივად დაცულ სიკეთეს უკვე ზიანი მიადგა და სახელმწიფო post factum რეაგირებს.

1. დანაშაულის პრევენციის ზოგადი არსი

თანამედროვე მსოფლიოში დანაშაულის გლობალიზაციის შედეგად დანაშაულის სახეების, მიზეზებისა და მასშტაბების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის პრევენციას და პრევენციის ფარგლებში საპოლიციო ფუნქციების ახლებურ გააზრებას.

დანაშაულის პრევენცია, სავარაუდოდ, ანგლო-ამერიკული crime prevention-ტერმინიდან მომდინარებს, რომელიც გაეროს (და არა მარტო) მიერ ხშირად გამოიყენება დანაშაულის

¹ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

² იზორია ლ., ბერაია ი., გელაშვილი ნ., საპოლიციო სამართალი, 2015 წელი, 16.

კონტროლის (crime control) კონტექსტში. მიუხედავად ამ ორი ტერმინის მჭიდრო კავშირისა, მათ შორის არის განსხვავება:

დანაშაულის, ანუ სისხლისსამართლებრივ სოციალურ კონტროლში იგულისხმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, მათი სტრატეგია და სანქცია, რომლითაც ადამიანების სისხლის სამართლის ნორმით დაცულ კომფორტულ ქცევას უნდა შეეწყოს ხელი.

დანაშაულის პრევენცია არის სახელმწიფო და კერძო სექტორების მონდომება დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად (შესამცირებლად) და რეპრესიული ღონისძიებებით დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილება.

დანაშაულის პრევენცია ძირითადად მიმართულია ისეთი ღონისძიებებისაკენ, რომელთა საშუალებითაც, სანამ დანაშაულის რეალიზაცია მოხდება, გამოვლინდეს და შესწავლილ იქნეს დანაშაულის ჩადენის რისკის ფაქტორები მათი პროფილაქტიკის მიზნით. გარდა ამისა, მოხდეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს და საზოგადოებრივი ურთიერთობების იმგვარი მოწყობა, რომ დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი ფაქტორები სრულიად (შემდგომისდაგვარად) გამოირიცხოს.³

დანაშაულის პრევენცია მოიცავს სახელმწიფოსა და კერძო პირებისა თუ დაწესებულებების მცდელობას, პროგრამებსა და ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივი ფენომენისა თუ ინდივიდუალური გამოვლინების თავიდან აცილების, შემცირებისა და მისი შედეგების შესუსტებისაკენ. სწორედ ამიტომ იგი განიხილება არა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შემადგენელ ნაწილად, არამედ დანაშაულის კონტროლის უფრო ფართო სფეროდ, რომელიც სცდება საპოლიციო, სისხლისა და სასჯელაღსრულებით სამართალს და ვლინდება სოციალურ, სიტუაციურ და მესამე დონის პრევენციაში. პირველი მათგანი ზოგადი ხასიათისაა და საზოგადოების სხვადასხვა აქტორის, ინსტიტუციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, უფროიშვიათად – პოლიციისა და იუსტიციის მონაწილეობით განუსაზღვრელად, კონკრეტულ ჯგუფებზე ორიენტირების გარეშე, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა სახის პოლიტიკით, მიზნად ისახავს ისეთი პირობების შექმნას, რომ საქმე დევიაციურ და დანაშაულებრივ ქმედებამდე არ მივიდეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოლიტიკა ნაკლებად შემზღვეველია და გრძელვადიანი მიზნების დასახვით სოციალურ ცვლილებებზე ორიენტირებული პოლიტიკით მოქმედებს.

დანაშაულის სიტუაციური პრევენცია უკვე დანაშაულის წარმოშობის დაბრკოლებას ემსახურება და აქ მთავარ როლს სამართალდამცავი ორგანო ასრულებს. ამ შემთხვევაში დანაშაულის პრევენციის მიზანს საფრთხის მდგომარეობაზე, პოტენციურ სამართალდარღვევასა და კრიმინოგენულ სიტუაციაზე გავლენის მოხდენა წარმოადგენს. სიტუაციური პრევენცია ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ ჯგუფებზე, ინდივიდებსა და გარემოებებზე, როდესაც სამართალდამრღვევად თუ მსხვერპლად ქცევის რისკი მაღალია. იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დანაშაულისა და მის მიმართ არსებული შიშის / დაბრკოლების თავიდან აცილებისა და ამგვარად საზოგადოებაში უსაფრთხოების შეგრძნების გაძლიერებისკენ არის მიმართული. სახელმწიფოს პოლიტიკა სიტუაციური პრევენციის დროს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება და მყისიერ შედეგზე ფოკუსირდება.

მესამე დონის პრევენცია დანაშაულის ჩადენის შემდეგ რეციდივის თავიდან აცილებას, პირის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას ემსახურება.⁴

მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის პრევენციასთან მიმართებით, სახელმწიფოს ჰქონდეს ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა უწყების კოორდინაციას მოახდენს და დანაშაულის პრევენციის მიზნის მისაღწევად

³ შალიკაშვილი მ., *კრიმინოლოგია*, 2011. 17.

⁴ Erich Marks/Wiebke Steffan, *Prävention braucht Praxis, Politik und Wissenschaft*, 2014, გვ. 66-68.

გრძელვადიან გეგმებს დასახავს. დანაშაულის პრევენციის სამივე ფორმის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მთლიანი საზოგადოების მონაწილეობა და კოოპერაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობა, დანაშაულის პრევენციის სპეციალური დაწესებულებების შექმნა, დამოუკიდებელი აქტორების, სისხლის სამართლის ორგანოების მონაწილეობა, დანაშაულის პრევენციის მეცნიერული კვლევა და ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, ასევე, მედიის საშუალებით, ვინაიდან დანაშაული მრავალი მიზეზითაა განპირობებული და სხვადასხვა დონეზე სამიზნე ჯგუფების მიხედვით განსხვავებულ ღონისძიებებს მოითხოვს.⁵

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის სიტუაციური პრევენციის ფარგლებში ძირითად როლს პოლიცია ასრულებს, თუმცა იგი დანაშაულის პრევენციის მთლიანი სისტემის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებთან ერთად. სხვადასხვა უწყების მიერ დანაშაულის პრევენციისას ყველაზე პრობლემურ უწყებად სამართალდამცავი ორგანოების პრევენციული ღონისძიებები უნდა განიხილებოდეს. ამის მიზეზი აბსტრაქტულ საფრთხეზე მითითებით ადამიანის თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევის შესაძლებლობაა.

სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პრევენციის მიზნით სამართალდამცავი ორგანოს ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვა ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევაში გადაიზარდა, თავდაპირველად ჩამოყალიბებული დანაშაულის პრევენციის „ამერიკული მოდელის“ პრაქტიკაში დანერგვიდან მალევე, და ეს 1990-იან წლებში მოქალაქეთა მასობრივ უკმაყოფილებაში გამოიხატა. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დანაშაულის პრევენციაზე ფოკუსირება პოლიციის საქმიანობაში ე.წ. ნიუ-იორკის ნულოვანი ტოლერანტობის სტრატეგიას ეფუძნებოდა, რაც ქუჩებში წვრილმანი დანაშაულისა და სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით საჯარო სივრცეში ადამიანების შეჩერებასა და კონტროლში გამოიხატებოდა.⁶

დანაშაულის პრევენციის აღნიშნული მოდელი, რომელიც „broken-window-Theorie“-ზე⁷ დაყრდნობით პოლიციის ყველაზე რეპრეზენტაბელურობითა და პროაქტიული საპოლიციო მოქმედებებით დანაშაულის შემცირებას ემსახურებოდა, ნიუ-იორკის პოლიციას ფეხით მოსიარულეთა შეჩერების, იდენტიფიცირებისა და ხშირად ზედაპირული შემოწმების საფუძველს აძლევდა, თუ მას ჰქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა, ჩადის ან მომავალში ჩაიდენდა სისხლის სამართლის დანაშაულს ან სამართალდარღვევას. აღნიშნული ე.წ. „stop and frisk“-ის (The stop-question-and-frisk program) პროაქტიული მოქმედებების მასშტაბურმა გამოყენებამ ეთნიკური უმცირესობების (შავკანიანებისა და ლათინოამერიკელების) მიმართ დანაშაულის პრევენციის ფარგლებში დისკრიმინაციული ხასიათი მიიღო და მათი უფლებების მასშტაბურ დარღვევაში გადაიზარდა.⁸

დანაშაულის პრევენციის ისტორიული და თანამედროვე, ტერორიზმის საფრთხის პირობებში ჩამოყალიბებული მიდგომა საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასარგებლოდ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის რისკს ავლენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ქართული საკანონმდებლო რეგულაციები,

⁵ „დანაშაულის პრევენციის ევროპული ქსელის“ დამფუძნებელი დოკუმენტი (2009/902/JHA) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი. [ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/ov8Rhm>].

⁶ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) „დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები)“ 2017, 17.

⁷ თეორია, რომელიც უილსონისა და კლინგის ავტორობით დანაშაულზე რეაგირებას მისი შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა შემდეგი მაგალითით – თუ სახლის ფანჯარა გატეხილია და იგი დროულად არ შეკეთდება, შემდგომში სახლის ყველა ფანჯარა გატყდება. თუ ქუჩებში გავრცელებული ვანდალიზმის, პროსტიტუციის, გრაფიტის, სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ დროული ღონისძიებები არ მიიღება, ეს იქნება ნიშანი, რომ აღნიშნულზე პასუხისმგებელი არავინაა, რაც მოქალაქეებში დაუცველობის გრძობასა და დანაშაულის შიშს გააძლიერებს.

⁸ George Szpiro, Schranken für New Yorks Polizei, [ხელმისაწვდომია: <https://www.nzz.ch/reduzierte-anwendung-von-stop-and-frisk-1.1823069>].

სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილებების ფარგლები და ურთიერთმიმართება სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნით გაწეულ პრევენციულ საქმიანობასა და ადამიანის უფლებებს შორის.

გაეროს 2002/13 წლების რეზოლუცია „დანაშაულის ეფექტური პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობის“ შესახებ დანაშაულის პრევენციის ცნებას განმარტავს სტრატეგიებისა და ღონისძიებების ერთობლიობად, რომელთა მიზანია დანაშაულის ჩადენისა და ცალკეულ პირებსა თუ საზოგადოებაზე დანაშაულის პოტენციური ზიანით გამოწვეული ზეგავლენის შემცირება წინასწარი ზომების მიღებით, მისი მრავალწახნაგოვანი მიზეზების წინააღმდეგ.⁹

„დანაშაულის პრევენციის ევროპული ქსელის“ დამფუძნებელი დოკუმენტის (2009/902/ JHA) თანახმად, დანაშაულის პრევენცია მოიცავს ყველა იმ ღონისძიებას, რომელთა მიზანია, მოქალაქეთა დაუცველობის გრძობისა და დანაშაულის წინააღმდეგ, პირდაპირი აღმკვეთი ქმედებებით ან სტრატეგიებისა და ღონისძიებების მეშვეობით, დანაშაულის აღბათობის შემცირება, დანაშაულის მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მოქმედებით ხორციელდება.¹⁰

დანაშაულის პრევენციის ორივე დეფინიცია მის კომპლექსურობაზე ამახვილებს ყურადღებას და სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობას დანაშაულის თავიდან აცილების მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად განიხილავს.

2. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები, მათი დაცვისა და პატივისცემის პრინციპის ცნება

პოლიციის შესახებ საქართველოს მოქმედმა კანონმა ფაქტობრივად ამომწურავად განსაზღვრა ის პოლიციურ-პრევენციული ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც სამართალდამცავებს შეუძლიათ დანაშაულზე რეაგირებისა ან მისი თავიდან აცილებისთვის. კანონით საკითხის ცხადად და არაორაზროვნად მოწესრიგება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან „ძველი“ კანონი პოლიციის შესახებ დეტალურად არ აწესრიგებდა სამართალდამცავების მიერ მათ ხელთ არსებული პოლიციური ბერკეტების გამოყენების საფუძვლებს, წესებსა და პირობებს. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, როგორ შეცვალა პოლიციის შესახებ მოქმედმა კანონმა ბალანსი საპოლიციო შესაძლებლობებსა და ადამიანის თავისუფლებას შორის.

პოლიციელს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის დროს პირდაპირი შეხება აქვს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან; შესაბამისად, პოლიციელის მხრიდან მათი დარღვევის მომეტებული აბსტრაქტული საფრთხე არსებობს. სწორედ ამიტომ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, როგორც პრინციპი. პოლიციელმა კარგად უნდა იცოდეს, რის საფუძველზე შეუძლია ჩაერიოს ამ უფლებებში და სად გადის მათში ჩარევის ზღვარი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდის არის მისგან უფლებებში ჩარევა გამართლებული. კანონი მიუთითებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების როგორც დაცვაზე, ისე პატივისცემაზე. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა გულისხმობს პოლიციის მოვალეობას, უკანონოდ თავად არ ჩაერიოს პირთა უფლებებსა და თავისუფლებებში.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები პირობითად შეიძლება დავყოთ თავისუფლებისა და

⁹ გაეროს 2002/13 რეზოლუცია „დანაშაულის ეფექტური პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობის“ შესახებ, პუნქტი 1.

¹⁰ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) „დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები)“ 2017, 18.

თანასწორობის უფლებების ორ ძირითად ჯგუფად. თითოეულ მათგანს ჩარევის გამართლების საკუთარი სქემა აქვს.

თავისუფლების უფლებებს განეკუთვნება ის უფლებები, რომელთათვისაც პირის თავისუფლებაა ამოსავალი წერტილი. ესენია, მაგალითად: საკუთრების უფლება, სიცოცხლის უფლება, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება, მიმოსვლის თავისუფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება და ა.შ.

თავისუფლების უფლებების დარღვევის განსაზღვრა ხდება შემდეგი სქემის საფუძველზე:

1) დაცული სფერო – აუცილებელია დადგინდეს დაცული სფერო, ანუ კონკრეტულად რას შეეხება თავისუფლების ესა თუ ის უფლება. დაცული სფერო შედგება პერსონალური და მატერიალური კომპონენტებისგან. პერსონალური დაცული სფეროს განხილვისას კონკრეტული შემთხვევა უნდა ეხებოდეს ძირითადი უფლების მატარებელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;

2) დაცულ სფეროში ჩარევა – აუცილებელია პოლიციელის მიერ დაცულ სფეროში ჩარევა. ჩარევისას პოლიციელი ზღუდავს ან საერთოდ შეუძლებელს ხდის ძირითადი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას;

3) დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება – თუ დგინდება დაცულ სფეროში ჩარევა, ის აუცილებლად გამართლებული უნდა იყოს, რათა პოლიციელის ქმედება არ ჩაითვალოს სამართალდარღვევად. გამართლების საფუძვლის არსებობის გარეშე, ეს იქნება პოლიციის მხრიდან პირის ძირითადი უფლების დარღვევა. აღნიშნული კი, უშუალოდ ეწინააღმდეგება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემისა და დაცვის უზენაეს პრინციპს.¹¹

თანასწორობის უფლებებს განეკუთვნება ის უფლებები, რომელთა შემთხვევაშიც განსაკუთრებული დატვირთვა გარკვეულ ჯგუფთა შორის თანასწორ მოპყრობაზე მოდის. ასეთია, მაგალითად, საყოველთაო თანასწორობის უფლება, რომლის თანახმადაც, ყველა ადამიანი თანასწორია, განურჩევლად რასისა, ენისა, ეთნიკური კუთვნილებისა, რელიგიისა და ა.შ. მახასიათებლებისა. აღნიშნული უფლების ცოდნასა და ამ ცოდნის გამოყენებას პოლიციელის მხრიდან საქართველოს მრავალეთნიკურ და მრავალრელიგიურ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

თანასწორობის უფლების დარღვევის სქემა, თავისუფლების უფლებებისაგან განსხვავებით, ორსაფეხურიანია: პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს არათანასწორი მოპყრობა, რისთვისაც აუცილებელია შესადარებელი ჯგუფების არსებობა, შემდეგ – არსებითად მსგავსი შესადარებელი ჯგუფის განსხვავებულად მოპყრობა ან არსებითად განსხვავებული ჯგუფების თანასწორად მოპყრობა.¹²

აქვე საგულისხმოა, რომ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1997/33 რეზოლუცია ადგენს დანაშაულის პრევენციის (Responsible crime prevention) სტანდარტებსა და ნორმებს. რეზოლუცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, დანაშაულის ფარგლების გათვალისწინებით, გაამლიერონ არარეპრესიული ხასიათის პრევენციული ღონისძიებები.¹³ ამასთანავე, საბჭოს 2002 წლის რეზოლუციით დადგინდა დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები. ამ პრინციპების თანახმად, დანაშაულის პრევენცია მოიცავს სტრატეგიებისა და ზომების მიღებას, რომლებიც მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას, მათ შორის, დანაშაულის შიშის შემცირებას მათ გამომწვევ მიზეზებში ინტერვენციის სახით.¹⁴

¹¹ იზორია ლ., ბერაია ი., გელაშვილი ნ., საპოლიციო სამართალი, 2015, 50.

¹² იქვე 54.

¹³ იხ. <http://www.un.org/documents/ecosoc/res/1997/eres1997-33.htm>

¹⁴ იხ. UN Economic and Social Council by resolution 2002/13 at its 37th plenary meeting

მაგალითისთვის, შვედეთი ზღუდავს ზოგიერთი სპეციალური ღონისძიების გამოყენებას უშუალოდ წინასასამართლო გამოძიების პროცესის ფარგლებში. მაგალითად, საიდუმლო მიყურადება, თვალთვალი (კამერის და სხვა საშუალებით) გამოიყენება მხოლოდ წინასასამართლო გამოძიების ფარგლებში.¹⁵

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი საპოლიციო პრევენციაზე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არცთუ ისე დიდი პრაქტიკა აქვს საპოლიციო პრევენციულ ღონისძიებებში. შესაბამისად, მცირე შესაძლებლობა ჰქონდა, ემსჯელა პოლიციური ღონისძიებების ფარგლებში უფლებებში ჩარევის ინტენსივობასა და იმ კონსტიტუციურ გარანტიებზე, რომლითაც მოქალაქეები უნდა იყონ ამ დროს აღჭურვილი.

საქმეში: „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს 1993 წლის კანონის იმ დებულებებს, რომლებითაც სამართალდამცავებს გონივრული ეჭვის საფუძველზე შეეძლოთ მოქალაქეთა შეჩერება და მათი ზედაპირული შემოწმება. მოსარჩელეთა მტკიცებით, სადავო ნორმები აწესებდა უფლების მზღუდავ მეტად აბსტრაქტულ საფუძველს, რომლებიც არ გამორიცხავდა პოლიციის თვითნებობას – გასაჩივრებული ნორმები (პოლიციის მიერ მოქალაქის შეჩერება) უფლებაში ჩარევის ხარისხით უტოლდებოდა დაკავებას; ამის გამო ღონისძიების ადრესატებს უნდა ჰქონოდათ იგივე დაცვის გარანტიები, რასაც კონსტიტუცია ითვალისწინებს დაკავებული პირის მიმართ.

მოსარჩელების პოზიციით, პოლიციის შესახებ 1993 წლის კანონით განსაზღვრული ტერმინი: „ზედაპირული შემოწმება“ იყო ბუნდოვანი და არ იძლეოდა მისი პირადი ჩხრევისგან გამიჯვნის შესაძლებლობას, კერძოდ, ზედაპირული შემოწმება შეიძლება ჩატარებულიყო ისე, რომ გამოეწვია ადამიანის პირად ცხოვრებაში მძიმე ფორმით ჩარევა, რაც შეიძლება შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა).

აღნიშნული საქმე ბევრი მიმართულებით არის საინტერესო, თუმცა, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პირის შეჩერების კონსტიტუციურობა შეაფასა კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა), ხოლო ზედაპირული შემოწმების კონსტიტუციურობა – კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა).

თავისთავად საინტერესოა სადავო ნორმების კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებებთან მიმართებით შეფასება, რადგან სასამართლო დადგა საჭიროების წინაშე, განემარტა, პირის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლებებში რა ინტენსივობის ჩარევას გულისხმობს შეჩერება და ზედაპირული შემოწმება. აგრეთვე, შემდგომი მსჯელობის საგანი უნდა ყოფილიყო, რა ფარგლებით ვრცელდება აღნიშნული ღონისძიებების ადრესატებზე ის კონსტიტუციური გარანტიები, რომლებსაც შესაბამისად კონსტიტუციის მე-18 და მე-20 მუხლები ითვალისწინებს.

თავის მსჯელობაში სასამართლო აღნიშნავს, რომ შეჩერება აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს დაკავებისგან, რადგან ხანმოკლე ღონისძიებაა და გულისხმობს უფლებაში უფრო მსუბუქ ჩარევას; შეჩერების დროს სამართალდამცავს ფაქტობრივად არავითარი შემდგომი უფლებამოსილება არ წარმოეშობა მოქალაქის მიმართ. ზედაპირული შემოწმებაც კი, რომელიც სასამართლომ აგრეთვე გამიჯნა ჩხრევისგან, როგორც უფრო მსუბუქი ღონისძიება, მოითხოვს დამატებით საფუძველს –

¹⁵ იხ. http://www.coe.int/t/dlapil/codexter/Source/pcti_questionnaireReplies/SWEDEN.pdf

პოლიციელის მიმართ არსებულ მყისიერ საფრთხეს.

რაც შეეხება კონსტიტუციურ გარანტიებს, რომლებიც უნდა გავრცელდეს შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების ადრესატების მიმართ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ შეჩერებული პირი არ სარგებლობს იმავე გარანტიებით, რაც პირს წარმოეშობა დაკავების ან დაპატიმრების დროს, კერძოდ: კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს თავისი: უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი; მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არ აკონკრეტებს, შეჩერებული პირი არ უნდა სარგებლობდეს არც ერთი ჩამოთვლილი გარანტიით, თუ სამივე ზემოაღნიშნული გარანტიით. თითოეული შეჩერებული პირის აღჭურვა იქნებოდა არაგონივრული და გაუმართლებლად დიდი პასუხისმგებლობა სახელმწიფოსთვის.¹⁶

ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, შეჩერება უფრო მსუბუქი ინტენსივობის ჩარევას გულისხმობს თავისუფლების უფლებაში, ვიდრე დაკავება ან დაპატიმრება, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ღონისძიება ასევე „გაიყვანა“ სასამართლო კონტროლიდან და განავითარა მსჯელობა, რომ თითოეულ შეჩერებაზე სასამართლო კონტროლის წინასწარ ან პოსტფაქტუმ განხორციელება აგრეთვე არაგონივრული იქნებოდა.

იმ ფონზე, რომ სასამართლომ შეჩერების ადრესატებზე არ გაავრცელა არც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გარანტიები და არც სასამართლო კონტროლი, ერთადერთი კრიტერიუმი, რითაც შეიძლება შეფასდეს შეჩერების კონსტიტუციურობა მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ესაა უფლებაში ჩარევის პროპორციულობა და ამ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა პასუხობდა პროპორციულობის ტესტს.

რაც შეეხება ზედაპირულ შემოწმებას, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ მკაფიო ზღვარი გაავლო ამ ღონისძიებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ პირად ჩხრეკას შორის და მიუთითა, რომ პირველ შემთხვევაში გაცილებით მსუბუქად ხდება უფლებაში ჩარევა. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შემთხვევაში არ მიუთითებია, რომ მიუხედავად უფლებაში მსუბუქი ჩარევისა, უფლებაში ჩარევაზე არ ვრცელდება კონსტიტუციის მე-20 მუხლით განსაზღვრული პრინციპი, რომლის თანახმადაც, უფლებაში ჩარევა დასაშვებია სასამართლო ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში. მეტიც, სასამართლომ მკაფიოდ განმარტა, რომ ზედაპირული შემოწმება თავისუფლად ექცევა „გადაუდებელი აუცილებლობის“ ვითარებაში, რადგან მისი ერთადერთი საფუძველი სწორედ პოლიციელისთვის მყისიერად წარმოშობილი საფრთხეა და ასეთ შემთხვევაში სამართალდამცავისთვის სასამართლო ნებართვის მოპოვების ვალდებულების დაკისრება არაგონივრული იქნებოდა.

ამ შემთხვევაში პრობლემურია ის, რომ სასამართლომ აღარ იმსჯელა, თუ როგორ ხდება „გადაუდებელი აუცილებლობის“ ვითარებაში ჩატარებულ ზედაპირულ შემოწმებაზე სასამართლო კონტროლის გატარება, უნდა იყოს თუ არა პოსტფაქტუმ სასამართლო კონტროლი ავტომატური, რომელ მხარეს უნდა ეკისრებოდეს მისი კანონიერებისა და დასაბუთებულობის (ან საპირისპიროს) მტკიცების ტვირთი, ღონისძიების განმახორციელებელს თუ მის ადრესატს. გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებაში თავად სასამართლოს აქვს აღნიშნული – „გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა კი არ გამორიცხავს სასამართლო ზედამხედველობის აუცილებლობას, არამედ მას მხოლოდ დროში გადაანაცვლებს“.¹⁷

¹⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, § 50-54.

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება, საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, § 63.

4. საქართველოში მოქმედი დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა და სტრატეგიები

დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიდგომის შესაფასებლად უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა უწყების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები.

- სსიპ დანაშაულის პრევენციის სტრატეგიული გეგმა ზოგადი ხასიათისაა და ითვალისწინებს როგორც პირველი დონის პრევენციას, კერძოდ – საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებასა და დანაშაულის პრევენციის კუთხით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობის გაზრდას, ასევე რისკჯგუფებთან მუშაობას და დელიკვენტური ქცევის კონტროლს, თუმცა იგი უმეტესწილად ყურადღებას უთმობს დანაშაულის მესამეულ პრევენციას, რაც მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციას გულისხმობს. სტრატეგია განსაკუთრებით გამოყოფს არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ დანაშაულის პრევენციის სტრატეგიული გეგმა სოციალურ პრევენციაზე, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებთან მიმართებით აკეთებს ხაზგასმას.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიით, ცალკეა გათვალისწინებული „ქურდული სამყაროს“, ნარკოტრანზიტისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული მექანიზმებით ბრძოლა. სტრატეგია პირველად პრევენციაზე აკეთებს აქცენტს და ითვალისწინებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს, სამართალდამცავთა პროფესიული უნარის გაუმჯობესებასა და, ასევე, ამ სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობით.
- დანაშაულის პრევენციას ეხება, ასევე, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2017 წლის სტრატეგია, რომელიც შესავალში საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ფარგლებში დანაშაულის ეფექტიან პრევენციას, დანაშაულის დონის შემცირებასა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიუთითებს. სტრატეგია ითვალისწინებს რეაბილიტაციაზე, რესოციალიზაციაზე და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომის დანერგვასა და განვითარებას, რაც მესამე დონის პრევენციის ფარგლებში ხორციელდება.
- საქართველოს პროკურატურა, როგორც ერთადერთი უწყებას, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ყველა საგამომიებო ორგანოსთან (იმავედროულად სასამართლოსთან) დანაშაულის პრევენციის სფეროში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, თავის 2017-2021 წლების სტრატეგიაში დანაშაულის პრევენციის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ სფეროში საზოგადოების ჩართულობა ძალიან შეზღუდულია. სტრატეგიის თანახმად, საქართველოს პროკურატურაში პრევენციულ ღონისძიებებს გეგმავს ცენტრალური აპარატი და ისინი მხოლოდ განსახორციელებლად მიეთითება ადგილობრივ სტრუქტურულ ერთეულებს. პრევენციული ღონისძიებების ამგვარი დაგეგმვის პროცესში ნაკლებად ხდება კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინება. ამავე სტრატეგიის თანახმად, საზოგადოების წევრები ნაკლებად არიან ჩართულები პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც საზოგადოების წევრებს მისცემს პრევენციული ღონისძიებების ინიცირების, დაგეგმვისა და წარმართვის შესაძლებლობას. პრევენციული ღონისძიებების შემუშავებისას არ ითვალისწინებენ მეცნიერულ მიდგომებს. სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ფაქტობრივად, არ მონაწილეობენ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების

შემუშავების პროცესში. მოცემულ ეტაპზე არ არსებობს გატარებული პრევენციული ღონისძიების ბაზა, სტანდარტი და შეფასების მექანიზმი. შესაბამისად, სამართალდამცავ უწყებებს არ აქვთ ყველაზე ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გამოვლენის შესაძლებლობა.

სტრატეგიების მიმოხილვა აჩვენებს, რომ დანაშაულის პრევენციის ფუნქციას დიდწილად სამართალდამცავი ორგანო ითავსებს და ამ მიზნის მიღწევას მხოლოდ პრევენციული საპოლიციო ღონისძიებებით ცდილობს.

ხსენებულ სტრატეგიებში დანაშაულის პრევენციის სფეროში სამართალდამცავი სისტემის გამოკვეთილი როლი და პრევენციის ზოგადი პოლიტიკა კიდევ უფრო შესამჩნევია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების განხილვის შემდეგ, რომელიც სამართალდამცავებს რიგი საპოლიციო პრევენციული უფლებამოსილებებით აღჭურავს. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლამდე საპოლიციო კანონმდებლობით არ იყო დადგენილი საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების გამოყენების წესები და საფუძვლები. კანონი საერთოდ არ განსაზღვრავდა, რა კონკრეტული მექანიზმები ჰქონდა სამართალდამცავ ორგანოს საპოლიციო პრევენციის ფარგლებში. 2013 წელს მიღებული, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციის მთავარ ფუნქციას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისთვის საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამ მოვალეობას პოლიცია პრევენციული საქმიანობით ასრულებს, რაც სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული შესაძლო საფრთხეების დროულ აღმოჩენასა და აღკვეთაში გამოიხატება.¹⁸ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 წლის რედაქციით, ინდივიდუალურად ჩამოყალიბდა თითოეული საპოლიციო პრევენციული ღონისძიების სახე და გამოყენების წესები.¹⁹ კანონით განსაზღვრულია თერთმეტი საპოლიციო პრევენციული ღონისძიება, რომელთაგან ათი, ძირითადად, კონკრეტულ დანაშაულზე, მის გახსნასა და თავიდან აცილებაზე ამახვილებს ყურადღებას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე საპოლიციო პრევენციის მიზნებისთვის ითვალისწინებს რიგითი პოლიციელების მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, რაც ვერ იქნება მიმართული სამართალდარღვევებისა და დანაშაულების ზოგადი პრევენციისკენ, აღნიშნული ღონისძიებების კონკრეტულ გარემოებებზე ფოკუსირების გამო.

დანაშაულის პრევენციის მიზნით აღნიშნული საპოლიციო ინსტრუმენტებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მითითება სამართალდამცავი სისტემისთვის ნათლად აჩვენებს საპოლიციო პრევენციის რეპრესიულ ბუნებას ადამიანის უფლებებში ხისტი ჩარევის მარტივი შესაძლებლობით და აბსტრაქტული საფრთხის, ანდა წვრილმანი დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან აცილების საფუძველზე მითითებით. მოქმედი საპოლიციო პრევენციის მოდელი შორს დგას სოციალური პრევენციის პოლიტიკისგან და მოკლევადიან, მყისიერ შედეგებზეა ორიენტირებული. ამავე კანონის მიხედვით, პოლიცია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპით უნდა მოქმედებდეს.²⁰ ამგვარი ჩანაწერით კანონმდებელი პოლიციის მიერ უსაფრთხოების მიზნის მიღწევას უპირატესად მიიჩნევს და ადამიანის უფლებების დაცვას ამ მიზნის მიღწევის მხოლოდ ერთ-ერთ პრინციპად მოიხსენიებს. ამ მოვალეობის შესრულებისას წარმოიშობა ბუნებრივი კოლიზია საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ინდივიდის თავისუფლებას შორის, რომლის დარღვევაც თავისთავად არ გამოირიცხება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისთვის.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საპოლიციო პრევენცია, დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით, უპირისპირდება ინდივიდებს და არა

¹⁸ გიორგიშვილი ქ., პოლიციის პრევენციული საქმიანობის თავისებურებები, 2016, 79.

¹⁹ EMC, უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა – სამართალდამცავი სისტემის ანალიზი, 2015, 43. [ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2015/06/18/samartaldamcavi-sistemebis-kvleva/>]

²⁰ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9.

დანაშაულის მიზეზს, რაც სამართალდამცავი სისტემისთვის ძალაუფლების ჭარბი კონცენტრაციით მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის ხარჯზე ხორციელდება.

დასკვნა

პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების ანალიზი მიუთითებს, რომ მათი ჩატარების საფუძვლები ზოგადი და აბსტრაქტულია, რაც გაუმართლებლად ფართო დისკრეციას ანიჭებს პოლიციას და არაგონივრულად აფართოებს პოლიციისა და მოქალაქის ურთიერთობის ფარგლებს, ასევე ზრდის საპოლიციო კონტროლის ხარისხს. მაღალი ინტენსივობის მქონე საპოლიციო ღონისძიებების არსებობა დაბალანსებული არ არის სათანადო უფლებრივი გარანტიებით. უფლებრივი გარანტიების სიმცირე კიდევ უფრო ზრდის საპოლიციო პრევენციის ფარგლებში პოლიციის მხრიდან თვითნებობის რისკს.

დანაშაულის პრევენციის განმახორციელებელი მთავარი რგოლი ქვეყანაში მეტწილად სამართალდამცავი ორგანოა, რომელიც დანაშაულის პრევენციის მიზნით რეპრესიული ბუნების ინსტრუმენტებით არის აღჭურვილი. ეს კი ადამიანის უფლებებში ხისტი ჩარევის მეტ შესაძლებლობას ტოვებს ისე, რომ მოქალაქეს დაცვის საკმარისი საპროცესო გარანტიები არ გააჩნია.

შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პრევენციის მიზნების მიღწევისა და იმავდროულად ადამიანის უფლებების სათანადო დაცვისთვის მიზანშეწონილია:

- საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების საფუძვლები განსაზღვრული იყოს კონკრეტულად, რა დროსაც არ იარსებებს ნორმათა თვითნებურად განმარტების რისკი და უფლების შეზღუდვა იქნება კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული;
- პრევენციული ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელი იყოს ისეთი საფუძვლებით, რომლებიც რეალურად უკავშირდება დანაშაულის ჩადენას და სისხლის სამართლის გამოძიებას. საპოლიციო პრევენცია დისტანცირებული უნდა იყოს გამოძიებისგან და განსხვავებული მიზნების მიღწევას ისახავდეს;
- მოქალაქეს მიეწოდებოდეს სრულყოფილი ინფორმაცია მის მიმართ გატარებული პრევენციული ღონისძიების გასაჩივრების უფლების შესახებ, აგრეთვე – დეტალები, თუ რა ვადაში და რომელ უწყებაში საჩივრდება კონკრეტული ღონისძიება;
- შეიქმნას საპოლიციო პრევენციული საქმიანობის შიდა მონიტორინგის სისტემა და ასევე სრულყოფილი სტატისტიკის დამუშავების წესი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია დაბალანსებული, ჰუმანური და თვითნებობისგან დაცული საპოლიციო პრევენციული სისტემის შექმნისათვის.

ნინო ჭუმბურიძე¹

სპეციალიზებულ პოლიციელთა როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

შესავალი

პოლიციელები, რომლებიც ხშირად ან განსაკუთრებულად არიან დაკავებული არასრულწლოვანთა საქმეებით, ან ძირითადად – არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკით, სისტემატურად უნდა გადიოდნენ სპეციალურ ინსტრუქტაჟსა და მომზადებას.²

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (შემდგომში - ამკ), რომელიც ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. სახელმწიფოში გატარებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და ლიბერალიზაციის შედეგად მივიღეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ორიენტირებულია ჰუმანიზმზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე.

ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვისა და განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ ჩანაწერებს ვხვდებით ჟენევის დეკლარაციაში ბავშვთა უფლებების შესახებ (1924), რომელსაც მოგვიანებით დაეყრდნო ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959), ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები) (1985), თავისუფლებადკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს (ჰავანას) წესები (1990), არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005) და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებები თუ მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

საქართველოს უახლესი წარსულიდან გვახსოვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიდგომა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი, რაც გამოიხატებოდა რეპრესიების გაძლიერებით, სანქციების გაზრდით, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლით. ეს აუარესებდა არასრულწლოვანის სულიერ მდგომარეობას, ზრდიდა მის მიდრეკილებას დანაშაულისკენ და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხდებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულების პრევენცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფართო გაგებით, არის პროცესი მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენიდან მის რესოციალიზაციამდე. ეს პროცესი მოიცავს როგორც არასრულწლოვნის სამართალდამცავ სტრუქტურებთან (პროკურატურა, პოლიცია) და სასამართლო ორგანოსთან ურთიერთობას, ისე მისი აღზრდისა და რესოციალიზაციის ღონისძიებებს.³

¹ კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი.

² United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), rule 12.

³ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გამომცემლობა მერიდიანი, 2016, 2.

1. სპეციალიზებული პოლიციელის პირველი კონტაქტი არასრულწლოვანთან, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში

საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ დაადგინა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი⁴, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა სამართალდამცავ სტრუქტურაში (პოლიცია, პროკურატურა) და სასამართლო უწყებაში.

პოლიცია, რომელსაც პირველადი შეხება აქვს არასრულწლოვანთა დანაშაულის ფაქტთან, არასრულწლოვან მოწმესა თუ დაზარალებულთან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა, რომ განსაზღვროს მათ მიმართ შესაბამისი ზომები. იხელმძღვანელოს ბავშვის (შემდგომში - არასრულწლოვანი) საუკეთესო ინტერესებით და გონივრულ ვადაში სათანადოდ მოეპყროს არასრულწლოვანს.

ორივე სქესის სამართალდამცავი და შესაბამისი პროფილის პერსონალი მომზადებული უნდა იყოს, რათა მოახდინოს რეაგირება ახალგაზრდების განსაკუთრებულ საჭიროებებზე, ფლობდეს პროგრამებსა და შესაძლებლობებს ახალგაზრდების მართლმსაჯულების სისტემიდან ასაცილებლად.⁵

დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტი სწორედ პოლიციელს, პროკურორსა და გამომძიებელს უწევთ. ისინი წარმართავენ გამომძიებას, ვიდრე საქმე სასამართლოში განსახილველად გადაიგზავნება და შესაბამისად, არასრულწლოვანის მომავლის განსაზღვრაში დიდ როლს თამაშობენ. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა სწორედ პირველი მოქმედების დროს უნდა გამოიჩინონ მეტისმეტი სიფაქიზე არასრულწლოვანთა მიმართ.⁶

როგორც საერთაშორისო ნორმატიული აქტებით, აგრეთვე შიდა კანონმდებლობის მიხედვით, სავალდებულოა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე პირი იყოს სპეციალიზებული. საზოგადოება და პოლიცია უნდა იდგეს მოწოდების სიმაღლეზე, რათა არ მოხდეს არასრულწლოვანი პირის სამუდამო გაიგივება ტერმინთან: „კანონთან კონფლიქტში მყოფი“.

სახელმწიფო და საზოგადოება ერთობლივად უნდა ცდილობდნენ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას, როგორცაა: უსაფრთხოება, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, განათლება, განვითარება, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და სხვ., რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.⁷

სპეციალიზებული პოლიციელი აგრეთვე აუცილებელია ფლობდეს გამოკითხვისა და დაკითხვის არასრულწლოვანზე ორიენტირებულ ფორმებს. აუცილებელია სიფრთხილის დაცვა, რომ ბავშვებისგან ინფორმაციის მიღების პროცესში მათ მიერ განცდილი სტრესი მინიმუმადე იქნეს დაყვანილი. უმრავლეს შემთხვევაში, სამართალდამცავ სისტემასთან ბავშვის პირველი კონტაქტი პოლიციელთან/გამომძიებელთან შეხვედრითი იწყება, ანუ ადამიანებთან ურთიერთობით, რომლებიც საგამომძიებო დაკითხვებს/გამოკითხვებს ატარებენ ან იღებენ ინფორმაციას სავარაუდო დანაშაულის შესახებ. სპეციალურ გადამზადებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროფესიონალებს ჰქონდეს კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა წარმართონ დაკითხვის პროცესი.⁸

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივების მიხედვით, ბავშვზე

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 668, 2015 წლის 30 დეკემბერი.

⁵ UN Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (Riyadh Guidelines) IV, 58.

⁶ ბოხაშვილი ი., *ბენიძე მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები“, სამართლის ჟურნალი, N2, 2009, 44.

⁷ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, 4 ქ/პ.

⁸ სახალხო დამცველის სპეციალური წლიური ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ 2016, 42.

ორიენტირებული მართლმსაჯულება გულისხმობს პროცესს, სადაც:

- ბავშვს აქვს უფლება, მოუსმინონ; ბავშვის მიერ გამოთქმულ შეხედულებებსა და მოსაზრებებს აუცილებლად უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა, მისი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით;
- ყველა პროცედურის მიმდინარეობისას ბავშვებს უნდა მოეპყრონ ყურადღებით, მათი ასაკის, განსაკუთრებული საჭიროებების, შემეცნების უნარისა და მოწიფულობის ხარისხის გათვალისწინებით, აგრეთვე ურთიერთობაში მისი სიძნელეების გათვალისწინებითაც;
- ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა გამოიყენებოდეს მათი ასაკისა და გაგების უნარის შესატყვისი ენა;
- დაზარალებული ან მოწმე ბავშვების გამოკითხვა უნდა ჩატარდეს სპეციალურ ადაპტირებულ და მეგობრულ გარემოში, შესაბამისი სწავლება გავლილი სპეციალისტების მიერ;
- გამოკითხვათა რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს, ხოლო ერთზე მეტი გამოკითხვის აუცილებლობის შემთხვევაში, ჩატარდეს ერთი და იმავე ადამიანის მიერ;
- ბავშვის ჩვენებათა გადმოსაცემად, უნდა შეიქმნას და პრაქტიკაში დაინერგოს ბავშვის გამოკითხვის პროტოკოლები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვის მოწიფულობისა და განვითარების ხარისხი;
- ბავშვის ჩვენებები და განაცხადები არასოდეს არ უნდა იყოს აღქმული, როგორც არასწორი ან არასარწმუნო, მხოლოდ ბავშვის ასაკზე აპელირებით.⁹

როგორც აღინიშნა, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი.

არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და რისკფაქტორების კარგად გაანალიზების შედეგად უნდა მოხდეს პრევენციის ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. ვინაიდან, გამომწვევი მიზეზები მუდმივად კვლევის პროცესშია და არასრულწლოვანთა დანაშაულის განმსაზღვრელად ერთ კონკრეტულ მიზეზს ვერ დავასახელებთ, ბუნებრივია, სახელმწიფოების მიდგომაც ასეთი დანაშაულის მიმართ კომპლექსური ხდება და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მრავალი უწყებისა თუ ფართო საზოგადოების ჩართულობას მოითხოვს.¹⁰

აღნიშნული სტანდარტის საფუძველზე განსაზღვრულია, თუ რა სახის გადამზადება უნდა გაიარონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე პირებმა. ჩამოთვლილია შესაბამისი სასწავლო მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირის სრულფასოვან განათლებას არასრულწლოვანთან მუშაობის დროს.

პროგრამაში ჩამოთვლილია ისეთი საკანონმდებლო მოდულები, როგორცაა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები. ამით მსმენელი უკეთ გაეცნობა შიდა და საერთაშორისო საკანონმდებლო რეგულაციებს.

პროგრამაში წარმოდგენილია ის მოდულები, რომლებიც მიმართულია არასრულწლოვანთა ფსიქოსოციალური ქცევების დადგენისკენ, მაგალითად: ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები, ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე.

⁹ იქვე.

¹⁰ მოსულიშვილი მ., არასრულწლოვანთა დანაშაულისა და ზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი სამართალი N2, 2000, 86.

ყოველივე ზემოთ ხსენებული, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირს უკეთ გააცნობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ბავშვის განვითარების, ასაკობრივი თავისებურებებისა და ტრავმული გამოცდილების გავლენას ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის ჩამოყალიბებაზე. აგრეთვე, მოდულის მიზანია, მსმენელებს გააცნოს ძალადობის ძირითადი ფორმები და ძალადობაგანცდილი ბავშვის ფიზიკური და ქცევითი ინდიკატორები, აგრეთვე, ძალადობით გამოწვეული სტრესისა და ტრავმის გავლენა ბავშვის განვითარებაზე.¹¹

„პეკინის წესების“ თანახმად, „პროფესიული განათლება, მუშაობის პროცესში სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და ინსტრუქტაჟის სხვა სათანადო მოდელები გამოიყენება არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მთელი პერსონალის სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის, უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისთვის“.¹²

ასევე აღნიშნულია, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალი უნდა აირჩეს იმ არასრულწლოვანთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან“.¹³

შესაბამისად, აუცილებელია პოლიციის სისტემიდან პერსონალის არჩევის, დაწინაურებისა და პროფესიული მომზადების გაუმჯობესება და მისთვის ყველა რესურსის გადაცემა, რათა შეძლოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

2. არასრულწლოვანთა დანაშაულებებისა და სპეციალიზებულ პოლიციელთა რაოდენობის სტატისტიკური ანალიზი

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტატისტიკური ანალიზი. საქართველოს პროკურატურის 2017 წლის 31 ოქტომბრის „არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის“ დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, აღრიცხულია დევნადაწყვეტილი და განრიცხული პირების რიცხვითი მაჩვენებელი.

- 2015 წელს – 670 შემთხვევა;
- 2016 წელს – 665 შემთხვევა;
- 2017 წელს(9 თვე) – 484 შემთხვევა.¹⁴

მნიშვნელოვანია სპეციალიზებულ პოლიციელთა რაოდენობის შეფარდება დანაშაულის სტატისტიკასთან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას წარმოდგენილი აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი სპეციალიზებული პოლიციელის მომზადების პროგრამა. პროგრამის სტატისტიკის თანახმად, გადამზადდა პოლიციელთა შემდეგი რაოდენობა:

- 2015 წელს – 327;
- 2016 წელს – 491;
- 2017 წელს – 328.¹⁵

მოცემული სტატისტიკიდან ჩანს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები გავლილი აქვს პოლიციის თანამშრომლების კონკრეტულ რაოდენობას; აგრეთვე სახეუბა საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი „არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული

¹¹ იხ. დაწვრილებით: საქართველოს მთავრობის დადგენილება N 668, 2015 წლის 30 დეკემბერი.

¹² United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), rule 22.

¹³ იქვე.

¹⁴ იხ.: http://pog.gov.ge/res/docs/public_information/arasrulciovanta_mimart_sixli_samartlis_politika.pdf.

¹⁵ იხ.: <http://policeacademy.gov.ge/ka/useful-information/statistics>.

სისხლის სამართლის პოლიტიკის“ დოკუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სიახლისა, საქართველოს ძალოვანი უწყებები პასუხობენ რიგ გამოწვევებს და სპეციალიზაციის კუთხით პოლიციელთა სიმწირის პრობლემა დღესდღეობით არ დგას; თუმცა მნიშვნელოვანია უფრო მეტი პოლიციელის დაინტერესება და შემდგომში მათი გადამზადება სპეციალიზაციის მიზნით, ისევე და ისევე არასრულწლოვანთა ინტერესებიდან გამომდინარე და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N668 დადგენილების გამოცემის შემდეგ სამართალდამცავ უწყებებში დაიწყო ძირეული რეფორმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირთა სპეციალიზაციის კუთხით, თუმცა საინტერესოა, რომ განხილულ იქნეს ევროპული მოდელი, კონკრეტულად – ბელგიის მაგალითი.

3. სპეციალიზებულ პოლიციელთა ბელგიური მოდელი

ბელგიური მოდელი საყურადღებოა საქართველოში რეფორმებისა და ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის მნიშვნელობის გაზრდის თვალსაზრისით, აგრეთვე, არასრულწლოვანთა დანაშაულებების პრევენციისა და ქუჩაში მცხოვრები თუ მომუშავე ბავშვების იძულებითი შრომის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და შესაძლო სისხლისსამართლებრივი დანაშაულებების თავიდან აცილებისათვის.

1998 წლიდან ბელგიის პოლიციის რეფორმის შედეგად, ადგილობრივი პოლიციის ყველა განყოფილებაში შეიქმნა და ჩამოყალიბდა სპეციალიზებული მთავარი ინსპექტორის პოზიცია. სპეციალიზებული მთავარი ინსპექტორი მოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლის დადგენილების საფუძველზე, ასრულებს არასრულწლოვნების/ახალგაზრდების უფლებების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებებს.

პოლიციის დიდ განყოფილებებში არასრულწლოვანთა საქმეების მიმართულებით შექმნილია სექცია, სადაც მუშაობენ დეტექტივები სოციალურ მუშაკებთან ერთად. ბელგიური პოლიციის განყოფილებებში აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, მაგალითად: არასრულწლოვანთა (ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული) სპეციალური დასაკითხი ოთახი, აგრეთვე ანონიმური სატრანსპორტო საშუალებები (რომელიც არ იგივდება პოლიციის მანქანასთან). სპეციალიზებული პოლიციელები ახდენენ სპეციფიკური ქმედებების პროფაილინგს, კრიმინალიზაციას, სპეციალური ღონისძიებების კოორდინაციას (ცხელ წერტილებში). იკვლევენ მდგომარეობას როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე ქუჩებში და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებენ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

გარდა ამისა, ბელგიელი პოლიციელები განსაკუთრებულ მხარდაჭერას სთავაზობენ პრობლემატურ ახალგაზრდებს ისეთი დანაშაულებების დროს, როგორცაა: ქურჩის დანაშაულებები, ნარკოდანაშაული.

სპეციალიზებული პოლიციელები ახორციელებენ სასკოლო ვიზიტებს და აცნობენ ინფორმაციას ნარკოტიკების, მოძრაობის წესების შესახებ და სხვ.. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სოციალური დახმარებისა და დაზარალებულთა სააგენტოების ქსელში. ბევრი რამ არის დამოკიდებული ადგილობრივი ხელისუფლების ან პოლიციის ხელმძღვანელობის ინიციატივებზე.¹⁶

მოცემული მოდელის დანერგვა საქართველოში მთელ რიგ პოზიტიურ შედეგს გამოიღებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ პოლიციელთა რაოდენობის გაზრდა გულისხმობს ეფექტიან ბრძოლას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა

¹⁶ იხ.: https://johnjayrec.files.wordpress.com/2012/09/belgium_june_2004.pdf.

მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები,¹⁷ იქვე კანონი მიუთითებს დათქმას,¹⁸ რომლის მიხედვითაც არასპეციალიზებულ პოლიციელსაც შეუძლია წარმართოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი. ამ შემთხვევაში კანონი არ ცნობს არასრულწლოვნისთვის სპეციალურ მიდგომებს, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სხვადასხვა საერთაშორისო ნორმატიულ აქტსა და დადგენილებაში, აგრეთვე კვლევებსა და სტატიებში. უფრო მეტიც, აძლევს შესაძლებლობას არასპეციალიზებულ პოლიციელს, წარმართოს მართლმსაჯულების პროცესი.

აგრეთვე, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რომლებზეც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა შეუძლია არასპეციალიზებულ პირს.

სასურველია, რომ ყველა პოლიციელი ფლობდეს არასრულწლოვანთან მიდგომის სპეციფიკურ ფორმებს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სამართლებრივ დარღვევასთან გვაქვს საქმე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი სამსახურები სისტემატურად უნდა განვითარდეს და კოორდინირებული იყოს მომსახურების სფეროში ჩართული პერსონალის კომპეტენციის გაუმჯობესებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით, მათი მეთოდების, მიდგომებისა და დამოკიდებულებების ჩათვლით.¹⁹

მანამ, სანამ ურბანიზაციისა და დანაშაულის კავშირი კომპლექსურია, არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდა დაკავშირებულია მსხვილი ქალაქების ზრდასთან, განსაკუთრებით სწრაფ და დაუგეგმავ ზრდასთან. ამიტომ სპეციალიზებული პოლიციური დანაყოფები აუცილებელია არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული პრინციპების განხორციელებისთვის, არამედ, ზოგადად, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესებისა და არასრულწლოვან დამნაშავეთა მართვისთვის.²⁰

დასკვნა

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების იძულებითი შრომის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა თუ სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისთვის ეფექტური მექანიზმია პოლიციის მიერ რისკის შეფასება. ამ მიმართულებით საინტერესოა უკვე განხილული ბელგიური მეთოდი, რომელიც გაზრდის სპეციალიზებულ პოლიციელთა რაოდენობას; ეს კი, თავის მხრივ, იმუშავებს დანაშაულის პრევენციაზე.

კვლევებისა და რეფორმების გატარების შემდეგ დადგინდა, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიის მაჩვენებელს, რომელიც ასოცირდება მხარდაჭერასთან და შესაძლებლობების განვითარებასთან. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში სპეციალიზებულ პოლიციელთა როლი მოახდენს როგორც დანაშაულთა პრევენციას, აგრეთვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიანად წარმართვას.

და ბოლოს, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ითვლებოდეს ყველა სახელმწიფოს ეროვნული განვითარების განუყოფელ ნაწილად და იყოს ყველა არასრულწლოვნისთვის სოციალური მართლმსაჯულების ჩარჩო, ამავდროულად ხელს უწყობდეს ახალგაზრდების დაცვას და საზოგადოებაში მართლწესრიგის შენარჩუნებას.“²¹

¹⁷ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 16.

¹⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 120 ქ/პ 8, მუხლი 121 ქ/პ 2, მუხლი 171 ქ/პ 2.

¹⁹ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), rule 1.6.

²⁰ იქვე, commentary rule 12.

²¹ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), rule 1.4.

ირაკლი ყიციშვილი¹

ღია ინფორმაციული წყაროების სადაზვერვო დამუშავება და მისი ადგილი ეროვნულ უსაფრთხოებაში

შესავალი

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკის, თავდაცვისუნარიანობისა და ეროვნული უსაფრთხოების მთელი რიგი სეგმენტების დაცვის ხარისხი ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხის პირდაპირპროპორციულია. ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე კონტროლის განმახორციელებელ რგოლს სახელმწიფოში – კონტრდაზვერვითი, ხოლო საზღვრებს გარეთ სადაზვერვო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები წარმოადგენენ. აღნიშნული სამსახურების მხრიდან ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვა სრულყოფილი, ობიექტური და დროული ინფორმაციული უზრუნველყოფით მიიღწევა.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურების, არამედ კერძო სექტორისა და თითოეული მოქალაქის სათანადო ინფორმირებით, კოორდინირებული მუშაობითა და კომპლექსური მიდგომით მიიღწევა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საზოგადოების როლისა და მის წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზება.

სახელმწიფო ან კერძო სექტორის ფუნქციონირების შეფერხება ან ინსტიტუციონალური მოშლა უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების შეღწევადობის მაღალ დონესა და ობიექტი ქვეყნის კონტრდაზვერვის სისუსტეზე მიანიშნებს.

უახლეს ისტორიაში განვითარებული მოვლენების (საომარი მოქმედებები, ეკონომიკური კრიზისი, შიდასახელმწიფოებრივი დესტაბილიზაცია, მწვავე ეპიდემიოლოგიური ვითარება და სხვ.) ანალიზი ცხადყოფს, რომ ობიექტი ქვეყნები სადაზვერვო ზემოქმედებას ექვემდებარებიან, რაც საკვლევი საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინფორმაციის გაჟონვის სექტორები და ამ პროცესთან დაკავშირებული სადაზვერვო ასპექტები, რაც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება.

დაცვის შესაბამისი მექანიზმების არასრულყოფილების ფონზე სახელმწიფოზე დამაზიანებელი ზემოქმედების როგორც საიდუმლო, ისე საჯარო და კონფიდენციალური ტიპის ინფორმაციის გაჟონვის მაღალი რისკი არსებობს, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს არასრულყოფილი კონტროლის მექანიზმებით. ყოველივე კი იმაზე მიუთითებს, რომ მზვერავ სახელმწიფოს ექმნება ხელსაყრელი პირობები, მოიპოვოს სადაზვერვო ინფორმაცია, გაეცნოს ობიექტ ქვეყანაში არსებულ ოპერატიულ ვითარებას და დაგეგმოს შესაბამისი სადაზვერვო-ოპერაციული ღონისძიებები.

სადაზვერვო საქმიანობა გულისხმობს როგორც საკანონმდებლო და ორგანიზაციულ კონტროლს დაქვემდებარებული საიდუმლო, ისე საჯარო ინფორმაციის მოპოვებას, ანალიტიკურ დამუშავებასა და რეალიზაციას. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისათვის კონკრეტულ ობიექტზე სადაზვერვო ზემოქმედების განსახორციელებლად საინტერესო ინფორმაციას ღია (საჯაროდ ხელმისაწვდომი) წყაროებიც შეიცავენ. შესაბამისად, ღია წყაროების შესწავლა სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ

¹ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (New Vision University) - სამართლის დოქტორანტი; შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ანალიტიკოსი.

მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

ღია წყაროები როგორც სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების, ისე მიზანმიმართული დამაზიანებელი სადაზვერვო აქციის რეალიზების ხელსაყრელ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. ობიექტური, სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება და სისტემატიზაცია საშუალებას იძლევა, შესწავლილ იქნეს სადაზვერვო ზემოქმედების უშუალო ობიექტი, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია დაიგეგმოს სათანადო ოპერაციები მასზე დამაზიანებელი ზემოქმედების განსახორციელებლად.

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ამ სეგმენტზე სადაზვერვო შეღწევადობის რისკი მაღალია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩნდება ღია წყაროების დამუშავებით მიღებული სადაზვერვო ინფორმაციის მნიშვნელობისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროებზე შესაძლო მავნე ზემოქმედების საფრთხეთა განსაზღვრის საჭიროება.

1. ეროვნული უსაფრთხოება და ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროები

სახელმწიფოს ინფორმაციული უზრუნველყოფის პროცესს სამყაროს წარმოშობიდან დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც მმართველობითი სისტემის სწორი ორგანიზაციის, ისე მისი კონტროლის საშუალებად გამოყენების თვალსაზრისით. სახელმწიფოს მმართველობითი აპარატის ფუნქციონირება, მისი სუვერენიტეტი, სტრატეგიული პოლიტიკა, საშინაო და საგარეო ურთიერთობები დამოკიდებულია სახელმწიფოსა და, ასევე, მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე სხვადასხვა ხასიათის პროცესების დროულობით, სრულყოფილებითა და ობიექტურობით გამორჩეულ ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მიღებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება სათანადოდ მოპოვებული, დამუშავებული და გაანალიზებული (მათ შორის – სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზებით, მეცნიერული გათვლებით სრულყოფილი) ინფორმაციის შედეგებს უნდა ეფუძნებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია სწორი სტრატეგიული კურსის განსაზღვრა, შესაბამისად, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თითოეული სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართულია, ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით უზრუნველყოს საკუთარი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება. მოქმედების ფორმა განისაზღვრება უსაფრთხოების სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. ეროვნული უსაფრთხოების დეფინიცია დღემდე დაუზუსტებელ და სადავო საკითხს წარმოადგენს. მისი არსი გაიგივებული იყო სამხედრო ხასიათის დაპირისპირების ხელყოფის ობიექტთან, თუმცა ეს მხოლოდ მისი შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილია.

ეროვნული უსაფრთხოების არსის შემეცნების საშუალებას იძლევა მისი ისეთი სფეროების იდენტიფიცირება, როგორცაა სამხედრო, ეკონომიკური, ინფორმაციული, დემოგრაფიული, ეთნიკური, გეოსტრატეგიული, კიბერნეტიკული, საგარეო უსაფრთხოება; ასევე – კვების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების, კატასტროფის მართვისა და გენური ინჟინერიის სფეროები.²

პრაქტიკულად, ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის ხარისხი თითოეული სფეროსათვის მიყენებული ზიანისა და არსებული საფრთხის ხარისხის შესაბამისად განისაზღვრება, რომელიც გამოწვეულია როგორც ფიზიკური საომარი მოქმედებებით, ისე სახელმწიფოში მიმდინარე სხვადასხვა დამაზიანებელი პროცესით; ასეთია, მაგ., სადაზვერვო ხასიათის პროცესები: დივერსია, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, საბოტაჟი და სხვა. მისი დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ეროვნული უსაფრთხოების რომელ

² Prabhakaram P., NATIONAL SECURITY, New delhi, Taya Mcgraw-Hill, 2008, 66.

სფეროს ადგება ზიანი და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

სახელმწიფოებს შორის უძველესი დროიდან მიმდინარეობს ფარული ინფორმაციული ომი; ამკარად გამოვლენილი დაპირისპირებები კი ამ ომის მხოლოდ გამოძვლავნებას ნიშნავს. გარეშე ძალების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან დაცვა სათანადო ინფორმაციული რესურსის (მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ოპერატიული საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის) ნაკლებობის ფონზე წარმოდგენილია. სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივა საჯარო და კერძო სექტორის თანაბარ განვითარებაზეა დამოკიდებული, რაც სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფით მიიღწევა. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, სათანადო ინფორმაციით მოამარაგოს როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე კერძო სექტორი და ამ სეგმენტებზე განახორციელოს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი, გაჟონვის შემთხვევაში, დამაზიანებელი ზემოქმედების უზრუნველყოფი ინფორმაციის სათანადო დაცვა.

აღნიშნული მიზნით, საომარ და მშვიდობიან პერიოდში ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურები სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებენ, რომელიც გულისხმობს უცხო ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.³ შესაბამისად, ინფორმაციული უზრუნველყოფა სადაზვერვო საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

სადაზვერვო საქმიანობა ასევე განმარტებულია, როგორც ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ინტეგრაციის, შეფასების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული პროდუქტი, რომელიც უცხო ქვეყნის ფაქტობრივი ან პოტენციური მტრის შეიარაღებას, ოპერაციებსა და სხვა მონაცემებს უკავშირდება.⁴

საქართველოს კანონის: „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად, „სადაზვერვო საქმიანობა არის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, რეალიზაცია, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში ქვეყნის სტრატეგიული კურსის გატარებისათვის ხელის შეწყობა.“⁵ ამგვარად, სადაზვერვო საქმიანობა განისაზღვრება როგორც ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას, სათანადო ანალიტიკურ დამუშავებას, გამოყენებას ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველსაყოფად და კონკურენტ ქვეყანაზე უპირატესობის მისაღწევად.

სადაზვერვო საქმიანობაში ინფორმაციული უზრუნველყოფის ღონისძიებები, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი – დახურული, ისე საჯარო – ღია ინფორმაციული წყაროების გამოყენებით ხორციელდება. ყოველივეს კი იმას ნიშნავს, რომ მზვერავის მიერ მოპოვებული როგორც საიდუმლო, ისე საჯარო ინფორმაცია შესაძლოა იქნეს გამოყენებული დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზემოქმედების ორგანიზებისათვის.

ეკოლუციური და ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, გაიზარდა სახელმწიფოს განვითარების პროცესებზე დამაზიანებლად მოქმედი ინფორმაციის გაჟონვის ალბათობა და სახელმწიფოები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ. გაჩნდა ინფორმაციული უსაფრთხოების ახალი მექანიზმების შემუშავების საჭიროება: სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივა მისი სპეციალური სამსახურების წარმატებული საქმიანობის განმსაზღვრელი აგენტურული აპარატის მოქნილობას უკავშირდება, რომლის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი (საიდუმლო და არასაიდუმლო)

³ Martin T. Bimfort, Intelligence as a Science, Studies in Intelligence, Vol. 2, No. 2, 1958, 78.

⁴ Department of Defense Dictionary of Military and Associated Terms, Joint Publication 1-02, 8.11.2010, 114.

⁵ საქართველოს კანონი სადაზვერვო საქმიანობის შესახებ, მუხლი 2, საკანონმდებლო მაცნე, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/92242>> [15.10.2017].

ინფორმაცია შესაძლებელია წერილობითი დოკუმენტის, ხმოვანი ტალღის, გამოსახულების ან ნებისმიერი სხვა ფორმით იქნეს მოპოვებული; მისი ანალიტიკური დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე მზვერავ სახელმწიფოს ექმნება ხელსაყრელი პირობები თავისი სტრატეგიული ინტერესებისა და ობიექტი ქვეყნისათვის დამაზიანებელი ზემოქმედების განსახორციელებლად.

ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროების მიხედვით, სადაზვერვო საქმიანობაში შემდეგ ძირითად მიმართულებებს გამოყოფენ:⁶

- აგენტურული დაზვერვა „Human-Source Intelligence (HUMINT)“;
- რადიოელექტრონული დაზვერვა „Signals Intelligence (SIGINT)“;
- ფოტოგრაფიული დაზვერვა „Imagery Intelligence (IMINT)“;
- „გაზომვით-სიგნატურული დაზვერვა“⁷ „Measurement and Signature Intelligence (MASINT)“;
- ღია წყაროების სადაზვერვო დამუშავება „Open-Source Intelligence (OSINT)“.

სადაზვერვო ინფორმაციის აღნიშნული წყაროების დაყოფა პირობითია, ვინაიდან სადაზვერვო ინფორმაციის მაქსიმალურად ობიექტური და სრულყოფილი ფორმით მოპოვების მიზნით, კომბინირებულად რამდენიმე წყარო გამოიყენება.

ინფორმაციის მოძიების სიმარტივისათვის, თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ღია წყაროების სადაზვერვო დამუშავება. დაზვერვის ეს მიმართულება, მზვერავი ქვეყნის ინტერესების უზრუნველსაყოფად, საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში გავრცელებული ინფორმაციის გამოყენებას გულისხმობს,⁸ რადგან ლეგალურად ამ სახის ინფორმაციის სისტემატური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი სადაზვერვო ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს.

ღია ინფორმაციული წყაროები ინფორმაციის მიმოცვლის თავისუფლებით გამოირჩევა; ეს იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული სექტორიდან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფორმაციის გაჟონვის რისკი მაღალია. გარდა ამისა, ღია წყაროები მიზანმიმართული სადაზვერვო აქციის (საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიზნით ორგანიზებული სარეკლამო კომპანიები, სატელევიზიო გადაცემები, პროპაგანდისტული მოწოდებები და სხვა) განხორციელების ხელსაყრელ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.

2. ღია ინფორმაციული წყაროები და მასობრივი მედიასაშუალებები

2.1. ღია წყაროების სადაზვერვო დამუშავება

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში საჯარო ინფორმაციის გავრცელების მრავალი საშუალება არსებობს. ეს იმას გულისხმობს, რომ ამ სექტორზე სადაზვერვო შეღწევადობის რისკი მაღალია. ობიექტური, სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება და სისტემატიზაცია საშუალებას იძლევა, შესწავლილ იქნეს სადაზვერვო ზემოქმედების უშუალო ობიექტი, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია დაიგეგმოს სათანადო ღონისძიებები მათზე დამაზიანებელი ზემოქმედების განსახორციელებლად.

⁶ Interagency OPSEC Support Staff, Intelligence Threat Handbook, operations security information series, 2004, 67-68.

⁷ ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი, „MASINT“ (Measurement and Signature Intelligence_ს აბრევ.), გაზომვით-სიგნატურული დაზვერვა, <<http://mil.dict.ge/word/5576/masint/>> [15.10.2017].

⁸ Schauer F., Störger J., Osint, Report 3/2010, 2, <<http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/OSINT-Report-3.pdf>> [15.10.2017].

ღია წყაროების სადაზვერვო დამუშავება სადაზვერვო საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ნაწარმოებია საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დროულადაა შეგროვებული, დამუშავებული და მიწოდებული კონკრეტული მიმართულებით მომუშავე ჯგუფისათვის მისი მხრიდან სპეციფიკური სადაზვერვო საჭიროების უზრუნველსაყოფად.⁹ ინფორმაციის მოპოვების აღნიშნული ფორმა როგორც ოპერატიული საქმიანობის დაწყების, ისე წარმოებული სადაზვერვო-ოპერატიული ინფორმაციის სრულყოფის საშუალებას წარმოადგენს.

ღია წყაროების სადაზვერვო დამუშავება საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს გულისხმობს, რომელიც უკვე ცნობილ ან პროგნოზირებად სადაზვერვო პერსპექტივას უკავშირდება.¹⁰ პრაქტიკულად, ესაა იმ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც მოპოვების მომენტში შესაძლოა არ იყოს კონკრეტული სადაზვერვო-ოპერაციული მიზნით გამოყენებადი, თუმცა, მისი გამოყენება პერსპექტივაში განსახორციელებელი სადაზვერვო ღონისძიების ორგანიზებისთვის გახდეს აუცილებელი. ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით შესაძლებელია სადაზვერვო აქციის ორგანიზების საბოლოო პროდუქტის მიღება.

საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებს მიეკუთვნება სამეცნიერო, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა, სატელევიზიო, რადიო- და ბეჭდვითი მედიასაშუალებები, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირთა თათბირები და სხვა¹¹ – პრაქტიკულად, ნებისმიერი ობიექტი, რომელიც საშუალებას იძლევა, გარკვეული შეზღუდვების გარეშე მიიღოს ინფორმაცია დაინტერესებულმა პირმა. ამ მხრივ, სადაზვერვო შეღწევადობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველ ობიექტებს ინტერნეტის (მათ შორის, სოციალური ქსელები) და მასობრივი მედიასაშუალებები მიეკუთვნებიან.

მასობრივი მედიასაშუალებების გამოყენებას სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა თუ მიზანმიმართული დამაზიანებელი ოპერაციის ეფექტურ ინსტრუმენტად თავისი ისტორიული საფუძვლები გააჩნია; მათი დატვირთვა დღეს კიდევ უფრო მასშტაბურია. მასმედიის წარმომადგენლები, სამიზნე ჯგუფის სასურველი განწყობის ჩამოყალიბების მიზნით, ინფორმაციის არასწორი ან დამახინჯებული ფორმით გავრცელების დიდ შესაძლებლობას ფლობდნენ, ვინაიდან „თავად მედიის წარმომადგენლები განსაზღვრავდნენ, რა უნდა გვენახა და როდის“¹². აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სადაზვერვო შეღწევადობის სასურველ ობიექტებს მასობრივი მედიასაშუალებები წარმოადგენენ.

2.2. მასმედია, როგორც სადაზვერვო ინფორმაციის წყარო

მასმედიის წარმომადგენლების მიერ ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოპოვებისა და გაშუქების მისწრაფება ერთ-ერთ სერიოზულ რისკ-ფაქტორად უნდა ჩაითვალოს სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელების თვალსაზრისით. სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროა მისი საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცეული, პერსპექტივაში სახელმწიფოზე დამაზიანებლად მოქმედი სადაზვერვო მონაცემების გაჟონვის თავიდან ასაცილებლად განხორციელებული კონტროლი. მასმედია ხელსაყრელ პირობას ქმნის როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯარო, ისე საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვისათვის.

მასმედიის სადაზვერვო მიზნით შესწავლას ისტორიული საფუძვლები გააჩნია და დღემდე

⁹ National Defense Authorization Act for Fiscal Year 2006, Sec. 931. DEPARTMENT OF DEFENSE STRATEGY FOR OPEN-SOURCE INTELLIGENCE, PUBLIC LAW 109-163, <<https://www.congress.gov/109/plaws/publ163/PLAW-109publ163.pdf>> [15.10.2017].

¹⁰ Department of Defense Dictionary of Military and Associated Terms, Joint Publication 1-02, 08.11.2010, 174, <https://fas.org/irp/doddir/dod/jp1_02.pdf> [15.10.2017].

¹¹ დალესი ა., დაზვერვის ხელოვნება, თავი მეხუთე, თარგმანი მ.ტატურაშვილისა, მოსკოვი, 1992, 69.

¹² ასათიანი ს., სოციალური მედია სკოლაში, გამომცემლობა „სანდროს წიგნები“, 2011, 30.

აქტუალობას არ კარგავს. „ცივი ომის“ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიულ პარტნიორთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სადაზვერვო სამსახურებთან კოორდინაციაში აქტიურ სადაზვერვო ღონისძიებებს ახორციელებდა საბჭოთა კავშირისა და მისი სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. სადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელოვან სეგმენტს ღია წყაროების შესწავლა წარმოადგენდა. აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრომ გააანალიზა 1000 ჟურნალი და 100 წიგნი ერთი თვის განმავლობაში, ასევე შეაჯამა 100 გაზეთი, დასავლეთ გერმანიის რადიო-და სატელევიზიო გადაცემები.¹³ პრაქტიკულად, მასმედიის შესწავლით გააანალიზდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება; ამასთან, ისტორიული და სამეცნიერო ნაშრომების ანალიზით შესაძლებელი გახდა შესწავლას დაქვემდებარებული მოსახლეობის (მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების) პოლიტიკურ ლიდერთა ფსიქოლოგიური პორტრეტის სრულყოფა.

გარდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯარო ინფორმაციისა, შესაძლოა, მასმედია საიდუმლო-რეჟიმული ობიექტიდან საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის საშუალებას წარმოადგენდეს. სახელმწიფოს სტრატეგიულ ობიექტებზე სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაუფრთხილებლობის გამო მასმედიაში გავრცელებით, სახელმწიფო უსაფრთხოების ხელყოფა შესაძლებელია.

ამ მოსაზრებას ადასტურებს 2015 წლის 9 ნოემბერს რუსული ტელემაუწყებლობის სიუჟეტებში მოხვედრილი საიდუმლო ინფორმაცია შეიარაღების სისტემა „Статус-6“-თან დაკავშირებით. გადაღების პროცესი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულ თათბირზე ხორციელდებოდა. სიუჟეტში მოხვედრილი კადრები სისტემა „Статус-6“-ის შემუშავების ვადასა და კონცეფციას მოიცავდა.¹⁴ აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ ტელევიზიას, შესაბამისად, მასმედიის წარმომადგენლებს ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საიდუმლო ინფორმაციაზე. მისი გაჟონვის (ე.ი. სადაზვერვო სამსახურებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის) თავიდან ასაცილებლად მასმედიის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ დაშვება საიდუმლო-რეჟიმულ ობიექტებზე, შესაბამისად – საიდუმლო ინფორმაციაზე, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს მათი სათანადო სწავლების ორგანიზება.

2.3. მასმედია, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალება

მასმედია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ერთგვარ შუამავალ რგოლს წარმოადგენს. მასობრივი მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით შესაძლებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების (მათ შორის, ხელისუფლებისადმი უნდობლობის) გამოწვევა,¹⁵ რაც სპეცსამსახურების საქმიანობის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს.

სადაზვერვო დაინტერესების ობიექტის შესწავლის, მასზე მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, მიზანმიმართული სადაზვერვო აქციები (ოპერაციები) იგეგმება, რომლებიც სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისა და კონკურენტ ქვეყანაზე უპირატესობის მისაღებად ხორციელდება. სადაზვერვო ოპერაცია შეიძლება მიმართული იყოს ეროვნული უსაფრთხოების კონკრეტულ ან რამდენიმე სფეროზე დამაზიანებელი ზეგავლენის განხორციელებისკენ. ამ მიზნით, აქტიურად გამოიყენება მასობრივი მედიასაშუალებები. სამიზნე ობიექტს წარმოადგენს მოსახლეობა, მისი განწყობის, დამოკიდებულების, შეხედულებების შეცვლა

¹³ Schauer F., Störger J., The Evolution of Open Source Intelligence (OSINT), The Intelligencer, Journal of U.S. Intelligence Studies, 2013, 53, <https://www.afio.com/publications/Schauer_Storger_Evo_of_OSINT_WINTERSPRING2013.pdf> [15.10.2017].

¹⁴ Рубин М., Солопов М., Козлов В., Кремль признал случайным показ секретного оружия по Первому каналу и НТВ, РБК, ПОЛИТИКА, 11.11.2015, <<http://www.rbc.ru/politics/11/11/2015/564371b49a7947a62d2ca390>> [15.10.2017].

¹⁵ ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, თბილისი, გამომცემლობა „ქოლორი“, 2014, 57-60.

– ფორმირება, რაც დეზინფორმაციით ან პროპაგანდისტული ქმედებებით მიიღწევა.

აღნიშნულს ადასტურებს „ცივი ომის“ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტროლქვეშ მოქმედი რადიომაუწყებლები („თავისუფალი ევროპა“, „ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“, „გერმანული ტალღა“ და სხვა)¹⁶, რომლებიც ანტისაბჭოური განწყობის მქონე კადრებით (მათ შორის, ემიგრანტებით) იყო დაკომპლექტებული. რადიომაუწყებლების გამოყენებით წარმატებით ხორციელდებოდა საბჭოთა წეს-წყობილების საწინააღმდეგო პროპაგანდისტული მიმართვები, ხოლო ბეჭდვითი და სატელევიზიო გადაცემებით – სათანადო კარიკატურების გავრცელება. მასმედიაში განიხილებოდა სოციალისტურ ქვეყნებში აკრძალული წიგნები და წერილები, ასევე ხორციელდებოდა საბჭოური ცხოვრების წესისთვის მიუღებელი მუსიკის, გასართობი საშუალებების პროპაგანდა. პრაქტიკულად, ქმედებები ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების თანმხვედრი იყო და სადაზვერვო/კონტრსადაზვერვო ქმედებათა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

თანამედროვე ეტაპზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ხელშემწყობი პირობები იზრდება. მისი გამოაშკარავებისა და წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად სპეციალური ვებგვერდები იქმნება,¹⁷ რომლებიც კონტრსადაზვერვო ორგანიზების ნიშნებს შეიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტური პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებისთვის უფრო დამაჯერებელი და სანდოა, საზოგადოებრივი განწყობის ფორმირების, ასევე მის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად ეფექტურ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს სპეცსამსახურების მიერ ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლების გამოყენება.

აღნიშნულს ადასტურებს 2016 წელს უკრაინულ მასმედიაში გავრცელებული რუსეთის ფედერაციის სასარგებლო პროპაგანდის დამადასტურებელი დეზინფორმაციული ხასიათის მონაცემები, რომელთა ავტორი ყოფილი „ბლოგერი“, ბრიტანელი გრაჰამ ფილიპსი იყო.¹⁸ უკრაინულ მასმედიაში გავრცელდა მასალები (დოკუმენტები და ფოტომასალები) რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების ხელშეწყობით ფილიპსის უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრისა და მისი მხრიდან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო-სპეციალური ჯილდოების ფლობის შესახებ. ამგვარად, დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს მასმედია ითვლება სადაზვერვო აქციის – მზვერავი სახელმწიფოს მიმართ დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის დეზინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალებად, ხოლო ჟურნალისტები – აგენტურული შედღწევის სასურველ ობიექტებად. ამ სექტორზე ეფექტური იდეოლოგიური ბრძოლის განსახორციელებლად საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირება (პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საშუალებით) მასობრივი არეულობის წინაპირობას წარმოადგენს.

3. ინტერნეტი და ინფორმაციის გაჟონვის რისკები

თანამედროვე სოციალურ ინტერნეტის შემოჭრამ გადატრიალება მოახდინა ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებში. შესაბამისად, გაიზარდა ინფორმაციის გაჟონვის რისკი და მისი დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფის საჭიროება. ინტერნეტის როლი, ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალური გახდა XXI საუკუნეში. კომპიუტერიზაციის პროცესებმა მნიშვნელოვნად გაამარტივა საქმიანი (და არამარტო საქმიანი) პროცესების ორგანიზება. გამარტივდა კომუნიკაციის პროცესი და ინტერნეტქსელი ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი გახდა. შესაბამისად, სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე

¹⁶ კუხალაშვილი დ., ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში, თბილისი, 2010, 142-145.

¹⁷ ტულუში ლ., გაგუა მ., ღვედაშვილი გ., ლაფაჩი ნ., რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია, თბილისი, 2016, 18-19.

¹⁸ *Schultz R.*, British Citizen Exposed as a Tool of Russia's FSB, Ukraine: War Log, 14.07.2015, <<http://ukrainewarlog.blogspot.com/2015/07/british-citizen-exposed-as-tool-of.html>> [15.10.2017].

(ინტერნეტის მომხმარებელი) სადაზვერვო ზეგავლენის რისკები გაიზარდა.

ინტერნეტის ვირუსის სადაზვერვო შედეგადობისაგან დაცვა და მისი გამოყენებით გავრცელებული საჯარო ინფორმაციის მნიშვნელობის განსაზღვრა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ეს საკითხი დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება.

მიიჩნევენ, რომ ღია წყაროებით მოპოვებული საჯარო ინფორმაცია ისეთივე მნიშვნელოვანი და გამოყენებადია, როგორც სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია.¹⁹ ამავდროულად, სათანადო საიდუმლო რეჟიმის დაცვის იგნორირების შემთხვევაში, მისი გამოყენებით საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი, რისთვისაც სხვადასხვა ხერხი გამოიყენება.

3.1. კომპიუტერული ვირუსი

ინფორმაციის ტექნიკურ მოწყობილობაში განთავსება სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. ინტერნეტსელში ჩართული, ტექნიკურ მოწყობილობაში არსებული ინფორმაციის მოპოვება სპეციალურად შექმნილი პროგრამითაა შესაძლებელი, რაც ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის ალბათობას ზრდის.

გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს იაპონიაში ტოკიოს პოლიციის თანამშრომლის კომპიუტერიდან პერსონალური მონაცემების გაჟონვის ფაქტი.²⁰ ამ ინციდენტის დროს გამოყენებულ იქნა სპეციალური პროგრამა, რომელიც მონაცემების ინტერნეტის ვირუსში ანონიმურად გადატანის საშუალებას იძლევა. პროგრამა შექმნა ტოკიოს ერთ-ერთი უნივერსიტეტის დოცენტმა, მისივე განმარტებით, ინტერნეტში კომუნიკაციის პროცესის გასაადვილებლად.

ამგვარად, სპეციალური ვირუსის გამოყენებით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების, სპეციალური სამსახურების თანამშრომლებისა და, ზოგადად, სახელმწიფოს კომპრომეტაციის ორგანიზების საშუალებას იძლევა. ამ სადაზვერვო შედეგადობისათვის ხელსაყრელ პროცესებს ხელს უწყობს სასწავლო დაწესებულებებში საიდუმლო პროგრამებზე სახელმწიფოს მხრიდან სათანადო აღრიცხვა-კონტროლის არარსებობა ან მოშლა, ასევე, საჯარო სექტორში მომსახურე პირების დაუდევარი დამოკიდებულება საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის რეჟიმისადმი. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა „BBC“-ის იაპონიის თანამშრომლის კომპიუტერიდან ინფორმაციის ინტერნეტის ვირუსში გავრცელების ფაქტი, რომელიც ირანში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების პერსონალურ მონაცემებს უკავშირდებოდა. ის შეიცავდა ინფორმაციას კუნძულ ოკინავაზე სწავლების სცენარის, (ტერორისტული შედეგადობის შემთხვევაში) სამხედრო-საჰაერო ბაზაზე არსებულ საგუშაგოთა ფოტოების, შენობების გეგმების შესახებ.

საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა უზრუნველყოფილი იყო კომპიუტერული პროგრამით (ვირუსით), რომელიც შესაძლებელს ხდიდა დამოუკიდებლად, ავტომატურ რეჟიმში გაეცვალა დოკუმენტები ინტერნეტის სხვა მომხმარებლებთან.²¹

ამგვარად, კომპიუტერული ვირუსის გამოყენებით მოპოვებული ინფორმაციის მნიშვნელობა განუსაზღვრელია. სადაზვერვო გადაბირების ორგანიზების ხელშემწყობ მონაცემთან ერთად, გავრცელებული ინფორმაცია საყურადღებო და გამოყენებადია ტერორისტული მიზნებით, რაც სათანადო საიდუმლოების რეჟიმის უგულებელყოფის შედეგია. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტის

¹⁹ *Jahankhani H., Lilburn Watson D., Me G., Leonhardt F.*, Handbook of electronic security and digital forensics, World Scientific, 2010, 266.

²⁰ Police secrets leaked by computer virus, Press Releases, SAPHOS, 2006, <<https://www.sophos.com/zh-tw/press-office/press-releases/2006/03/jppolice.aspx>> [15.10.2017].

²¹ Данные о составе войск США в Ираке случайно попали в открытый доступ в интернете, NEWSru.com, 30.11.2006, <<http://www.newsru.com/world/30nov2006/inet.html>> [15.10.2017].

ქსელზე მიერთებულ ტექნიკურ მოწყობილობაში არსებული ინფორმაცია პრაქტიკულად დაუცველია, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ეროვნული უსაფრთხოება, სადაზვერვო შეღწევადობისა და ზეგავლენის თვალსაზრისით, დიდი საფრთხის წინაშე დგება.

3.2. პროვაიდერთან პირდაპირი წვდომა

მაღალი რისკის შემცველ ობიექტებს წარმოადგენენ ინტერნეტკომპანიები, რომელთა პროვაიდერულ უზრუნველყოფას უცხო ქვეყნები ახორციელებენ. ასეთი კომპანიების სერვისით (რომელიც თითქმის მთელს მსოფლიოშია ხელმისაწვდომი) უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს ექმნებათ ხელსაყრელი პირობები, აკონტროლონ სადაზვერვო დაინტერესების ობიექტები.

2013 წელს ბრიტანულ და ამერიკულ გაზეთებში გრიფით: „სრულიად საიდუმლო“ მასალები გავრცელდა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო „NSA-ს“ საიდუმლო პროგრამას – „PRISM-ს“ უკავშირდება. გავრცელებული მასალებით ირკვევა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო საიდუმლო რეჟიმში თანამშრომლობს ისეთ კომპანიებთან, როგორცაა: „Microsoft“, „Google“, „Yahoo“, „Facebook“, „PalTalk“, „YouTube“, „Skype“, „AOL“, „Apple“.²² ეს იმაზე მიუთითებს, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინტერნეტპროგრამების სერვისმომხმარებლებისგან მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი. ინფორმაციის მოპოვება სპეცსამსახურებს პროგრამების პროვაიდერთან პირდაპირი წვდომით შეუძლიათ. აღნიშნული პროგრამები გამოიყენება როგორც ყოველდღიურ ყოფით, ისე საქმიან ურთიერთობებში; შესაბამისად, სადაზვერვო შეღწევადობის რისკის წინაშე ნებისმიერი მომხმარებელი დგას.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ წარმოდგენილ პროგრამებს გამოიყენებენ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები, სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეციალური სამსახურების (მათ შორის – სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიული საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურების) თანამშრომლები; ეს იმაზე მიუთითებს, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს მათთვის საინტერესო პიროვნების, ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების დიდი ბერკეტი გააჩნიათ, რაც შეიძლება შეიცავდეს გადაბირების ორგანიზებისათვის მნიშვნელოვან მაკომპრომეტირებელ მასალას.

პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა ხელსაყრელი პირობაა ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად. ასეთი ინფორმაცია გადაბირების თითქმის ნებისმიერ ეტაპზე გამოიყენება და როგორც გადაბირების კანდიდატის შერჩევისას, ისე შესწავლისა და დამუშავებისას.

პრაქტიკულად, ინტერნეტი, როგორც ულვეი ინფორმაციის წყარო, მზვერავსა და სადაზვერვო ზემოქმედების უშუალო ობიექტს შორის ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს, ხოლო ზემოქმედების თვალსაზრისით, ე.წ. სალექარს წარმოადგენს, რადგან იქ მოხვედრილი ინფორმაცია, პრაქტიკულად, არ იკარგება. გავრცელებული მასალები, კომბინირებული ანალიზის შემთხვევაში, მოწინააღმდეგის დაზიანების ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

3.3. სოციალური ქსელები

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევის საშუალებას იძლევა. ტერორისტული ორგანიზაციები და კრიმინალები, სასურველი ზეგავლენის განსახორციელებლად, სხვადასხვა ფორმით და მეთოდით (შანტაჟი, კომპრომეტაცია, მოტყუება

²² Greenwald G., MacAskill E., NSA Prism program taps in to user data of Apple, Google and others, The Guardian, 07.06.2013, <<http://www.theguardian.com/world/2013/jun/06/us-tech-giants-nsa-data>> [15.10.2017].

და სხვა) აქტიურად გამოიყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს,²³ შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული საფრთხის მასშტაბები იზრდება. სადაზვერვო შეღწევადობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა სოციალური ქსელები, ვინაიდან ამ სექტორზე კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გავრცელების მაღალი რისკი არსებობს (იგულისხმება საჯარო, საიდუმლო და პერსონალური ტიპის მონაცემები). თითოეული მომხმარებელი უამრავ ინფორმაციას ფლობს და ინახავს, რომლებიც (დაცვის შესაბამისი მექანიზმების არარსებობის პირობებში), შესაძლოა გამჟღავნდეს კომუნიკაციის პროცესში.

ამასთანავე, სოციალური ქსელები (შესაბამისი ველების შევსებით) კონკრეტული პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად გამოყენებადი მონაცემების შეუფერხებელი მოპოვების საშუალებას იძლევა, რაც სადაზვერვო გადაბირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ამ კუთხით საყურადღებოა მსოფლიოში (სხვადასხვა ქვეყნის პროვაიდერული უზრუნველყოფით) ფართოდ გამოყენებადი სოციალური ქსელები, რომლებში შევსებული შესაბამისი ველებიც და სხვა სახის, ერთი შეხედვით, უვნებელი ინფორმაცია პიროვნების შესახებ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის საფუძველი შეიძლება გახდეს. აღნიშნული ქსელების შესწავლით გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ იდენტური ველები, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის მონაცემების გამჟღავნებას უზრუნველყოფენ:

- პირადი სახის ინფორმაცია – სახელი და გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, მისამართი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია, განათლება, სამუშაო გამოცდილება, ოჯახური მდგომარეობა;
- კავშირები – ოჯახის წევრები, მეგობრები, კლასელები და ჯგუფელები სასწავლო დაწესებულებიდან, თანამშრომლები ან სხვა ნიშნით დაკავშირებული პირები. (შეიძლება გამოვყოთ ახლო მეგობრები);
- ინტერესები – სპორტი, მუსიკა, სატელევიზიო გადაცემები, ფილმები, წიგნები, თამაშები, ნახატები და სხვა;
- დამოკიდებულება, შეხედულებები, კონფლიქტები – კომენტარები, გამოქვეყნებული და მოწონებული გამოთქმები, ე.წ. სტატუსები და მათი ხასიათი, რომელთა ანალიზით შესაძლებელია დადგინდეს პიროვნების დამოკიდებულება კონკრეტული საკითხის ან ობიექტისადმი.

პრაქტიკულად, სახეზეა ვითარება, რომლის დროსაც პიროვნების შესახებ კანონმდებლობით დაცული პერსონალური ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება. უფრო მეტიც, სოციალური ქსელები საშუალებას იძლევა, დისტანციურად (შენიღბულად), ყოველგვარი დამატებითი ძალისხმევის გარეშე, მოპოვებულ იქნეს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც მთელი რიგი ოპერატიულ-აგენტურული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

4. კიბერუსაფრთხოება და სადაზვერვო ოპერაციები

დამაზიანებელი სადაზვერვო-ოპერაციული საქმიანობის ორგანიზების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს კიბერდანაშაული. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში გამოყენებადი ინფორმაციის ელექტრონული მიმოქცევის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს კიბერდანაშაულის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სადაზვერვო საქმიანობაში.

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევით მონაცემების მოპოვება (მოპარვა), შეცვლა

²³ სვანიძე ვ., გოცირიძე ა., კიბერთავდაცვა, თბილისი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ-იბერუსაფრთხოების ბიურო, 2015, 193.

და სხვა მავნე ქმედებები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს როგორც ინტერნეტის ფიზიკურ მომხმარებლებს, ისე კერძო სექტორსა და სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს.²⁴ მონაცემების მოპოვებით ხორციელდება სადაზვერვო დაინტერესების ობიექტის, მოწინააღმდეგის ელექტრონული ქსელისა და მისი შესაძლებლობების წინასწარი სადაზვერვო შესწავლა. კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე მიზანმიმართულად განხორციელებული კიბერშეტევა, ინფრასტრუქტურის დაზიანება, საკომუნიკაციო არხების ბლოკირება და პარალიზება სადაზვერვო-ოპერაციული საქმიანობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს; შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიბერსივრცის კონტრსადაზვერვო ორგანიზება.

კიბერუსაფრთხოების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების დროს საქართველოს ინტერნეტსივრცეზე განხორციელებული კიბერშეტევით გამოწვეული შედეგები. „საქართველოს ინტერნეტ-სერვერების უმეტესობა მოექცა გარე კონტროლის ქვეშ“²⁵. დაზიანდა სამთავრობო ვებგვერდები, საკომუნიკაციო სისტემები, სატრანსპორტო კომპანიებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის კუთვნილი ინტერნეტგვერდები. ქართული ინტერნეტსივრცის მიმართულებით იგზავნებოდა დიდი რაოდენობის ქსელური პაკეტები, რამაც ინტერნეტარხების გადავსება და ქართული ინტერნეტსივრცის ბლოკირება გამოიწვია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქართულ ინტერნეტგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია შეიცავდა მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მადისკრედიტირებელ იმიტირებულ ფოტოკოლაჟს.²⁶ შექმნილი ვითარებით შეუძლებელი გახდა კომუნიკაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისათვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის მობილიზების თვალსაზრისით. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედებების დაწყებამდე გროვდება სადაზვერვო ხასიათის ინფორმაცია მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო არხების შესაძლებლობებზე.

ამგვარად, სადაზვერვო-ოპერაციული ხასიათის ქმედებებს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციით მოსარგებლე ობიექტი სახელმწიფოს სტრატეგიული და სასიცოცხლო ცენტრების ხანგრძლივი დროით მწყობრიდან გამოყვანა; მისი მიზანია ობიექტ ქვეყანაში სახელმწიფო ინტერესებისათვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის მობილიზების ხელშეშლა საერთაშორისო არენაზე, რაც სადაზვერვო შესწავლის სტატუსს იძენს. საკომუნიკაციო არხების გამოყენებით მადისკრედიტირებელი იმიტირებული ფოტოკოლაჟი ობიექტი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებზე სადაზვერვო კუთხით უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნის მაპროვოცირებელი გარემოებაა.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N14 (საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ) კიბერუსაფრთხოების სფეროში ერთ-ერთ ძირითად პრინციპად გამოყოფს სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას.²⁷ კერძო სექტორზე განხორციელებული კიბერშეტევა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. ამ კუთხით, გამორჩეულია კორპორაციული ჯაშუშობის ორგანიზების პროცესი, რომელსაც შესაძლოა სადაზვერვო ხასიათი ჰქონდეს.

საყურადღებოა „McAfee-ის“ მიერ გამოვლენილი კიბერშეტევები, რომლებიც გლობალური ფინანსური თაღლითური კიბერპროგრამით – „Operation High Roller-ით“ განხორციელდა,

²⁴ თავდაცვის სამინისტრო, კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსი, სსიპ-კიბერუსაფრთხოების ბიურო, 2016, 7-8.

²⁵ საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ანგარიში, ტომი III, 2009, 34.

²⁶ Markoff J., Before the Gunfire, Cyberattacks, The New York Times, 12.8.2008, <<http://www.nytimes.com/2008/08/13/technology/13cyber.html>> [15.10.2017].

²⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება N14 საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, ქ.თბილისი, 13.01.2017, 4.

აღნიშნული კიბერშეტევების მიზანს, საბანკო ტრანზაქციების მონიტორინგითა და საჭირო საბანკო მონაცემების მოპოვებით, საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების (რამდენიმე მილიარდი) უკანონო მიღება წარმოადგენდა. კიბერშეტევის ობიექტებს ევროპული და ლათინური ამერიკის ქვეყნები, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ათასობით კომერციული ორგანიზაცია თუ კერძო პირი წარმოადგენდა.²⁸ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ოპერაციიდან, მაღალი ფინანსური მოგების გარდა, შესაძლებელი გახდა ისეთი პერსონალური მონაცემების მიღება, რომლებიც სადაზვერვო გადაბირებისათვის აუცილებელი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისათვის გამოიყენება.

ამგვარად, სადაზვერვო ორგანიზებით განხორციელებული კორპორაციული ჯაშუშობის შედეგად შესაძლებელია:

- კონკრეტულ ქვეყანაზე (სახელმწიფო ან კერძო სექტორზე) ეკონომიკური დივერსიის განხორციელება, რომლითაც კომპანიების მასიური გაკოტრება, ამ კომპანიებში დასაქმებული პირების უმუშევრად დატოვება, პროფილიდან გამომდინარე, პროდუქციის წარმოების პროცესის შეწყვეტა, საერთაშორისო სარეალიზაციო ბაზრებზე შეღწევადობის პოზიციის დაკარგვა, დაუცველობის გამო, არსებული ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობისა და მისგან მომდინარე მავნე შედეგების დადგომა;
- ისეთი პერსონალური მონაცემების მიღება, რომელთა გამოყენებაც სადაზვერვო გადაბირებისათვის აუცილებელი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისათვის გამოიყენება.

დასკვნა

- ✓ უძველესი პერიოდიდან დღემდე ინფორმაციულ უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების განსაზღვრა-რეალიზებაში. მშვიდობიანი და საომარი თანაცხოვრების პირობებში სახელმწიფოები უწყვეტ ინფორმაციულ უზრუნველყოფას ახორციელებენ;
- ✓ სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის ნაკლებობის ფონზე სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის დიდი რისკი არსებობს; მის მინიმუმამდე დასაყვანად საჭიროა ინფორმაციის შეკრებისა და დაცვის შესაბამისი სამართლებრივ-ორგანიზაციული მექანიზმების შემუშავება-დახვეწა არა მარტო საიდუმლო, არამედ სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზემოქმედების მქონე საჯარო ინფორმაციის კონტროლისათვის;
- ✓ სადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში, ობიექტი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები, რადიო და სატელევიზიო გადაცემები, სამეცნიერო ლიტერატურა ანალიტიკურ შესწავლას ექვემდებარება, რაც სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების, ქვეყნის ისტორიის შესწავლის, პოლიტიკური ლიდერების, მოსახლეობის (მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების) ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის მიზნით გამოიყენება;
- ✓ სადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის გამოიყენება რადიომაუწყებლები, ბეჭდვითი და სატელევიზიო გადაცემები და მათ წამყვანებად/ავტორებად – ემიგრირებული პირები; სადაზვერვო ხასიათის იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში, შესაძლებელია მასობრივი პროტესტის – არეულობის ინსპირირება;
- ✓ სახელმწიფოთაშორისი საომარი კონფლიქტის პირობებში, მასში მონაწილე ქვეყნების მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მოწინააღმდეგეზე სადაზვერვო ხასიათის უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება. ამ კუთხით, სადაზვერვო აქცია

²⁸ Marcus D., Sherstobitoff R., Dissecting Operation High Roller, McAfee, Executive Summary, <<http://www.mcafee.com/tw/resources/reports/rp-operation-high-roller.pdf>> [15.10.2017].

უფრო დამაჯერებელს ხდის კონფლიქტისადმი ნეიტრალური ქვეყნების მოქალაქეებისა და ჟურნალისტების გამოყენება. შესაბამისად, ჟურნალისტები აგენტურული შეღწევის სასურველ ობიექტებად ითვლებიან;

- ✓ სადაზვერვო საქმიანობის ოპერაციული ქმედებების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ინფორმაციის ანონიმურად შეკრება ვირუსებით ინფიცირებული კომპიუტერული მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც სადაზვერვო გადაბირებისათვის მაკომპრომეტირებელი მასალების მოპოვების საშუალებას იძლევა;
- ✓ ინტერნეტპროვაიდერები აქტიურად თანამშრომლობენ სადაზვერვო ფუნქციის მატარებელ სახელმწიფო სამსახურებთან. შესაბამისად, მომსახურებას დაქვემდებარებული მოქალაქეები, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები, სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეციალური სამსახურების თანამშრომლები სადაზვერვო შესწავლა-კომპრომეტაციის მაღალი რისკის ობიექტებს წარმოადგენენ;
- ✓ სოციალური ქსელები დისტანციურად (შენიღბულად), ყოველგვარი დამატებითი ძალისხმევის გარეშე, ისეთი სახის სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევიან, რომელიც ოპერატიულ-აგენტურული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს;
- ✓ სახელმწიფოებს შორის საომარი მოქმედებების დაწყებამდე, მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვან სადაზვერვო ამოცანას წარმოადგენს მოწინააღმდეგის ინტერნეტსივრცის პარალიზება. აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედებების მიმდინარეობამდე გროვდება სადაზვერვო ხასიათის ინფორმაცია მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო არხების შესაძლებლობებზე;
- ✓ საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის ხელისუფლების წევრებზე მადისკრედიტირებელი მასალის გავრცელება უარყოფითი საზოგადოებრივი განწყობის შექმნის მაპროვოცირებელი გარემოებაა;
- ✓ სადაზვერვო-ოპერაციული ხასიათის ქმედებებს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციით მოსარგებლე ობიექტი სახელმწიფოს სტრატეგიული და სასიცოცხლო ობიექტების (სახელმწიფო და კერძო სექტორი) ხანგრძლივი დროით მწყობრიდან გამოყვანა და მატერიალური ზიანის მიყენება. ამ პროცესებს შედეგადაც შეიძლება მოჰყვეს კომპანიების მასიური გაკოტრება, დასაქმებული პირების უმუშევრად დატოვება, პროდუქციის წარმოების შეწყვეტა, საერთაშორისო სარეალიზაციო ბაზრებზე შეღწევადობის პოზიციის დაკარგვა, დაუცველობიდან გამომდინარე, არსებული ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობა, შიდასახელმწიფოებრივი დესტაბილიზაცია და სხვა უარყოფითი შედეგები.

შალვა კვინიხიძე¹

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობები, ტენდენციები და გამოწვევები (2013-2017 წწ.)

შსს საერთაშორისო ურთიერთობებს წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების საფუძველზე. რაც გულისხმობს ერთის მხრივ მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მეორეს მხრივ კი სამინისტროში საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ბოლო წლებში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა და სამინისტროს განვითარების კუთხით დანერგილი რეფორმები, სიახლეები და შედეგები, რომელიც აღნიშნული ვალდებულებების შესრულებამ მოუტანა სამინისტროს. ეს არის რეფორმებზე ორიენტირებული, მზარდი და დინამიური საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესი, რომელიც პოზიტიურად და სამაგალითოდ შეფასდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ. სტატიაში ასევე მოცემულია სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამომავლო გეგმები, მიზნები და გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგია, ევროკავშირი, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირთან ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, საპოლიციო თანამშრომლობა, პოლიციის ატაშე, მეკავშირე ოფიცერი, ევროპოლი, ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ჟანდარმერიებისა და გასამხედროებული პოლიციის სტატუსის მქონე ძალების გაერთიანება FIEP, კორუფციის წინააღმდეგ ევროპელი პარტნიორების გაერთიანება EPAC, საგზაო პოლიციის ევროპის ქსელში TISPOL, passenger name record (PNR).

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი კრიზისებისა და გამოწვევების გადაწყვეტა, გლობალური და რეგიონული წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის ბრძოლა მზარდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ შეუძლებელია მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გარეშე.

შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრისთვის მეტად მნიშვნელოვანია წვლილის შეტანა აღნიშნული თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაღრმავებაში, როგორც ორმხრივი, ასევე რეგიონული და მრავალმხრივი ფორმატების მეშვეობით.

2015–2016 წლები მეტად მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის კუთხით, როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ასევე შსს საქმიანობაში. 2016 წლის ივლისში ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება. 2015 წელს წარმატებით შევასრულეთ ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

¹ სამართლის დოქტორი;

მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც შეიმუშავა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვნად გავაფართოვეთ ორმხრივი თანამშრომლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ასევე უმნიშვნელოვანესია რეგიონალური თანამშრომლობის განვითარება. ამ კუთხით პირველ რიგში აღსანიშნავია ევროპის პოლიციის სამსახურთან (ევროპოლთან) თანამშრომლობა.

მნიშვნელოვანი მიღწევებია ასევე ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის განმსაზღვრელ და ერთობლივი პროექტების განხორციელების მნიშვნელოვან ჩარჩო-დოკუმენტს წარმოადგენს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (NATO-Georgia Substantial Package).

აღნიშნული შედეგების მიღწევაში მნიშვნელოვანი იყო ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების მხარდაჭერა და მათი საუკეთესო გამოცდილების გაზიარება.

1. შსს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების საფუძველი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიის (შემდგომში სტრატეგია) განუყოფელ ნაწილს, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით პირველად შემუშავდა და 2017 წლის 9 მარტს დამტკიცდა შსს მინისტრის N 121 ბრძანებით.²

სტრატეგიის შესავალი პირდაპირ მიუთითებს შსს საერთაშორისო ურთიერთობების მიზანსა და საჭიროებაზე, კერძოდ:

„თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებული კრიზისებისა და გამოწვევების გადაწყვეტა, გლობალური და რეგიონული წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის, ბრძოლა მხარდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, შეუძლებელია მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გარეშე.

შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის სანდო და მტკიცე პარტნიორისთვის, მეტად მნიშვნელოვანია თავისი ჯეროვანი წვლილის შეტანა აღნიშნული თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში, პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან როგორც ორმხრივი, ასევე რეგიონული და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატის მეშვეობით.“³

სტრატეგიის მიხედვით, ხაზგასმულია სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების მჭიდრო კავშირი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებთან, ხოლო სტრატეგიული მიზნებიდან მნიშვნელოვანია რეფორმებზე ორიენტირებული საერთაშორისო ურთიერთობების გამოყოფა და აღნიშვნა:

² სტატიაში წარმოდგენილი მოსაზრებები წარმოადგენს ავტორის მოსაზრებებს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შსს ოფიციალური პოზიცია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგია, <<http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti?sub=10695>> [14.09.17]

³ იქვე, გვ.2, [14.09.17].

„სამინისტრო საერთაშორისო ურთიერთობებს წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საერთო საფრთხეებთან გამკლავების მიზნით მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან, მეორე მხრივ კი – რეფორმებზე ორიენტირებულ საერთაშორისო ურთიერთობებს სამინისტროში საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად.“⁴

ზოგადად, ნებისმიერი სფეროს სტრატეგიული მიზნებით დახარისხება და მისთვის ფორმალური სახის მიცემა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შექმნითა და შესრულების ინდიკატორების გაწერით ხელს უწყობს მოცემულ სფეროში შედეგზე ორიენტირებული კოორდინაციის გაძლიერებასა და საბოლოო მიზნების მიღწევას. სამინისტროს აღნიშნული სტრატეგიის დამტკიცება და, ასევე, მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის მიღება⁵ ხელს შეუწყობს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების ერთგვაროვან დაგეგმვასა და მის კოორდინირებულ განხორციელებას, საბოლოო ჯამში კი, მისი სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევას. შედეგად მივიღებთ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს კონსოლიდირებული, შეჯერებული და ეფექტიანი, ანუ შედეგზე ორიენტირებული სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების შექმნას.

2. შსს და ევროინტეგრაციის კუთხით გატარებული რეფორმები და შედეგები

ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი⁶ და, შესაბამისად, ამ მიმართულებით გატარებული რეფორმები ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაციისა და ევროატლანტიკურ სტანდარტებთან დაახლოებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ამ მხრივ, 2014-2017 წლები განსაკუთრებულად წარმატებული იყო საქართველოსთვის – 2014 წელს ხელი მოეწერა და რატიფიცირებულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება,⁷ 2015 წელს კი წარმატებით შესრულდა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც პოზიტიურადაა დასახა ევროკომისიის ანგარიშში.⁸ სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია იყო კომპლექსური პროცესი, რომელშიც ჩართული იყო ხელისუფლების ყველა შესაბამისი რგოლი⁹; თუმცა, მაინც აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის სამიზნეების 60%-ზე მეტის იმპლემენტაციის პროცესში წამყვანი უწყება შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო.¹⁰ შსს-ს კომპეტენციაში შედიოდა შემდეგი მიმართულებები:¹¹

⁴ <<http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti?sub=10695>> გვ. 2, [14.09.17].

⁵ ამჟამად შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინაციით მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის სამოქმედო გეგმაზე, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

⁶ იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>> [14.09.17].

⁷ იხ. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური ვებგვერდი: <<http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement>> [14.09.17], ასევე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი <<http://mfa.gov.ge/News/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90.aspx?CatID=5>> 14.09.17.

⁸ იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი: <www.mfa.gov.ge/getattachment/News/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9D-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0/Fourth-progress-report.pdf> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

⁹ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=4837>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

¹⁰ იხ. საქართველოს შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/shs-ministris-moadgile-/9894?print=1>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

¹¹ სტატიაში გამოყენებული ზოგიერთი ტექსტი და მასალა შემუშავებულია შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში და შეიძლება გამოყენებული იყოს სამინისტროს სხვადასხვა პრესრელიზსა თუ განცხადებაში.

- საზღვრის ინტეგრირებული მართვა;
- არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- სამართალდაცვითი საქმიანობების განხორციელებისას პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფა;
- სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

როგორც შესავალში აღინიშნა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე¹². შესაბამისად, აღნიშნული ამოცანების მიღწევის მიზნით, პარტნიორ ქვეყნებთან გაღრმავდა ორმხრივი თანამშრომლობა დანაშაულთან ბრძოლის კუთხით.

2017 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება საქართველოს უკვე 29 პარტნიორ ქვეყანასთან (მათ შორის, 17 ევროკავშირის წევრი ქვეყანა) აქვს გაფორმებული.¹³ გრძელდება მუშაობა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით. სამინისტროს მიერ პოლიციის ატაშეები წარგზავნილ იქნენ 13 ქვეყანაში (მათ შორის, ევროკავშირის 8 ქვეყანა), რამაც საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა კიდევ უფრო ეფექტიანი გახდა.¹⁴

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოების გაძლიერებას,¹⁵

¹² საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება: ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონი „პოლიციის შესახებ“, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა 2013 წლის 4 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვარს; მთავრობის 2013 წლის 13 ივნისის N 145-ე დადგენილებით, შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც შეიმუშავა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია დამტკიცდა 2013 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2013 წლის 4 ნოემბერს; 2015 წელს აღნიშნულმა საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2015–2018 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა; ბოლო რიგით მესამე განახლებული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2017 წლის 5 მაისს. სამართალდამცავ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის რეგულირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2013 წლის 4 ოქტომბერს; 2013 წლის 6 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შორის გაფორმდა „სამართალდამცავ სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი. შესაბამისი უწყებები ეფექტიანად თანამშრომლობენ აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან, კანონის მოქმედების სფერო გაფართოვდა და გავრცელდა სამართალდამცავი უწყებების მიერ განხორციელებულ მონაცემთა დამუშავებაზე, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებით. აღნიშნული ცვლილების იმპლემენტაციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველობის დანაყოფი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან სამინისტროს რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა არაერთი ბრძანება; 2015 წლის 2–3 ივნისს განხორციელდა ევროპოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჯგუფის ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ევროპოლის შეფასებით, საქართველო სრულად აკმაყოფილებს მათ სტანდარტებს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით.

¹³ იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti?sub=5013>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

¹⁴ იგივე <<http://police.ge/ge/giorgi-mghebrishvili-/10488>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

¹⁵ საზღვრის ინტეგრირებული მართვა: 2014 წლის 13 მარტს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგია 2014–2018 წლებისათვის, ხოლო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის N 335-ე დადგენილებით დამტკიცდა აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა; სასაზღვრო პოლიციაში ინფრასტრუქტურის განვითარების, აღჭურვილობის შეძენის, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხთა უზრუნველსაყოფად შემუშავდა და 2015 წლის 8 ივნისს დამტკიცდა სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციის, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ხუთწლიანი პროგრამა; 2015 წლის 31 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით

რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისათვის გადადგმული ნაბიჯები სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის სფეროში, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ჰარმონიზებას შენგენის მოთხოვნებთან. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის პრაქტიკა სრულ თანხვედრაშია შენგენის საუკეთესო პრაქტიკასთან. დეტალურად გაიწერა პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები და ინსტრუქციები სამინისტროს თითოეული დანაყოფისთვის. ტრენინგებითა თუ დეტალური ინსტრუქციებით მოხდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება დისკრიმინაციის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულზე სათანადო რეაგირების კუთხით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეული პროგრესი. ეს იყო ახალი სფერო საქართველოს მთავრობისთვის და შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მექანიზმი ნულიდან შეიქმნა.¹⁶

ამოქმედდა საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი.¹⁷ ევროკავშირთან დაახლოების კუთხით შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლას ძალიან დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს როგორც ქვეყნისთვის, ასევე საქართველოს მოქალაქეებისათვის.

რა თქმა უნდა, აღნიშნული რეფორმების განხორციელებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვამ და ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიღებულმა ამოცანებმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს არის რეფორმებზე ორიენტირებული საერთაშორისო ურთიერთობები, რომელთაც შსს 2013 წლიდან აქტიურად ახორციელებს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტიური მხარდაჭერით.

დამტკიცდა ახალი რისკების ანალიზის კონცეფცია სასაზღვრო პოლიციისთვის, რომლის საფუძველზეც ევროპელი ექსპერტების დახმარებით შემუშავდა/დამტკიცდა სამოქმედო გეგმა; მგზავრთა სხვადასხვა ნაკადის კონტროლისთვის არსებობს თანამედროვე, სათანადოდ აღჭურვილი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასაზღვრო გამტარი პუნქტები; ინტერპოლის მოპარული/დაკარგული დოკუმენტების ბაზები 2014 წლის სექტემბრიდან პროგრამა FIND-ის მეშვეობით ინტეგრირებულია ყველა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე; 2013 წლის დეკემბერში, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა პოლიციის ეთიკის კოდექსი, რომელიც შემუშავდა ევროსაზღვრო რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამასთან, შემუშავდა ინსტრუქციები საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, დროებითი მოთავსების იზოლაციის თანამშრომლებისა და მესაზღვრე კონტროლიორებისთვის; 2014 წლის 26 დეკემბერს სახმელეთო სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტებისთვის დამტკიცდა სტანდარტული სამოქმედო პროცედურები (SOPs); 2013 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა 2013-2015 წლების თანამშრომლობის გეგმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე თანამშრომლობის ევროპულ სააგენტოს (FRONTEX) შორის, აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე შსს-ს წარმომადგენლები მონაწილეობენ FRONTEX-ის ოპერაციებში. იხ. <http://bpg.gov.ge/ge/border-police/international-cooperation> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

¹⁶ მიგრაციის მართვა: 2014 წლის 5 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის სექტემბრიდან. კანონით რეგულირდება უცხოელთა ნებავყოფლობითი და იძულებითი დაბრუნების პროცედურების ზოგადი ჩარჩო; მიმდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის“ შესახებ შეთანხმების სამპლემენტაციო ოქმებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების გაფორმების პროცესი ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებთან. თავად შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს. რეადმისიის შეთანხმებები და სამპლემენტაციო ოქმები უკვე გაფორმებულია ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანასთან; შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 ოქტომბერს ოფიციალურად გაიხსნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი და ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა დროებითი განთავსების ცენტრი; მათი ფუნქციონირებისთვის შემუშავდა სათანადო სამართლებრივი ჩარჩო; 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მიგრაციის მონაცემთა ბაზების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის № 752-ე ბრძანების თანახმად, 2014 წლის 30 სექტემბრიდან ოფიციალურად ფუნქციონირებს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების იდენტიფიცირების ელექტრონული სისტემა, რომელშიც თავმოყრილია მონაცემები სხვადასხვა უწყებიდან. პროგრამის საფუძველზე შსს მიგრაციის დეპარტამენტი ახორციელებს მონიტორინგს საქართველოში მყოფ უცხოელებზე.

¹⁷ იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

3. შსს ქვედანაყოფების საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება

შსს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიის ძირითად მიმართულებას ასევე წარმოადგენს შსს სტრუქტურული ქვედანაყოფების (შსს აკადემია, საქვეუწყებო დაწესებულება შსს სასაზღვრო პოლიცია, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, გენერალური ინსპექცია და სხვა.) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და აღნიშნული ქვედანაყოფების შემდგომ განვითარებაში საუკეთესო გამოცდილების დანერგვა. შსს აქტიურად მუშაობს შსს აკადემიის შესაძლებლობების განვითარების კუთხით. იგეგმება მისი გარდაქმნა საერთაშორისო საპოლიციო მომზადების ცენტრად, რომელიც მოიზიდავს მსმენელებს როგორც ჩვენი რეგიონიდან, ასევე მის ფარგლებს გარედან. ამ მიმართულებით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისგან არის სრული მხარდაჭერა და უკვე მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სასწავლო კურსის პროგრამის შემუშავებაზე.¹⁸

ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში მიმდინარეობს საზღვაო უსაფრთხოების პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს ლატვიელი, ბერძენი და თურქი ექსპერტების ჩართულობით სანაპირო დაცვის შემდგომი განვითარება და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთდასახეობის ამაღლება.

მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოში საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის შექმნა, სადაც 24-საათიან რეჟიმში ყველა შესაბამისი უწყებაა წარმოდგენილი; ისინი უზრუნველყოფენ ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლასა და ანალიზს. შსს-ს მიზანია, სუფსის საზღვაო ოპერაციების ცენტრი იყოს არა მხოლოდ ეროვნული ანალიტიკური „ჰაბი“, არამედ რეგიონული მნიშვნელობის სამსახური.¹⁹

სამინისტრო ასევე აქტიურად მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა თუ ასოციაციაში გაწევრების მიმართულებით. მნიშვნელოვანია შსს-ს სპეციალური დანაყოფის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, შესაძლებლობების განვითარება და მისი გაწევრება ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ჟანდარმერიებისა და გასამხედროებული პოლიციის სტატუსის მქონე ძალების გაერთიანებაში (FIEP).²⁰

2016 წლის 22 ნოემბერს შსს-ს გენერალური ინსპექცია გახდა კორუფციის წინააღმდეგ ევროპელი პარტნიორების გაერთიანების (EPAC) სრულუფლებიანი წევრი.

„საქართველოს შსს სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის EPAC-ში გაწევრება მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის კუთხით მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერის, ანგარიშვალდებულების, საზედამხედველო ფუნქციების გაზრდის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და ეფექტური საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის უზრუნველსაყოფად.“²¹

ასევე მიმდინარეობს მუშაობა საგზაო პოლიციის ევროპის ქსელში (TISPOL)²² შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გასაწევრებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა ჩაერთოს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმში (EU Civil Protection Mechanism). საქართველოს საელჩოს მეშვეობით

¹⁸ იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/shss-s-akademii-saertashoriso-tsentrad-gardaqm-nistvis-inl-500-000-dolars-gamokofs/9341#!prettyPhoto>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

¹⁹ იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/shss-s-sazghvao-operatsiebis-ertoblivi-martvis-tsentrs-diplomatiuri-korpusis-da-saertashoriso-organizatsiebis-tsarmomadgenlebi-etsvivnen/10802>> 14.09.17

²⁰ იხ. ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.fiep.org/> ასევე, იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/giorgi-mghebrishvili-iordaniis-jandarmeriis-generalur-direqtors-shekhvda/10539>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

²¹ იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/shss-s-generaluri-inspeqtisia-koruftsiis-tsinaaghddeg-evropeli-partniorebis-gaertianebis-tsevri-gakhda/10189>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

²² იხ. ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.tispol.org/> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

უკვე მიეწოდა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები ევროკომისიის სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს (DG ECHO) ბელგიის სამეფოში. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ადმინისტრაციული შეთანხმების ტექსტის პროექტზე.

4. შსს საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება და ძირითადი სამიზნეები

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით საქართველოს შსს-ს მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარებისა და სრულყოფის გზით. ამ კუთხით შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს და ხელშეკრულებებს აფორმებს შემდეგი ხუთი ძირითადი მიმართულებით: 1) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობა; 2) რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმებისა და შეთანხმებების გაფორმება; 3) საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობა; 4) საზღვრის დაცვის სფეროში თანამშრომლობა; 5) მართვის მოწმობების ურთიერთაღიარება.

4.1. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განვითარება

შსს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შესაბამისად, სამინისტროს ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს სამართალდამცავ სტრუქტურებთან პარტნიორი ქვეყნების საპოლიციო თანამშრომლობის დამყარება და განვითარება. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები საქართველოს უკვე აქვს გაფორმებული 29 პარტნიორ ქვეყანასთან (მათ შორის 17 არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა).²³ უახლოეს პერიოდში იგეგმება ანალოგიური შეთანხმებების ხელმოწერა ჩეხეთთან, ბელგიასთან, ჩინეთთან და არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან.

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიღებამ; კერძოდ, 2014 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, რომელმაც პირველად ინსტიტუციურ დონეზე განსაზღვრა პოლიციის ატაშეების/მეკავშირე ოფიცრების სამართლებრივი სტატუსი და ფუნქცია-მოვალეობები.²⁴ პარტნიორ ქვეყნებში ჩვენი პოლიციის ატაშეს წარგზავნის შემდეგ ე.წ. „ქართველების“ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოვლენამ საგრძნობლად იმატა, რაც ეფექტიანი თანამშრომლობის მაჩვენებელია. მომავალ წლებში დანაშაულის მაჩვენებლის კლებაა მოსალოდნელი. მსგავსი სიტუაცია იყო ავსტრიასა და საფრანგეთში, თუმცა პოლიციის ატაშეს დანიშვნამ მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. იმ ქვეყნებში, სადაც პოლიციის ატაშე წარგზავნეთ, ჩვენი თანამემამულეების მიერ ჩადენილი დანაშაული სწრაფად იხსნება და დანაშაულის ჩადენის ტენდენციაც კლებადია. მაგალითად, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაული იტალიაში შემცირდა 52%-ით, საფრანგეთში – 12.8%-ით, გერმანიაში – 6%-ით, ხოლო შვედეთში – 4%-ით. მნიშვნელოვანი კლებაა, ასევე, საბერძნეთშიც.²⁵

„კანონიერ ქურდებთან“ ბრძოლის წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა ოფიციალურად მიმართა ჩვენს პარტნიორებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ორმხრივი სამუშაო ჯგუფების შექმნის შეთავაზებით. აღნიშნულ ფორმატში ხდება პირადი კონტაქტების დამყარება, ოპერატიული

23 იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti?sub=5013>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

24 იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048477>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

25 აღნიშნული ინფორმაცია მიღებულია საქართველოს შსს პოლიციის ატაშეების მიერ.

ინფორმაციის გაცვლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით, მათ შორის, *modus operandis* და სხვა. ასეთ ფორმატში უკვე განხორციელდა შეხვედრები გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, სლოვენის, ესპანეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, შვედეთის, ფინეთისა და დანიის მხარეებთან; სამომავლოდ კიდევ მრავალი მსგავსი შეხვედრა იგეგმება.²⁶

ასევე უმნიშვნელოვანესია რეგიონალური თანამშრომლობის განვითარება. 2017 წლის 4 აპრილს ევროპოლის დირექტორის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ისტორიულ შეთანხმებას საქართველოსა და ევროპოლის შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ,²⁷ რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2017 წლის 15 ივნისს.²⁸ შეთანხმება ძალაში შევიდა 2017 წლის 31 ივლისს და, შესაბამისად, საქართველო გახდა ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა. ეს ნიშნავს იმას, რომ შსს გახდა ევროკავშირის ნაწილი სამართალდაცვით სფეროში, რაც არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ამ შეთანხმების საფუძველზე ჩვენ წარვგზავნივთ ჩვენს მეკავშირე ოფიცერს ქ. ჰააგაში განთავსებულ ევროპოლის შტაბ-ბინაში და გაცვლით მნიშვნელოვან ინფორმაციას ევროპოლის ფარგლებში.

ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრებსა და ვიზიტებს, რომელთა ფარგლებშიც ხდება პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და სამომავლო გეგმების განხილვა/შეთანხმება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2016 წელს მინისტრის ხელმძღვანელობით სამინისტროს დელეგაციის ორი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, როდესაც პირველად მაღალ დონეზე დამყარდა თანამშრომლობა გერმანულ მხარესთან – როგორც ფედერალურ სამართალდამცავ ორგანოებთან, ისე ფედერალური მიწების სამართალდამცავ ორგანოებთანაც.²⁹ კერძოდ, განხორციელდა შეხვედრები 7 ფედერალური მიწის შესაბამის მინისტრთან და 4 ფედერალურ მიწასთან გაფორმდა მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ. 2017 წელს საქართველოს სტუმრობდნენ შვედეთის, ლატვიის, ლიტვის, საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრები, ევროპოლის დირექტორი, იტალიის კარაბინიერთა კორპუსის სარდალი, რომლებთან შეხვედრის ფარგლებშიც გაფორმებულ იქნა საერთაშორისო შეთანხმებები, მემორანდუმები და ერთობლივი განცხადებები.³⁰ 2017 წლის 6–7 ივლისს შს დელეგაციამ მინისტრის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო ქ. ტალინში გამართულ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაში. ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ესტონეთის, ავსტრიის, ესპანეთის, ბულგარეთის, ფინეთისა და მალტის შინაგან საქმეთა მინისტრებთან.³¹

შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/681 დირექტივის: „მგზავრის მონაცემების გამოყენება ტერორისტული დანაშაულისა და სერიოზული დანაშაულის პრევენციის, გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე“ (DIRECTIVE (EU) 2016/681 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 27 April 2016 on the use of passenger name record (PNR) data for the prevention, detection, investigation and prosecution of terrorist offences and serious crime) იმპლემენტაცია. ამ მიზნით შექმნილია უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს.

26 იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/samushao-djgufis-shekhvedra-organizebuli-danashaulis-tsinaaghmdag-brdzolis-sakitkhebze/7879>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

27 იგივე, <<http://police.ge/ge/saqartvelosa-da-evropols-shoris-operatuli-da-strategiuli-tanamshromlobis-shesakheb-shetankhmebagformda/10530>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

28 იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/parlamentma-saqartvelosa-da-evropols-shoris-operatiuli-da-strategiuli-tanamshromlobis-shesakheb-shetankhmebis-ratifikatsia-moakhdina/10698>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

29 იგივე, <<http://police.ge/ge/giorgi-mghebrishvili-hesenis-federaluri-mitsis-shs-ministrs-shekhvda/9969>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

30 იგივე, <<http://police.ge/ge/home>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

31 იგივე, <<http://police.ge/ge/giorgi-mghebrishvili-maltis-shs-ministrs-shekhvda/10777>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

4.2. თანამშრომლობა რეადმისიის კუთხით

ევროკავშირთან ხელმოწერილი რეადმისიის შესახებ ჩარჩო შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმები საქართველომ უკვე გააფორმა ევროკავშირის წევრ 10 ქვეყანასთან.³² სამინისტროსთვის ასევე მნიშვნელოვანია მესამე სახელმწიფოებთან რეადმისიის შესახებ შეთანხმებების გაფორმება. შესაბამისად, საქართველომ მესამე ქვეყნებთან რეადმისიის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ინიცირება დაიწყო ჯერ კიდევ 2013 წელს. 2013–2016 წლებში ასეთი შეთანხმებები უკვე ინიცირებულ იქნა და განხორციელდა სომხეთის, აზერბაიჯანის, ბანგლადეშის, ინდოეთის, პაკისტანის, შრი-ლანკის, ალჟირის, ჩინეთის, ეგვიპტის, ირანის, ნეპალის, ნიგერიისა და თურქეთის მხარეებთან.

დაგეგმილია ანალოგიური შეთანხმებების ინიცირება ავღანეთის, კამერუნის, კოტ-დივუარის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, გამბიის, განას, ერაყის, ლიბანის, სომალისა და ტუნისის ქვეყნებთან.³³ სამომავლოდ ასევე დაგეგმილია შეთანხმებების ინიცირება ყაზახეთთან, უზბეკეთსა და ყირგიზეთთან.

ზემოაღნიშნული შეთანხმებების გაფორმების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა³⁴, რომლითაც საქართველოს დაევალა მესამე ქვეყნებთან რეადმისიის შეთანხმებების გაფორმება.

4.3. თანამშრომლობა საგანგებო სიტუაციებისა და საზღვრის დავის კუთხით

საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები გაფორმებული გვაქვს 12 ქვეყანასთან,³⁵ უახლოეს პერიოდში იგეგმება ანალოგიური შეთანხმებების ხელმოწერა თურქეთთან, ავსტრიასა და რუმინეთთან. ევროპელი ექსპერტების დახმარებით იგეგმება შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის განვითარების 5 წლიანი გეგმის შემუშავება.

სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები გაფორმებულია 10 ქვეყანასთან და ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

4.4. მართვის მოწმობების ურთიერთაღიარება

მნიშვნელოვანია, ასევე, მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში თანამშრომლობა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ ქართული მართვის მოწმობებით სარგებლობა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ვენის კონვენციით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც ან ზედმეტი დაბრკოლებებისა და დამატებითი ფორმალუბების გარეშე ჩაანაცვლონ ეს მოწმობები ადგილობრივი მართვის მოწმობებით. ამ მიმართულებით დაწყებულია მუშაობა და მიმდინარეობს კონსულტაციები იტალიასთან, ავსტრიასთან, გერმანიასთან, დანიის სამეფოსთან, საფრანგეთსა და ესპანეთთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2013-2017 წლებში შსს იყო ერთ-ერთი სახელმწიფო უწყება, რომელმაც

32 იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti?sub=5013>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

33 იხ. <<http://imtavroba.ge/new/7967-mtavroba-saqarteloshi-unebartvod-mckhovreb-pirta-ukan-dabrunebis-miznit-molaparakebebs-itsyeb>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

34 კონკრეტულად “2.4 Continued effective implementation of the EU-Georgia readmission agreement, as well as Georgia’s readmission agreements with third countries, and of measures providing for the sustainable reintegration of Georgian citizens (returning voluntarily or not)”. ტექსტი იხ. ევროკომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/fr/ALL/?uri=CELEX:52015SC0299>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

35 იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti?sub=5013>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

ყველაზე მეტი საერთაშორისო შეთანხმება და თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.³⁶

შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი, შეიძლება ითქვას, სტრატეგიული მიმართულება არის სამინისტროში განხორციელებული რეფორმების ექსპორტი, რათა, ერთი მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის იმიჯზე და მეორე მხრივ კი, ხელი შეუწყოს რეფორმირების პროცესში მყოფი სხვა ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცოდნისა და შეძენილი გამოცდილების გაზიარებას. 2013-2017 წლებში შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთდა სამინისტროში დაგროვილი საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას უკრაინის, სომხეთის, მოლდოვას, ლიტვის, მექსიკის, ეგვიპტის, ბელარუსის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, ინდონეზიისა და კოლუმბიის უწყებათაშორისი დელეგაციებისთვის სახელმწიფო სერვისებისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის პრევენციის შიდაუწყებრივი კოორდინაციის გაუმჯობესების კუთხით.³⁷

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ბოლო წლები შსს საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვის მხრივ მეტად ინტენსიური და პროდუქტიული იყო. ეს არის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეფორმებზე ორიენტირებული საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლის მთავარი მიზანია, ერთი მხრივ, ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, მეორე მხრივ – შსს-ს და მისი სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ მემორანდუმების დადების გზით, ასევე – შსს-ს საჭიროებებზე მომზადებული პროექტების იმპლემენტაცია და სამინისტროს დონორთა კოორდინაცია.

სწორედ ახლა, როცა ვსაუბრობთ ქვეყნისა და სამინისტროს წინაშე არსებულ ახალ გამოწვევებზე, ისე, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, რათა დაწყებული პროცესები საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით წარიმართოს. შესაბამისად, შსს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიისა და მისი განმახორციელებელი სამოქმედო გეგმის მიღება უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია როგორც სამინისტროს პროგრესული განვითარების ხელშეწყობის კუთხით, ასევე ჩვენს პარტნიორ, დონორ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებთან შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავებისა და განვითარების მხრივ.

³⁶ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

³⁷ იხ. შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი: <<http://police.ge/ge/search?q=%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90+%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2>> [წვდომის თარიღი: 14.09.17].

ჯაბა თებიძე¹

საპოლიციო თანამშრომლობა ევროპის კავშირში, ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო

შესავალი

მოცემულ სტატიაში გაანალიზებული იქნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საპოლიციო თანამშრომლობის ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები, გამოცდილებანი და რესურსები. ფაქტების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის სტატიაში გამოყენებული იქნება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები და ევროკავშირის სამართლის დამფუძნებელი ხელშეკრულებები.

მჭიდრო საპოლიციო თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უაღრესად მნიშვნელოვანია საერთო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისა და ისეთი დანაშაულების პრევენციისათვის, როგორცაა: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, კიბერდანაშაული, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა. ევროპის კავშირი ფინანსური და სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით ქმნის ინსტიტუციურ საფუძვლებს კავშირის უსაფრთხო გარემოდ ჩამოყალიბებისათვის.

1. თანამშრომლობის საფუძვლები

1975 წლის ევროპული საბჭოს შეხვედრაზე ქალაქ რომში ევროპული თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს საპოლიციო და უსაფრთხოების საკითხებში აქტიური თანამშრომლობის გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1976 წელს ე.წ. „თრევი ჯგუფის“ ჩამოყალიბებით;² ეს უკანასკნელი გახლდათ სამთავრობოთაშორისო ფორუმი, წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებით.³ 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულების ამოქმედებით წევრ სახელმწიფოებს უსაფრთხოებისა და საპოლიციო თანამშრომლობის საკითხებში მიეცათ ფართო სამართლებრივი საფუძვლები, რამაც ასახვა ჰპოვა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებისა და მასტრიხტის ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსიის მეხუთე (V), მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების თავში.⁴

ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებათაგანია, რომელიც განმტკიცებულ იქნა მასტრიხტის ხელშეკრულებით.⁵ არსებული უფლების რეალიზება ამავე დროს დაკავშირებული იყო გართულებულ საპოლიციო კონტროლსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, რამაც საფუძველი ჩაუყარა მასტრიხტის ხელშეკრულების K1-9 მუხლის საფუძველზე ევროპოლის

¹ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. კარლოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პრაღა.

² იხ. 1975 წლის ევროპული საბჭოს შეთანხმება, 1-2 დეკემბერი, 1975 წ., ქ. რომი. http://aei.pitt.edu/1407/1/rome_dec_1975.pdf.

³ჯონ. დ. ოზბინტი, ევროპის საპოლიციო თანამშრომლობის პოლიტიკა, აშშ., ლინ რეინერის გამომცემლობა, 2003 წელი, 29-40.

⁴ ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ, იგივე რომის ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ვერსია. ევროპის კავშირის ოფიციალური საკანონდებლო მაცნე - C 326 , 26/10/2012 P. 0001 – 0390, V თავი, 67-89 მუხლები. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT>

⁵ ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (TEU), მუხლი 3(2). <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012M%2FTXT>

ჩამოყალიბებას.⁶ წევრი სახელმწიფოების მიერ მასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიცირების დაყოვნებამ გამოიწვია ევროპოლის ჩამოყალიბების დროებითი შეჩერება; ამის გამო, „თრევი ჯგუფის მინისტერიალის“ გადაწყვეტილებით, ჩამოყალიბდა „ევროპოლის ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილება“, რომელიც საქმიანობას აგრძელებდა 1999 წლამდე, ევროპოლის კონვენციის სრულ ამოქმედებამდე.⁷

ევროპოლის კონვენციის ამოქმედება ემთხვევა ამსტერდამის 1997 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულების ამოქმედებას 1999 წელს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპოლის სრულ ამოქმედებამდე საპოლიციო თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებს შორის ეტაპობრივად პროგრესირებოდა შენგენის სისტემის ამოქმედებით, რომელმაც ხელი შეუწყო საზღვრების დაცვას.

1.1 შენგენის ზონა

1985 წელს ხუთმა ევროპულმა სახელმწიფომ ქალაქ შენგენში, ლუქსემბურგში, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე ჩამოაყალიბა შენგენის ზონა, რომელიც წარმოადგენს მონაწილე სახელმწიფოებს შორის შიდა თავისუფალი გადაადგილების საშუალებას.⁸ გადაადგილების თავისუფლება, რომელიც განმტკიცებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 3(2) მუხლით, რომის ხელშეკრულების⁹ 21-ე მუხლითა და ამავე ხელშეკრულების IV-V თავებით, ასევე – ძირითადი უფლებების ევროპული ქარტიის 45-ე მუხლით¹⁰, წარმოადგენს ევროპის კავშირის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებათაგანს.

საგულისხმოა შენგენის შეთანხმების საიმპლემენტაციო კონვენცია, რომელსაც ხელი მოეწერა 1990 წლის 19 ივნისს; ეს უკანასკნელი, ძალაში შევიდა რა მხოლოდ 1995 წელს,¹¹ წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებას მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების საკითხებში. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე, ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ, თუ აღნიშნული საჭიროა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.¹²

სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა საპოლიციო და უსაფრთხოების სფეროში შენგენის ზონაში განმტკიცებულია ევროკავშირის სამართლის დონეზე; მის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ამსტერდამის ხელშეკრულების დამატებითი პროტოკოლი, რომლის თანახმადაც მაღალი ხელშემკვრელი მხარეები იღებენ შენგენის შეთანხმების ევროკავშირის სამართალში ინტეგრირების ვალდებულებას.¹³

⁶ იხ. მასტრიხტის ხელშეკრულების K1-9 მუხლი, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი, 134. https://europa.eu/european-union/sites/europaefiles/docs/body/treaty_on_european_union_en.pdf

⁷ იხ. ევროკავშირის სამართლის ოფიციალური ელექტრონული ჟურნალი, 95/73/JHA <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:l14005a>

⁸ ევროპა საზღვრების გარეშე, ევროკომისიის ოფიციალური გამომცემლობა, მიგრაციის კომიტეტი, 2014 წ., 1-7. https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/e-library/docs/schengen_brochure/schengen_brochure_dr311126_en.pdf

⁹ 1957 წლის ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ,

¹⁰ იხ. 2000 წლის ძირითადი უფლებების ევროპული ქარტიის 45-ე მუხლის ტექსტი. <http://fra.europa.eu/en/charterpedia/article/45-freedom-movement-and-residence>

¹¹ იხ. 1990 წლის შენგენის კონვენცია „Art 139 And 494D0029“, ევროკავშირის საკანონმდებლო მაცნე [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:42000A0922\(02\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:42000A0922(02))

¹² იხ. შენგენის კონვენციის 38 მუხლის 1, 3 თავები.

¹³ იხ. ამსტერდამის ხელშეკრულების დამატებითი B.TEU პროტოკოლი, 93-97 გვ. ევროკავშირის საკანონმდებლო მაცნე, 1997. <http://www.europarl.europa.eu/topics/treaty/pdf/amst-en.pdf>

1.2 შენგენის საინფორმაციო სისტემა

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა საფუძველი დაუდეს შენგენის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებას (ე.წ. SIS – Schengen Information System), რათა შიდა სასაზღვრო კონტროლის არარსებობის კვალობაზე ხელი შეეწყოს შენგენის ზონის უსაფრთხოებისათვის. აღნიშნული საინფორმაციო სისტემის გამოყენებითა და მინისტრთა საბჭოს 2007 წლის 533/JHA გადაწყვეტილებით, შენგენის წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ და მართლმსაჯულების აღმასრულებელ ორგანოებს საშუალება ეძლევათ სწრაფი სამძებრო რეაგირება მოახდინონ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის, დაკარგული ადამიანის ან შენგენის ზონაში ყოფნის უფლების არმქონე პირის გამოვლენისათვის.¹⁴ ასეთ შემთხვევებში შენგენის საინფორმაციო სისტემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. შენგენის ზონის გარე საზღვრების დაცვის უზრუნველყოფისათვის აღნიშნული საინფორმაციო სისტემა მნიშვნელოვან ბაზას ქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ პირს (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობის არქონის შემთხვევაშიც) უფლება აქვს გამოითხოვოს თავის შესახებ არსებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია შენგენის საინფორმაციო სისტემიდან და შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს მისი კორექტირება. პირს შეუძლია შენგენის წევრ ნებისმიერ საკონსულო დაწესებულებას მიმართოს შენგენის საინფორმაციო სისტემაში პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვის ან დაკარგული პირის სამძებრო სამუშაოების დაწყების თაობაზე.¹⁵

1.3 სავიზო ინფორმაციის სისტემა VIS

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისა და შენგენის წევრი სახელმწიფოების საკონსულო დაწესებულებებისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტია სავიზო ინფორმაციის სისტემა – ე.წ. Visa Information System (VIS), რომელიც არის ელექტრონული საინფორმაციო პლატფორმა საკონსულო დაწესებულებებისა და სასაზღვრო გამშვები პუნქტების წარმომადგენლებისათვის, რათა მოხდეს პირის იდენტიფიცირება და სავიზო ინფორმაციის შემოწმება ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებით.

აღნიშნული პროცედურა რეგულირდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის №767 რეგულაციით.¹⁶

სავიზო ინფორმაციის სისტემის (VIS) მიზანია, გამოასწოროს სავიზო პოლიტიკის იმპლემენტაციის ხარისხი, საკონსულო თანამშრომლობა და კონსულტაციების წარმართვა სავიზო დაწესებულებებთან:

- სავიზო აპლიკაციის გამარტივების მიზნით;
- არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლით;
- ვიზით ვაჭრობის ფაქტების აღმოფხვრით;
- გაყალბების წინააღმდეგ კამპანიის წარმართვით;
- კავშირის გარე და შიდა საზღვრებზე კონტროლის უკეთესი მექანიზმების დანერგვით;

¹⁴ მინისტრთა საბჭოს 2007 წლის 533 გადაწყვეტილება სამართალდამცავი ორგანოების მიერ შენგენის საინფორმაციო სისტემის გამოყენების თაობაზე. 2007/533/JHA, საკანონმდებლო მაცნე. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32007D0533>

¹⁵ შენგენის საინფორმაციო სისტემის რთული გზა. სამეცნიერო სტატია – თავისუფლება და უსაფრთხოება ევროპაში, 2011 წ. ჯოანა პარკინი. 1-18. https://www.ceps.eu/system/files/book/2011/04/SIS_II_paper_liberty_security_formatted1.pdf

¹⁶ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/767 რეგულაცია სავიზო ინფორმაციის სისტემასთან დაკავშირებით და წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ. საკანონმდებლო მაცნე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32008R0767>

–წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფით.¹⁷

აუცილებლობის შემთხვევებში წევრის სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებსა და ევროპოლის წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოითხოვონ ინფორმაციები სავიზო ინფორმაციის ცენტრიდან საგამომიებო, პრევენციული და ოპერატიული მიზნებისათვის. ზემოთ აღნიშნული ქმედების სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს 2008 წლის 633/JHA გადაწყვეტილება სავიზო ინფორმაციის სისტემიდან გამოთხოვის თაობაზე ეროვნული კომპეტენტური ორგანოებისა და ევროპოლის მიერ დანაშაულის პრევენციის მიზნით.¹⁸

2. ევროპოლი

ევროპოლი, იგივე ევროპის საპოლიციო ოფისი არის ევროპის კავშირის ერთ-ერთი მთავარი სამართალდამცავი ორგანო, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე დახმარებას უწევს საერთაშორისო დანაშაულსა და ტერორიზმთან ბრძოლაში. ამ თანამშრომლობის მთავარი მიზანს წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლა და პრევენცია, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრა და სხვადასხვა ტიპის დანაშაულთან ბრძოლა.¹⁹

ევროპოლი დაარსდა 1995 წელს, როდესაც ხელი მოეწერა ევროპოლის კონვენციას, ხოლო 2010 წლის 1 იანვრიდან ევროპოლი არის ევროკავშირის ოფიციალური სააგენტო, რომელიც ფინანსდება ევროკავშირის ბიუჯეტიდან. მინისტრთა საბჭოს 2009 წლის გადაწყვეტილების²⁰ საფუძველზე ევროპოლმა მიიღო ევროკავშირის ოფიციალური სააგენტოს სტატუსი, რომლის ხელმძღვანელიც აირჩევა მინისტრთა საბჭოს მიერ (იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრიალის დონეზე). ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე ევროპოლის კომპეტენციები სრულიად დაექვემდებარა ევროპის კავშირის კომპეტენციებს და როგორც მართლმსაჯულების აღმასრულებელი სააგენტო. ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებას ინფორმაციის გაცვლით, დამუშავებით, რისკების შეფასებითა და ანალიზით.

ლისაბონის ხელშეკრულებით განსაზღვრულია ევროპოლის ფუნქციები და მიზნები. თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების თავის 63-69H მუხლები სრულად ეთმობა ხელშემკვრელ მხარეებს შორის საპოლიციო თანამშრომლობის საკითხებს და მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა:

- მართლმსაჯულებაზე ეფექტური წვდომა;
- სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა დანაშაულის პრევენციის მიზნით;
- თანამშრომლობა მტკიცებულებების მოპოვების მიზნით;
- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების პერიოდული გადამზადება;
- დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდების შემუშავება;
- კავშირის დონეზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარება;

¹⁷ სავიზო ინფორმაციის სისტემის (VIS) განმარტებითი ბარათი. საკანონდებლო მაცნე, 2014წ. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:114517>

¹⁸ საბჭოს 2008/633/JHA გადაწყვეტილება, ევროპის კავშირის საკანონდებლო მაცნე, OJ L 218, 13.8.2008 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32008D0633>

¹⁹ 1) Good Governance in Europe's Integrated Market. By Christian Joerges and Renaud Dehousse. Academy of European Law. Oxford University Press 2004, 22-30 გვ.

²⁰ საბჭოს გადაწყვეტილება 2009/371/JHA, ევროკავშირის საკანონდებლო მაცნე. იხ. ბმული: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32009D0371>

- ინდივიდების ფუნდამენტურ უფლებათა დაცვა;
- დაზარალებულთა უფლებების დაცვა;
- ევროპის მართლმსაჯულების სიტემასთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა.²¹

2017 წლის 1 მაისს ევროპოლის ახალი რეგულაცია შევიდა ძალაში, რომელიც, თავისი საკანონმდებლო ხასიათიდან გამომდინარე, სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის. ახალი რეგულაცია მიღებულ იქნა ევროპარლამენტის მიერ 2016 წლის 11 მაისს, რომლითაც პარლამენტმა მხარი დაუჭირა ევროპოლის უფლებების გაზრდასა და დახვეწას; ამით ევროპოლს მიეცემა მეტი საშუალება, პრევენცია მოახდინოს და უკეთესად გაუმკლავდეს ისეთ დანაშაულებს, როგორცაა: ტერორიზმი, კიბერდანაშაული, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი.²²

ახალი რეგულაციით, ევროპოლს საშუალება ეძლევა ჩამოაყალიბოს სწრაფი რეაგირების ჯგუფები შესაძლო დანაშაულის გამოვლენა-პრევენციის კუთხით და მოახდინოს მათზე რეაგირება დროის მოკლე მონაკვეთში. აღნიშნული რეგულაცია აუმჯობესებს ევროპოლის მანდატს, როგორც საინფორმაციო ჰაბისა, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს წევრი სახელმწიფოებისათვის უსაფრთხოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის.²³

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპოლს შორის 2017 წლის 4 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმება ოპერატიულ და სტრატეგიულ თანამშრომლობაზე. აღნიშნული შეთანხმება საშუალებას აძლევს საქართველოს, მიიღოს და გაცვალოს დანაშაულთან დაკავშირებული და პერსონალური ინფორმაციები ევროკავშირის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან დაცული საკომუნიკაციო ხაზის მეშვეობით. ევროპოლს ასეთ ტიპის შეთანხმებები გაფორმებული აქვს ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, შვეიცარია, ისლანდია და სხვა. ²⁴ ევროპული ინტეგრაციის კვალდაკვალ აღნიშნული შეთანხმება უაღრესად მნიშვნელოვან ურთიერთთანამშრომლობის ფორმატს ქმნის ევროპის საპოლიციო სისტემებთან.

აღსაღნიშნავია, რომ ინდივიდუალური ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს გაფორმებული აქვს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან; მაგალითად, 2017 წლის 9 მაისს საქართველოს შსს–სა და ლიტვის ეროვნულ პოლიციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც უთუოდ ორ ქვეყანას შორის საპოლიციო სფეროში არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.²⁵ საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ წარმოადგენს სისხლის სამართლის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის სამართლებრივ საფუძველს პარტნიორ სახელმწიფოებთან. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური შეთანხმებით დადგენილი კომუნიკაციის არხებითა და საშუალებებით. ²⁶

²¹ ლისაბონის ხელშეკრულება, 2007/12/13, 2007/C 306/01. იხ. 63-69H მუხლები. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A12007L%2FTXT>

²² ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის რეგულაცია 2016 /794 – ევროპოლის შესახებ მინისტრთა საბჭოს 2009/371/JHA გადაწყვეტილების ჩანაცვლების თაობაზე. იხ. პრეამბულა: <https://www.europol.europa.eu/publications-documents/regulation-eu-2016/794-of-european-parliament-and-of-council-of-11-may-2016>

²³ იხ. 2016 წლის 11 მაისის რეგულაციის 4,6,20,23,25 მუხლები.

²⁴ იხ. ოფიციალური ინფორმაცია საქართველოს შსს–ს ვებგვერდიდან. <http://police.ge/en/saqartvelosa-da-evropols-shoris-operatuli-da-strategiuli-tanamshromlobis-shesakheb-shetankhmeba-gaformda/10530>

²⁵ იხ. ოფიციალური ინფორმაცია შსს–ს ვებგვერდიდან. <http://police.ge/ge/shss-sa-da-litvis-erovnul-politsias-shoris-urtiertanamshromlobis-memorandumi-gaformda/10628>

²⁶ 2010 წლის საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. 1-3 მუხლები. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594>

2.1. ევროპის პოლიციის კოლეჯი (CEPOL)

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გადამზადება წარმოადგენს საპოლიციო ურთიერთობების მნიშვნელოვან ასპექტს. ევროპის საპოლიციო კოლეჯი დაარსდა 2000 წელს ეროვნული საგანმანათლებლო ინსტიტუტების ბაზაზე; ის მინისტთა საბჭოს (შემდგომში – საბჭო) 2005/681/JHA გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა როგორც ევროკავშირის ოფიციალური სააგენტო, რომელიც დაფინანსებას იღებს ევროკავშირის ბიუჯეტიდან. თავდაპირველად ევროპის პოლიციის კოლეჯი მდებარეობდა დიდ ბრიტანეთში, ხოლო 2014 წლიდან შტაბ-ბინა გადავიდა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში.

ევროპის პოლიციის კოლეჯის (შემდგომში ევროკავშირის სააგენტო სამართალდამცავი ორგანოების გადამზადებისათვის) მთავარ მიზანს წარმოადგენს სასწავლო კურსებისა და პროგრამების ჩამოყალიბება, იმპლემენტაცია და კორდინირების გაწევა შემდგომში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გადამზადებისათვის. ასევე, აღნიშნული სააგენტო ვალდებულია შეიმუშავოს სპეციალური სასწავლო კურსი ინდივიდუალურ, კონკრეტულ თემატიკაზე, თუ შესაბამისი მოთხოვნა დაფიქსირდება წევრი სახელმწიფოს მხრიდან. საგულისხმოა, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის №2219 რეგულაციაში CEPOL-ის შესახებ და საბჭოს 2005/681/JHA გადაწყვეტილების ჩანაცვლების თაობაზე 3-4 მუხლების მიხედვით გაწერილია აღნიშნული სააგენტოს მოვალეობანი.²⁷

3. ინსტიტუციური ჩარჩო

2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ ევროპარლამენტის როლი მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეებში საგრძნობლად გაიზარდა. პარლამენტის პოზიცია საპოლიციო ურთიერთობების შესახებ საპარლამენტო რეზოლუციებში ასახავს მის სურვილს, მონაწილეობა მიიღოს სამართალდამცავ სფეროში მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად საკანონმდებლო ინიციატივების სახითა და რიგი სტრატეგიების შემუშავებით.

ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად თანამშრომლობენ როგორც ევროკავშირის დონეზე, ისე წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. საზღვრის ეფექტური დაცვა და შესაძლო დანაშაულების პრევენცია მოითხოვს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას წევრ ქვეყნებს შორის. ევროპული უსაფრთხოების დღის წესრიგი განსაზღვრავს იმ პრინციპებს, თუ როგორ უნდა დაეხმაროს გაერთიანება წევრ სახელმწიფოებს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ევროპული უსაფრთხოების დღის წესრიგი, რომელიც შემუშავდა როგორც 5-წლიანი პროგრამა 2015-2020 წლებისათვის, განსაზღვრავს რამდენიმე პრიორიტეტს მომავალი წლებისათვის; ესენია: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული და კიბერდანაშაული.²⁸ ბრიუსელის, პარიზისა და კოპენჰაგენის ტერორისტულმა აქტებმა ცხადყო, რომ ევროპის კავშირს სჭირდება მეტად ეფექტური პასუხი და მექანიზმები ტერორიზმთან საბრძოლველად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ორგანიზებული დანაშაულები, როგორცაა: ტრეფიკინგი და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, კიბერდანაშაული, ტერორიზმი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ კრიმინალურ ქმედებებს და სამართალდამცავ ორგანოებს, როგორც ევროკავშირის, ისე ეროვნულ დონეზე სჭირდებათ ეფექტური და კონსოლიდირებული მუშაობა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.²⁹

²⁷ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის EU №2219 რეგულაცია 2005/681/JHA გადაწყვეტილების ჩანაცვლების თაობაზე, 2015/11/25. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R2219&from=EN>

²⁸ ევროპული უსაფრთხოების დღის წესრიგი (European Agenda for Security), 2015-2020. ევროპული კომისიის კომუნიკე. COM(2015) 185 Final. იხ. 12-13 გვ. <https://www.cepola.europa.eu/sites/default/files/european-agenda-security.pdf>

²⁹ ევროპული უსაფრთხოების დღის წესრიგი, 2015-2020. იხ. 2-8.

ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელება ევროკავშირის მხრიდან, ამავე დროს, მოითხოვს ინდივიდების ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფას და მათ თავსებადობას უფლებათა-თავისუფლებებთან, დემოკრატიულ კონტროლს, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების გარანტიებს, ევროკავშირის სამართლებრივი ინსტრუმენტების უკეთ გამოყენებასა და უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფას.³⁰

დასკვნა

უნდა აღინიშნოს ევროკომისიის, როგორც ინსტიტუტის როლი; მას კანონშემოქმედებითი საქმიანობითა და რეკომენდაციების გაცემით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კავშირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ინდივიდთა უფლებების დასაცავად. ევროკავშირის უსაფრთხოების დღის წესრიგი, როგორც ევროკომისიის კომუნიკე პარლამენტისადმი, არის სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულ იქნა წინა დღის წესრიგის ეფექტურობის გათვალისწინებით. ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის ევროპული კომისია ახდენს საკანონმდებლო აქტების ინიცირებას და მათ მართვას. ასეთია, მაგ., შენგენის საინფორმაციო სისტემა და სავიზო ინფორმაციის სისტემა. ევროპული კომისია დახმარებას უწევს წევრ სახელმწიფოებს სამართლებრივი მექანიზმების იმპლენტაციის პროცესში, როგორცაა ე.წ. შვედეთის ინიციატივა³¹ და პრუმის გადაწყვეტილება.³²

ევროკავშირის უსაფრთხოების დღის წესრიგი უთუოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებისათვის. ის უნდა იყოს კოლექტიური პასუხისმგებლობის მქონე დოკუმენტი. მისი ეფექტური განხორციელება დამოკიდებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოებისა და ორგანოების პოლიტიკურ ნებაზე; ეს მოიცავს როგორც ევროკავშირის ინსტიტუტებს, ისე სააგენტოებსა თუ წევრ სახელმწიფოებს.

³⁰ ევროპული კომისიის კომუნიკე, მე-10 ანგარიში კავშირის უსაფრთხოებისათვის, COM(2017) 466 Final. 7.9.2017, 11 https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/policies/european-agenda-security/20170907_tenth_progress_report_towards_an_effective_and_genuine_security_union_en.pdf

³¹ 2006 წლის 18 დეკემბრის შვედეთის ინიცირებული, საბჭოს გადაწყვეტილება წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციისა და სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, 2006/960/JHA. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2006:386:0089:0100:EN:PDF>

³² გერმანიის ინიციატივა, 2008 წლის 23 ივნისის საბჭოს გადაწყვეტილება 2008/615/JHA წევრ სახელმწიფოებს შორის ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის დამარცხების მიზნით საზღვრისპირა თანამშრომლობის თაობაზე. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008D0615&from=EN>

